

825
1990

ISSN: 0763 - 7247



កម្ពុជា

ជាន់ទូលែន ក្រសួងបច្ចេកវិទ្យា និង សាស្ត្រ និង ក្រសួងការពាណិជ្ជកម្ម នរោងរាល់

២១៦០៨០

N° 23

PARIS

៩៣១៩៩៦០

1990

NOVEMBRE

၁၃၂၃၀ ၈၂၆၀၀၉၀

150



რაც ძალადობით წაიღეს,
ვინ დააბრუნებს ნებითა?
ვინ ნახა თავისუფლება
ტანჯვით და მოთმინებითა?!
*

არ სჯობს, რომ კაცმა გმირულად
ბრძოლაში სული დალიოს,
ვიდრე სხვის ნება-ბრძანებით
მან საწამლავი დალიოს?

*

აი, რას ამბობს რუსთველი,
სულ-მნათი, ყვავილოვანი:
„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანი!“

2*****

ა კ ა კ ი ს ჭ ო გ ი ე რ თ ი მ ა რ გ ა ლ ი ტ ი
ს ი რ ვ ი ც ე ბ ი ა ლ ი ტ ი
ს ი გ ა დ ი ა ლ ი ტ ი



ჩონგური საქართველოა,
სიმები ჩვენ ვართ ყველაო,
სხვადასხვა კუთხის მცხოვრები:
„ოდელა-დელა- დელაო“.

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე - მთელი ქვეყანა
და, რომ ვიწვოდე, ვდნებოდე
არ შემიძლია მე განა?

* * *

რა ვუყოთ, თეთრი მერიოს?!

სისხლით შევღებავ ჭალარას
და სულ სხვა ხმაზე დავუკრავ
ამ ჩემ დაფუა და ნალარას.

არც მყვარებია, არც მიყვარს,
არც მღომებია, არც მინდა,
არც მწამებია, არცა მწამს
შენს გარდა კიდევ სხვა წმინდა!

ამ დღეს ველოდი, მოვესწარ!..
ვიცინი, აღარ ვსტირი მე!
ახალგაზრდებო, აწ კი ოქვენ
გამოდით, ოქვენი ჭირიმე!..

* * *

არ მომკვდარა!.. მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიღიძებს!..
ვინც შენარის იმის სიკვდილს
უმაღლ მასვე დაამიშებს!

არა! აყვავდეს იმედი!..
გულს ვერ გამიტეხს ჭალარა!..
გმირებს უძახის ... უყივის
ჩემი დაფი და ნალარა!..

* * *

*

ვიტიროთ?! არა! ვაჟკაცა
არ ვშვენის ცრემლით გლოვანი,
„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანი“.

*

„ოკანასკნელი“ - დან

მე კი ... მშვიდობით ... ჩვენს წინაპრებთან
მივდივარ მეცა განსასვენებლად,
და ხინჯად გულში მიმყება მხოლოდ,
რომ ვერ გაგმხდარვარ სამშობლოს მსხვერპლად ...

*

მ ა გ რ ა მ ე ს მ ო ხ დ ა ჩ ე მ ს უ ნ ე ბ უ რ ა დ,
გ უ ლ თ ა მ ხ ი ლ ა ვ ო, ა რ ა მ ა ქ ვ ს ბ რ ა ლ ი ...

(„პატარა კახი“)



ცა - ფირზე ...

ცა - ფირზე, ხმელეთ - ზურმუხტო
ჩემ სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო.
*

ვერ ავიტანე ობლობა,
სისხლის ცრემლები ვლვარეო;
წამძლია სულმა და გულმა,
შენს ნახვას დავეჩქარეო.
*

წინ მომეგებენ ღიმილით
შენი მზე, შენი მთვარეო,
გუნდი და გუნდი ვარსკვლავი,
მოკაშკაშ - მოელვარეო.
*

გულში იფეოჭა სიამემ,
სევდები უკუვყარეო,

ია და ვარდი ღამიკნარი
ხელახლა გამიხარეო.
*

ცა - ფირზე, ხმელეთ - ზურმუხტო,
სულის ჩამდგელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზელვე მგლოვიარეო!..
*

ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხა
ზე კალთა დამაღარეო ...
და, რომ მოვკვდები გახსოვდეს,
ანდერძი დავიბარეო:
*

დედაშვილობამ, ბევრს არ ვთხოვ:
შენს მიწას მიმაბარეო,
ცა - ფირზე, ხმელეთ - ზურმუხტო,
ჩემ სამშობლო მხარეო!

სამზობლოს

მშვენიერო შენ გეტრფი,
შენი მონა, ერთგული,
შენთვის სულდგმულს, შენგანვე,
შენთვის მიძგერს ეს გული.
*

გაუმაგრდი განსაცდელს,
აიტანე ტყვეობა!
გშვენის ნესტან-დარეჯნის
მაგალითი ... მზეობა.
*

მეგულები ციხეში,
ცხრაკლიტულში მჯდომარე ...
შეთვისებას გიპირებს
გაიძვერა მოყვარე!

ტარიელი დაგეძებს,
გავარდნილი დდეს ველად;
ავთანდილიც ფრიდონით
მოდის გამოსახსნელად





თ ქ ვ ე ნ ი პ ი რ ი მ ე

ამ დღეს ველოდი, მოვესწარი--
ვიცინი, აღარ ვსტირი მე!
ახალგაზრდებო, აშ კი თქვენ
გამოდით, თქვენი ჭირიმე!..

ბევრი ვეცადე ძირმწარეს
ვერ გავუთხარე ძირი მე,
ახლა კი თქვენი ჯერია,
დაპბარეთ, თქვენი ჭირიმე!

ბევრი რამ მითქვამს...რომ მეთქვა, კუბის კარამდე მისული
დავიმახინჯე პირი მე!..
ახლა არ გვგლეჯენ ენასა,--
სთქვით რამე, თქვენი ჭირიმე!

ბევრი რამ მითქვამს...რომ მეთქვა, კუბის კარამდე მისული
რალა ვარ, განაწირი მე?
მაგრამ თან თქვენი იმედი
მიმყვება, თქვენი ჭირიმე!

„ასჯერ გაზომეთ და ერთჯერ
გამოსცერთ“, ახლაც ვყვირი მე,
ნუ აჩქარდებით! ნურც შიშობთ,
განმტკიცდით, თქვენი ჭირიმე!

ნუ გამიმტყუნებთ იმედსა,
ხომ ხედავთ, აღარ ვსტირი მე!
დრო მოლის – ერთად ვიცინოთ!
ვიცინოთ, თქვენი ჭირიმე!

ი ლ ი ა ს მ ო კ ვ ლ ი ს გ ა მ თ

ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას
და ნუ ამბობთ, რაც არ მჯერა!--
ნუთუ მართლა დღეს გადაწყდა
საქართველოს ბედისწერა?

და მიტომაც, ვინც მოჰკვდება,
განა ყველა ითქმება მკვდრად?
ზოგი ჩადის ბნელ საფლავში,
ზოგი აქვე რჩება ლამპრად.

არა, არა!.. მითქმამოთქმა
ეს, მშიშარა, ტყულია...
ის მშობელი არ მოკვდება,
წარმოშობა ვინც ილია!!

და ილიაც არ მოჰკვდარა...
მამულისთვის რჩება ლამპრად,
მაშინ როცა მისი გვამი
გადიქცევა მიწად და მტკრად.

გრძნობა კვდება, გონება კი
ეკუთვნის წინ, მომავალსა...
გაპყავს ხიდი ცხოვრებისთვის
და უკაფავს გზა და კვალსა..

რაც კი ჰქონდა მალლით ნიში
ბუნებისგან მოცემული,
მთლად მიუძღვნა მის სამშობლოს,
ფიანდაზად დასდვა გული!..



თავი დასდგა ქვეყნისათვის,
მიპატაძა ძმებს თავდადებულთ:

მეფესა და ყიფიანსა,

იმ ორ ქართველს, განდიდებულ!

მაგრამ ამათ სიკვდილშიაც

განსხვავება არის დიდი:

უფრო მწარე და მწვავია,

როცა შინ გქლავს შენივ ფლიდი!..

მეფე მოჰკლეს მონღოლებმა,

დიმიტრი მტრის მოყლულია!..

მაგრამ ნუთუ შინ ჩვენმავე

გამოგვტაცა ჩვენ ილია?!

ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას!

ის ქართველად არა მჯერა,

ვინც გაბედა და ილიას

დაუმოკლა ბედისწერა!..

თვით იესო მაცხოვარმა,

ვის ხელთ ეპყრა ქვეყნის გული,

თანაშემწედ აირჩია უბის მუზეუმი.

და მათშიაც გაერია

გამცემელი ის იუდა,

შურმა, მტრობამ, ბოროტებამ

ვისა გულშიც დაიბუდა!..

მაგრამ რჯული რჯულად დარჩა

და იუდა მხოლოდ კრულად.

ამას საღმრთო ისტორია

საუკუნოდ ამბობს სრულად!..

და მთელ ქართლში რომ გამოჩნდეს

მოღალატე ერთი-ორი,

მსგავსი ისკარიოტელის

და იუდას თანასწორი,

ამით ჩირქი მთელ ქვეყანას

გაუჩიერდად არ ედება!

მხოლოდ ხალხს კი, ჭირისუფალს,

გულში ცეცხლი ეკიდება!..

„თ თ რ ჩ ი კ ე ე რ ი ს თ ა ვ ი“ - დ ა ნ

ვინ დასთვალის ზღვაში ქვიშა

და ან ცაზე ვარსკვლავები?

ვინ შეამყოს ღირსეულად

ქართველ გმირთა მხარ-მკლავები?

ვინ მოგვითხრას მათი საქმე

უთვალავი, საგმირონი,

და ან მათზე გადმოსული

მაღლი ღვთისა და მირონი?

ნაშთი ძველი დიდებისა

არ გამქრალა ჯერაც ყველა... .

დღესაც მისის შარავანდით



ნიშანს გვაძლევს ცისარტყელა!..
შვიდ სამთავროს მოგვაგონებს
მოელვარე ის შვიდფერი
და გვაძლერებს: „არ მომკვდარა,
გაიღვიძებს ისევ ერი!“
ამ იმედით ფრთა შესხმული
ჩვენი გული სიამით სძგერს,
და ოცნებაც ლაქვარდფერად
წარმოგვიდგენს ქართლისა ერს.
წარსულ ნერგზედ ახალ-ნამყნის
ველოდებით შეხორცებას!
მით ვიქარვებთ აწმყო ნალველს
და ვეძლევით აღტაცებას.

* * *

ა მ ი რ ა ნ ი

კავკასიის ქედზე იყო
ამირანი მიჯაჭვული,
ყვავ-ყორანი ეხვეოდა,
დაფლეთილი ჰქონდა გული.
ქვეყნიდ ცეცხლის მოტანისთვის
გულს ცეცხლი არ ნელდებოდა
და ჩაღაცა მანქანებით
გული ისევ მთელდებოდა.
ჰქონდა ჭირში მოთმინება,
არც კერძესოდა, არც ოხრიდა,
უსამართლო ძლიერებას
მონურად ქედს არ უხრიდა.
ბოლოს მაინც გამარჯობა
დარჩა!.. ყველა გათოცა!..
და ის ღვაწლი მაგალითად
მიწის შვილთა მან გაღმოსცა...
კავკასიის მაღალ ქედზე
მიჯაჭვული ამირანი



არის მთელი საქართველო
და მტრები კი – ყვავ – ყორანი,
მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა-გმირი!..
სიხარულად შეეცვლება
იმდენი ხნის გასაჭირი!

* * *

„ქართვლის ქალი“ - დან

ესა სოქვა და ისევ ჰყითხა:
„საშუალმა რაღა ქნაო?
ამოიგო ძმების სისხლი?
თათრის ზძორის დასლუა ძნაო?<“
„არა, ჩემო ქალბატონო,
ვერ გავბედავ ტყუილსაო;
ეგ სახელი არ უნახავს
ქალაჩუნა თქენის შვილსაო!
„უფროსი და უმცროსი ძმა
მტრის რაზმი რომ გაპკიოდა,
საშუალო ტყეში იწვა:
გულ - მუცელი ასტკიოდა“.
ეს რომ ესმა, ქართვლის ქალი
უცნაურად დაიღრიჯა;
ამოჰყარა ძუძუები,
მოთქმით თავი მოიგლიჯა:
„ვაი ლეჩაქს შერცხვენილსა,
ვაჲ ძუძუებს გაკიცხულსო,
ვაი დედას, თითქმის პირშავს,
რა მახვილი მეცა გულსო!
„არა ესტირი იმ ორ შვილსა,
ომში მოკლულს გმირულადო,
ვიგლოვ ცოცხლად დარჩენილსა
უსახელოდ ... ვირულად!“

* * *

ამასშინად სანდომიანი შესახედაობის ერთმა ბერიყაცმა, რომელსაც თავისი ცხოვრების შეგნებული ნაწილი საწერე-თლოში, საჩხერეში გაუტარებია, მშვენიერ ხაიდაში ჩვენი შემთხვევით ურთიერთგაცნობის დროს, აკაკის შესახებ ასეთი რამ მიამბო: „როცა აკაკი წერეთლის ნეშტს სხვიტორიდან თბილისისაკენ წასასვენებლად ამზადებდნენ, ჩვენ, საჩხერის ორ-კლასიანი სკოლის ყველა მოწაფემ, ჩვენი მასწავლებლები-სა და აღმზრდელების დავალებით, ნიშნად პოეტის ულრმესი სიყვარულისა და მოწიწებისა, მოკრძალებით ვემთხვიერ სულ-მნათი მეგონის უშვენიერეს, მაგრამ აწ უკვე სამუდამოდ გაცივებულ მარჯვენას“.

მე უცაბედად გამახსენდა თბილისში, ოპერის ბალთან, ჭა-დრების მწკრივში ჩადგმული აკაკი წერეთლის ბიუსტი, იაკობ ნიკოლაძის მიერ შესრულებული; გამახსენდა, თუ როგორის იმედიანი თვალებით იმზირება აკაკი აქ, როგორ აულერია მალლა სხივმფინარე შუბლი და, მიუხედავად უზომო ჭირთა-თმენისა, რომელიც ასე შემოსწოლია მის მგზებარე გულს, მაინც რაღაცნაირად გაცისკროვნებულია შარავანდელითა და საუკუნო კათილი მომავლის განსახიერებას წარმოადგენს მისი ღვთაებრივად ულამაზესი ფიგურა. სწორედ ეს იმედიანი წინას-წარმეტყველება და მამულის სიყვარულით შეძრული მარად მგ-ზნებარე გული „მშობელი ქვეყნის მოზარისა“ იყო და დარჩა ჩვენს წარუხოცელ შეგნებაში სამართლიანობის, თავისუფლების, პატრიოტიზმის, უანგარობისა და მოყვასისადმი სიყვარუ-ლის უდიდეს ნიშანსვეტად.

და ასეც იქნება ყოველთვის, რადგან ხალხმა იცის ვის წაჲყვეს და დაუჯეროს, ვისი სიტყვები და დარიგებები გამო-ადგება მას, ვისი ცრემლი და სიმღერა შეუმსუბუქებს ეკლი-ან გზაზე სიარულს, ვისი მოწოდება გაიყვანს მას ბრძოლის ველზე, და ბოლოს, ვისი საყვირი დააგუგუნებს გამარჯვე-ბული მომავლის უწყვეტ მუსიკას!

ერი ენდობა ამ პიროვნებას, უყვარს იგი და საუკუნოდ

გულში ინახავს მის სათაყვანებელ სახელს, რადგანაც უკიდურესად წინამძღვრთა, თავისუფლებისათვის მებრძოლ-მებაირახტრეთა დავიწყება ყოვლად წარმოუდგენელი ამბავია.

და ეს უცვლელი მებაირახტრე ქართველი ხალხისათვის აკა-კი წერეთელია - გულგათანგული მიჯნური სრულიად საქართვე-ლოსი.

II

აკაკი წერეთელი ჩვენს შეგნებაში რჩება სიცოცხლის, სიყ-ვარულის დაუღალავ ტრფილად. ჩვენს წარმოდგენაში იგი ჩვენს შორის უაღრესად მეცური სიდიადით დააბიჯებს, და მისი მხცით მოსილი ლამაზი პირისახე და ყველა მისი მე-ტად გულწრფელი და კამკამა სტრიქონი გვატყვებს სიცოცხ-ლის სიყვარულითა და სიმშვენიერით; და ასე გვვინია, ამ სტრიქონების წაყითხვისას ჩვენს გულსა და გონებას არასო-დეს გაჰკრავს სიბერის მუხანათობა, რადგან აკაკის ლექსი ზედმიწევნით ჰგავს მარად ნორჩ და მსხმოიარე ხეს, რომლის ნაყოფიც ყოველთვის ამოა და სანეტარო. სწორედ ამ შეგ-ნებით და იმედით წერდა მგოსანი ამგვარ სიტყვებს:

„მიმოფრენ, მეც თან დაგჭავარ,

წამის-წამ, კიდის-კიდეს!

ვეღარ მერევა სიკვდილი

მე, შენსა გადამკიდეს!“

იგი არც ისე ხნიერი იყო მაშინ, როცა ამ სტრიქონებს წერ-და, მაგრამ იმდენად იყო გაბოროტებული ამ ცხოვრების ქარი-შხლებისაგან, იმდენი საშალა აგემა მის მეტად მგრძნობიარე და უნაზეს სულს წუთისოფლის გაუტანლობამ, რომ უკვირდა კიდეც, ცხოვრების შუახანს რომ გასცდა; „ მაგრამ მაინც სულ ვიცინი, არ ვსტირიო“, იძახდა. ამიტომაცა მალეს რომ მოა-სენებს ჩანგურს-მის კალამს-ურემლმორეული მგოსანი.

განა ეს ის ჩანგური არ არის, რომლის მოზოლვარე სიმუ-ბმაც, ბარათაშვილისა და გრიგოლ ორბელიანის შემდეგ, ასე ვაჟაცურად და ომახიანად, სულ უბრალო, მაგრამ რაღაცნაირი მეტად საოუზი და მგრძნობიარე წკრიალით რომ გაუთბეს და დაუიმედეს, თავისუფლების მოლოდინში მყოფ ერს წყლულებით



დასერილი გული?

განა ამ ჩანგურმა თეთრად არ გაათენა ლამეები, მის ჭეშ-
მარიტ პატრონთან ერთად, იმისათვის, რომ არ წაშლილიყო
მრავალტანჯული ქართველი ხალხის და, ამავე დროს, საქართ-
ველში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნებათა მეხსიერებიდან სახე-
ლწიფლოებრივი ინსტიტუტის მცნება, სამშობლოს—ამ უძვირდასე-
სი სიტყვის — შეგნება და სიყვარული?

„ სჯობს მონობაში გადიდეაცებულს,

თავისუფლების ძებნაში მცვლარი“,—

ამ სიტყვებით მოძღვრავდა აკაკი წერეთლის მადლიანი კალამი
ქართველ ხალხს და არა მარტო ქართველ ხალხს, არამედ ყვე-
ლას, ვინც ჯერ კიდევ მონობის უღლის სიმწრისაგან მწარედ
გმინავდა, ანდა ვისაც ჯერ კიდევ ვერ გაეგო უცხოთა მიერ
ნაწყალობევი მამონის ცბიერი ღიმილი და ფლიდობა.

ეს აფორიზმი ყოველ დროში სჭირდებათ სამშობლოსაგან მო-
წყვეტილ აღამიანებს, უპატრონო ბოგანოების მსგავსად რომ
დაძრწიან ქვეყნისკიდიდან —ქვეყნისკიდემდე უკეთესი მატერიალური
მერმისის საპოვნელად.

*

* *

შწერლობა, პოეზია თუ ის შემოქმედისათვის მარტონლენ
პირად გრძნობათა გამომხატველია, თუ ის არ სცილდება მხოლოდ
ე.წ. ღამეულ ვარიაციებს, ანდა ერთგარ რითმებით კლოუნ-
ობასა და პრანგვას და არ ძალუძს მის მთვლემარე, აწ უკვე
დაღამების პირზე მისულ სულ განთიადისაკენ გადმოხედვა და,
როგორც შილერი იტყოდა ხოლმე, მილიონების ყელზე მოხვევა,
მაშინ ამგვარი შემოქმედება მჭლე, უსუსური შემოქმედებაა;
მას არაფერი საერთო აქვს ხალხთან, მის ბედთან თუ უბედო-
ბასთან, მის სიხარულთან თუ ტკივილთან.

იპეულა პალევი და რუსთაველი, რაბლე და შექსპირი, პა-
ინე და ტოლსტოი რომ არ ყოფილიყვნენ წამებულნი ჭეშმარიტი
შემოქმედებითი სენით, რომელსაც დიდი შოთა „საღმრთოდ გა-
საგონს“ უწოდებს,— მათს ნაწარმოებებს აქამდე დავიწყების სა-
სტიკი ჩრდილი გადაეფარებოდა.

„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს კონცერტული
და ისევე გაიღვიძებს“, — პირადობის

ასე ამბობს აკაკი „ავადმყოფში“. ამავე აზრს გამოხატავს
პოეტი თავის სწეულ სამშობლოზე:

„მოვა დრო და თავს აიშვებს,

იმ ჯაჭვს გაწყვეტს გმირთაგმირი“

„თორნიკე ერისთავში“. აკაკი წერეთლის პატრიოტული მოტივი
განუმეორებელი მომხიბვლელობითა და სიძლიერით გამოჩნდა მის
უკვდავ პოემებში. ჩვენ მხედველობაში გვაქვს „თორნიკე ერის-
თავი“, „პატარა კაბი“ და „ნათელა“.

ჩვენი საუკუნის უდიდესი რომანისტი ლეონ ფეიხტვანგერი
თავის წიგნში: „სიბრძნე ახირებული კაცისა“ ამგვარად სწერს:

„მე მინდოდა უან-უაკ რუსოს ცხოვრებიდან ამეღო არა ფერზ-
ლი, არამედ ცეცხლი, რომელიც ანათებს და ათბობსონ.“

აკაკი წერეთლის ისტორიულმა პოემებმა ჩვენ ისეთ რომანტიულ
აღმურში გაგვხვიერს, ისე დაატყვევეს ჩვენი გონება საქართველოს
ბრწყინვალე და გმირული წარსულის განუმეორებლობით, რომ მის
წამიკითხველ კაცს არ შეიძლება, არ აღეძრას წადილი ზვარაკად
თავის დადებისა გასაჭირო მყოფი მამულისათვის.

არადა, ხომ ასეთია აკაკი წერეთლის პიროვნებაც ბოლოს და
ბოლოს?! რომელიც მზადაა თავისი საფიცარი ხატის—სამშობლოს—
სამსხ ვერპლოზე დაიწვას და დაიფერფლოს თუკი მშვიდობა მოე-
ფინება მის მამულს. სწორედ სამშობლოსადმი თავდადებაა აკაკ-
ის პოეზიის მთავარი კრედოც.

დაგით გურამიშვილისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის შემდეგ
არცერთი პოემა არ დაწერილა საქართველოს წარსულზე ამგვარი
სიმართლითა და სისაცსით, როგორც ეს ჩაიდინა აკაკის მაღლია-
ნმა მარჯვენამ. ჩვენ, ყველამ ყმაწვილობიდანვე შევიყვარეთ ის-
ინი; ამ ნაწარმოებებზე იზრდებოდნენ და იზრდებიან თაბები.
მათში განცხადებული ოპტიმისტური განწყობილება აწრობდა და
დღესაც ავაუკაცებს ჩვენი სულისა და ხასიათის თავისთავადობას,
განუმეორებლობას.

აკაკი წერეთლის ისტორიული პოემების სიდიადესა და ბრწყინ-
ვალებას მხარი დაუმშვენეს ვაჟა-ფშაველას გასაოცრად ელვარე

ეპიკამ და ილია ჭავჭავაძის „დიმიტრი თავდადებულმა“



*

ამგვარივე მამულიშვილური გრძნობით სუნთქავს და სამშობლოსათვის თავდადებას გვასწავლის „ბაშიაჩიუკი“; იგი უბრწყინვალესი პროზაული ნაწარმოებია აკაკი წერეთლისა. როგორც „განთიადის“ ავტორის პოეტურ ქმნილებებში, აქაც მთელი სისავსითა და დამაჯერებლობით გვხიბლავს მთავარი და მძაფრი ლეიტ-მოტივი რეალისტური მწერლობის მაგისტრალური ხაზისა: მამულის უანგარო სიყვარული, გმირობა და თავდადება სამშობლოსათვის. გავიხსენოთ, როგორ ელაპარაკება, სპარსეთში გამგზავრების წინ, ბიძინა ჩილოყაუზვილი თემურაზ მეფეს: „ხე, როგორც მცენარე, მოურწყველად ვერ იხარებს, ისე ეროვნების ხესაც გასამაგრებლად და ღესვების განზე გასაღველად, ოფლთან ერთად, ხანდახან წმინდა მოწამებრივი სისხლიც ეჭირვება სარწყავად.. ამგვარი მსხვერპლის უჩვეული არ არის ჩვენი ქვეყანა; და დღეს, თუ განგებას ჩვენთვის წილად უხვედრებია სამსხვერპლზვარაკობა, სასოებით მივეგებებით და მორჩილებით თავს დავდებთ! საქართველოს ჭირიც წაგვიღიაო!“

არ შეიძლება, ამ სტრიქონების წაკითხვისას, ადამიანს ტანში არ გააქრეოლოს. მაგრამ ნამდვილმა მამულიშვილმა ისიც იცის, რომ იმდენად ძლიერია მამულისადმი ტრფობა, იმდენად ახლობელია და საყვარელი მისოვის მშობლიური ცისა და მიწის მხოლოდ ერთი ზღაპრული გაელვებაც კი,— მას ურჩევნია სიკვდილის ზარებს შეეგებოს უმალ, ვიდრე თავის თვალებით იხილოს ძეირდასი მამული სამგლოვიარო ძაძებით მოსილი. სწორედ ამგვარი ჰეროიზმის მქადაგებელი და დასტურია „ბაში - აჩუკი“.

*

*

აკაკი წერეთლის სიდიადე მარტო მისი შემოქმედების მრავალფეროვნებაში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ნაწარმოებებს არ ექნებოდათ იმ მკაფიოდ უჭირნობი მშვენების ტვიფრი და ბეჭედი, რომ ის შემოსილი არ ყოფილი



ყო აკაკის პოეტური ენის რაღაც განსაკუთრებული და სისადავით, სწორედ ისეთით, რუსთველი რომ ამბობს:
„სილბო ჰერონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაჭედისაო“.

ამ ლექსებისა და პოემების კითხვისას, რომლებიც საესებით მარტივი და გასაგებია მკითხველისათვის, ზოგიერთ მკითხველ-თაგანს უნდა ჰქონია, რომ ყოველივე ეს კალმის ერთი მოსმით შექმნა პოეტმა; ზოგს კიდევ ეჩვენება, რომ ეს ლექსები და პოემები, ეს პიესები და კრიტიკული წერილები, მაინცა და მაინც, პოეტის დიდი და მძიმე შრომის შედეგს არ უნდა შეადგენდნენ. მაგრამ ეს სასტიკად მცდარი და არასწორი შეხედულებაა „გამზრდელის“ ავტორზე.

პირიქით, სწორედ ამაშია აკაკისეული ხელწერის საიდუმლოება; მისი ლექსი ერთი შეხედვით უბრალოა, სადაა, მაგრამ იმდენი მიმზიდველობა და სიხალვათე, იმდენი დამაჯერებლობა და მუსიკალობა ზეიმობს მის ყოველ სიტყვაში, —უნდა ჰქონია! რა მშვენიერია!

ტკბილხმოვანება აკაკის ლექსისა სხვა არადერია, თუ არა ქართული ხალხური პოეზიის, —ამ მარად მოლივლივე უძირო ზღვის, — დაუგიშვარი კოლორიტი და, ამას დამატებული, თვით აკაკის რაღაცნაირად სულისა და გულის ამაფორიაქებელი პოეტური გენის მადლი.

მისი პოეზია — ეს ერთგვარი ზღაპრული ხილია, რომლის მირთმევის უფლებაც მხოლოდ რჩეულებსა აქვთ მხოლოდ. მისი ლექსი გამჭვირვალე, თავანგარა მდინარეა, ყოველგვარი შენაკადების გარეშე რომ მიედინება. სწორედ ამიტომაცაა, რომ ამ მდინარიდან სვამენ წყალს, დღიდან მისი გაჩინისა, ადამიანები, იყლავენ წყურვილს და ისევ უბრალდებიან მას, რადგანაც მათ კარგად უწყიან, რომ ყოველი წვეთი ამ საოცნებო წყლისა გამაახალგაზრდავებელია, როგორც სიცოცხლის ელექსირი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემდეგ, რომლის გასაოცარმა პოეზიამაც ასე გვაგემა სიტქმება და სინარნარე ქართული ენისა, მარად მოიხსენიებენ აკაკი წერეთლის გაუხუნარ სახელს, ილია-სთან და ვაჟასთან ერთად, როგორც ერთ-ერთ დაულალავ და უღხიზლეს შემოქმედს მშობლიური ქართული ენის განვითარებისა

და წინსვლის საქმეში, რომლის განხორციელებასაც მარტო მოჰყოფილი თავისი შეგნებული ცხოვრება უსწიორა.

III

აკაკი წერეთელმა, თავის სიცოცხლეშივე, ხელთუქმნელი ძე-
გლი აიგო მშობელი ქართველი ხალხისა და საქართველოს ტერი-
ტორიაზე მცხოვრებ მცირერიცხოვან ერთა დაუშრეტელ შეგნება-
ში; ეს მან ყოველივე გააკეთა თავისი მაღლიანი კალმით,
რომელიც აქტიურად ეხმაურებოდა იმედამინდელ სინამდვილეს, ძმო-
ბას ერთა შორის, ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულს.

რამდენად თვალსაჩინოა და გულთბილი მის მიერ მიძღვნილი
ლექსი გაბრიელ სუნდუკიანისადმი, ანდა როგორის გულისტიკივ-
ლით დასტირის იგი თავისი ერთგული და პატიოსანი თანამემა-
მულე ებრაელის გაციებულ ცხედარს ერთ ლექსში. პირდაპირ
გასაოცარია და შესაშური ასეთი ეპითეტი გარდაცვლილ თანა-
მძმის უკვდავსაყოფად:

„ახა, ნარინჯო, ნარინჯო,
შე ბრო! ეულო, ია!

აკაკი წერეთლის პოეზიის ბაირალები ფრიალებდნენ მხოლოდ
იქ, სადაც სამშობლო და თავისუფლება იყო იდეალი მებრძო-
ლი, უშიშარი ადამიანებისა. და ეს სტოიციზმი და დიდბუნებო-
ვნება ბოლომდე შერჩა მის განუმეორებელ ლექსებსა და პოემ-
ებს, მის ბელეტრისტიკასა და პიესებს. სწორედ ამიტომ მოხ-
და, ამგვარი დიდი სიყვარულითა და სითბოთი რომ შემოსეს
აკაკი, მისსაცე სიცოცხლეში, ყველა კეთილი ნების ადამიანებ-
მა, მისმა მრავალსაუკუნოვანმა სამშობლომ და ხალხმა.

და მართლაც არავითარ მოლოდინს არ იყო გადაჭარბებული
ის ერთადერთი გვირგვინი ყვავილებისა, რომელიც მიაცილებდა
საპარის კარამდის ამ ცხოვრებისაგან განაწიამები „მშობელი
შევყნის მოზარის“ კუბოს, წარწერით: „აკაკის – საქართველო“.

ნიკა აგიაშვილის წიგნის: „ტვირთი წუთისოფლისა“-ს ერთი
გმირი, რომელიც ნამდვილად ცხოვრობდა, ასე ჰყვება აკაკი წე-
რეთლის უამოსვენების ამბავს სხვიორიდან მთაწმინდამდე:
„როცა შატარებელი გასცდა ლიახვისა და მტკვრის შესართავს,
გვერდი აუარა მტკვარზე გადებულ ფართო ხიდს და ნელ-ნელა

მიუხურუდ გორის საფუტის, მთავარი ტაძრიდან და  ეკლესიებიდან ერთხმად გაისვა ზართა სამღლოვიარულობის გულისგამალონებელი ხმები და საფურის ბაქანზე თავშეყრილი და იშვიათი წესრიგით ჩამწერივებული მდუმარე ხალხი უცბად შედრება, შეირხა, სწრაფად დაიძრა და წინ გაეშურა. ყველამ მოწიწებით მოიხადა ჭული და პირჯვრის წერით ჩაიჩინა თანდათან შეჩერებულ მატარებლის წინაშეო“.

ასე მძიმე იყო ყველასთვის აკაყის სიკვდილი.

და დღეს, მისი დაბადებიდან **140** წლისთავზე*) ჩვენ სასოებით ვიდრეკთ მუხლს აკაყი წერეთლის სათაყვანებელი სახელის წინაშე, რომლის ყოველწუთიერი ხსენებაც კი საოცარი იმედითა და სითბოთი გვავსებს.

სწორედ ამაშია აკაყი წერეთლის, ამ განუმეორებელი პიროვნებისა და შემოქმედის, — სიღიდე და განუზომლობა. ქება - დოდება მის მშობელს!

დ ა ვ ი თ ა ვ მ თ ნ ი, 1980 წ უ ლ ი.

*) დავით აგმონის ეს შესხმა დაწერილია აკაყის დაბადების **140** წლისთავისათვის. მაშინ მან დაგვიანებით მოადწია ჩვენამდე და, აი, ავტორის თანხმობით, როგორმაც ამ ხნის განმავლობაში გვარი გამოიცალა, მაგრამ სული უცვლელი დარჩა, — ვაქვეყნებთ მას.

გუშაგი.

ა კ ა კ ი: ტ კ ბ ი ლ ი მ გ ა ლ ი პ ი ლ ი

აკაყი წერეთელი მესამოციანეთა ღვიძლი იყო, როგორც თავისი სოციალური და პოლიტიკური აზროვნებით, ისე ეროვნული განმათავისუფლებელი ბრძოლის წყურვილით. მან თავისი ბავშვობის წლები სოფელში გლეხის შვილებთან გაატარა და ამან მის მომავალზე დიდი გავლენა მოახდინა, ამბობენ. შეიძლება ესეც სწორია, მაგრამ ის მაინც თავისი ეპოქის შვილი იყო.

ის სულ ახალგაზრდა, მოწაფეობიდანვე გაიტაცა სამშობლოსადმი სამსახურის იდეამ, ის სწერდა:

ერთი რამ მკლავდა მხოლოდ მე

და მისივებდა ის გულსა,

რომ ჩემს სამშობლოს ვჲედავდი

საკვებისგან დამონებულსა.

ს ა რ ა რ თ ვ ი ლ ი რ ს
პ ა რ ლ ა ვ ი ნ ტ ი ს
ე რ მ ვ ე უ ლ ი 0
პ ი პ ლ ი მ თ ე პ ა



დაუკვირდით! ამავე სენით არ იყო შებყრობილი ილიაჲ ჭურვებულები ძეც თავის სიყმაშვილეში?! აკაკი ილიაზე სულ სამი წელი მოიხსენია სი იყო. ახალგაზრდობაში სამ წელს დიდი მნიშვნელობა აქვს, ხოლო მერე, რაც დრო გადის, ეს მნიშვნელობა მცირდება და ყველა ერთ მთლიან სულისკვეთების ფერხულში ებმის, ცალ-ცალკე და ყველა ერთად, თავთავისი გზით, უნარით და საშუალებით ერის სამსახურში შედის.

აკაკის მთავარი მოწოდება იყო მწერლობა; მაგრამ ის დაუღალ-ავ მონაწილეობას იღებდა სხვა კულტურულ საქმიანობაში. განსაკუთრებით ამან დიდი დვაწლი დასცო სათეატრო მუშაობას, და რომ საკმარისი დრო პეტროვი ეროვნული მოღვაწეობისათვის, შემოსავლიან სამსახურზედაც უარი სთქვა და ამიტომ მატერიალური გაშინევებაც ზეგრჯერ განუცდია.

საქართველოში ილია ჭავჭავაძეს ისე არ ახსენებენ, რომ მასთან აკაკი წერეთველიც არ ახსენონ. საქართველოს განმათავისუფლებელ ბრძოლაში აკაკი ილიას მარჯვენა ხელი იყო. საქართველოს მომავლის უწყებაში ერთი-მეორეს ეჯიბრებოდნენ. ერთი თუ ტკბილი გალობით ნათელს ჰქონდა ქართველი ერის გულსა და სულს, მეორე, თავისი გაშლილი ფრთებით, მტრისაგან იგერიებდა მას. აკაკი ბულბული იყო, ილია – არწივი, მხოლოდ ორივე ერთი ჯიშისანი იყვნენ: ფრინველები. აკაკის კალამი ისევე მახვილი იყო, როგორც არწივის ნისკარტი!..

აკაკი მთელ საქართველოში მოგზაურობდა და თავისი თუნდაც ხალხში ახლოს გავლით, ქართველობას მისი მომავლის იმედს აღუძრავდა. ქართველობა მას ისე იღებდა, როგორც მომავლის მესია. ამიტომ მან ქართველ ერში განუსაზღვრელი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა!..

ილია და აკაკიზე ბევრი რამ თქმულა. მე ახალს ვერაფერს ვიტყვი. გავა დრო და მომავალი თაობები უკვე ეროვნული თავისუფლების დროშის ქვეშ პილევ ბევრს იტყვიან!..

ერთი რამ კი არ შემიძლია არ გავიხსენო, თუმცა ის ყველასა-თვის ცნობილია. 1913 წელს აკაკიმ ვაჟა-ფშაველას უსაყველურა:

ენას გირუნებ ფუაველო,

მგოსანო მაღალ მთისაო:

თკმც კი გვითესავ მარგალიტს

მკითხველიც იმას მკითამ“.

სასაქვირულად, ვაკეამ ამაზე პასუხი გასცა. მაგრამ მეტყველებულ
მესი პატავისცემა და სიყვარულ მაინც გამოხატა თავზე უფლისობრივ
მტაც წარმოთქმულ ლექსში 1908 წელს აკაკის იუბილეზე. ზემოს
ლროს სცენაზე გამოჩნდა ვაკა და თავისი ლექსი ასე დაამთავრა:

„მეც ამატირა ბევრჯერა
შეწს თვალზე ცრემლის ღენამა;
ნეტავი ბევრი გაზარდოს
შენისთანები დედამა.
რომ მიყვარს მამელიშვილი
და, იცოდეს ყველამა,
გადაუგარების მოსურნე
შეჭამოს ტერა—მჯელამა.
მაღლობელი ვარ გულითა,
შოთაის სულის ლხენამა,
სამშობლოს სამსახურისთვის
ჩანგი გიკურთხოს ზენამა!“

აკაკის სიტყვა იქმდე მცენელი და გავლენის მომხდენი იყო, რომ
მისი სახელი საქართველოს საზღვრებსაც გასცილდა, როგორც რუსუ-
თში, ისე ეკონძაში. საკმარისია ზოგის მოგონება:

1909 წლის ივლისში აკაკიმ პარიზში იმოგზაურა მკურნალობის
მიზნით. ეს ხმა გავარდა ცუცხოებში მყოფ ქართველებშიც და ყვე-
ლა მიიღოვოდა, მას შეხვედროდა.

1930 წელს სტამბოლის ქართულ მონასტერში გახლდით, სადაც
დავრჩი ითხი თვე და მონასტრის წარსულსა და აწმყოს გავეცანი.
აქ დაწვრილებით შევიტვები: როდესაც აკაკის პარიზში ჩამოსვლა
შეუტყვიათ, ის მოუპატიუნიათ სტამბოლში. გადაუწყვეტიათ მისი
გრანდიოზული მიღება. თურმე ამ შეხვედრას უნდა დასწრებოდნენ
წარმომადგენლები სულთანის უმაღლესი სარდლობისა. ყველასათვის
ცნობილია, რომ სულთანის მაღალი სარდლობის სამ-შეოთხედს მაინც
ქართველობა შეაღენდა. ისინი საჩუმუნოებით მუსულმანები იყვნენ,
მაგრამ სულთნის ერთგულნი, რადგან მაშინ მთავარ მნიშვნელობას
აძლევდნენ სარწმუნოებას და ამაში რაკი ქართველობა არავის ჩა-
მოუგარდებოდა, ისინი დიდი ნდობით სარგებლობდნენ. მზადება აკ-
აკის მისაღებად ფრიად გრანდიოზული ყოფილა. იტალიელებისაგან
შემდგარი მომღერალთა გუნდიც კი ყოფილა მოწვევლი. აქვე ამ
წელს გავიცანი აღბათ 90 წელში მყოფი მაჰმედ ფაშა თავდაცირიძე,



რომელსაც ხშირად ვხვდებოდი და ბევრ საინტერესო რამებს მიმართდნენ თურქეთის ქართველებზე. (დამაჯერებელი წყაროებიდან ვიცი, რომ დღეს თურქეთში ორ მილიონზე მეტი ქართველი ცხოვრობს.) სამწუხაროდ, ამ სამზადისმა აკაკის მისაღებად უქმდა ჩინარა, რადგან აკაკიმ ვეღარ შესძლო სტამბოლში მოგზაურობა და მაჰმუდ ფაშაც სწუხდა, რომ აკაკის ვეღარ შეხვდა.

აკაკი 1910 წელს საქართველოში დაბრუნდა და აედან დარჩა ანეგდორი: აკაკისთვის უკითხავთ: პარიზში რა ნახეო. აკაკის უპასუხია, რომ პარიზში ყოველ დღე აღდგომაა! პარიზში, ჩვეულების მიხედვით, ქუჩაში ჰკოცნიან. მაგ. ქუჩაში რომ ნაცნობ ცოლქმარს შეხვდეთ, ქმარს ხელს ართმევთ, ცოლს კი სამჯერ უნდა აკოცოთ ლოყაზე, სხვანაირად ქმარი ნაშეყნი დარჩება, პატივი არა მცირ! აბა საქართველოში რომელი ქმარი გაგიწყრებათ, ჩემს ცოლს რატომ არ აკოცეო!..

აკაკის პირველი იუბილე, მოღვაწეობის 50 წლისთავის აღსანიშნავად, გადაუხდიათ 1908 წ. დეკემბერში, ხოლო ასი წლისთავის აღსანიშნავად გადაუხდიათ 1940 წელს. 1990 წელს კი იქნება აკაკის დაბადების 150 წლისთავი. სხვა შემთხვევა არ მახსოვეს; 1935 წელს პარიზში გადავიხადეთ ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების ოცი წლისთავი. შესდგა კომისია; მე დამევალა მთავარი მოხსენება. წაგიკითხე: „ვაჟა ფშაველა და ქართული კულტურა“. (შემდეგ ის გავიმეორე ბერლინში 1942 წელს და მერე ის დაიბეჭდა ბერლინში გამოცემულ უურნალში: „ქართველი ერი“).

სწორედ იმ წელს სრულდებოდა აკაკის გარდაცვალების ოცი წლის თავიც და მე მინდოდა, რომ ისიც ვაჟა ფშაველასთან ერთად გადაგვეხადა, მაგრამ ეს არ მოხერხდა. ამიტომ უკანასკნელად გიორგი წერეთლის ინიციატივის დიდის სიამოვნებით შეეხვდი, მაგრამ ჩემი ჯანმრთელობის სისუსტის გამო ღირსეული წვლილი შეტანა არ შემიძლია; თუმცა აკაკი არ საჭიროებს იმაზე მეტის თქმას, რაც უკვე თქმულა და რასაც მომავალშიც იტყვიან!

ეს ჩემი პატარა სიტყვა მინდა დავამთავრო ერთი ახალი ცნობით, რაც შეიძლება, არავინ იცოდეს. 1931 წელს პარიზში ვიყავი და ამ დროს აქ ცხოვრობდა აკაკი წერეთლის შვილი ალექსი. ის უკვე მოხუცებული იყო და ცოტა მამის ელფერი გადაჰქირავდა. მის ცხოვრებას დეტალურად არ ვიცნობ. მგონია, ის რუსულ თეატრს ემსახურებოდა. მას გადაუწყვეტია, რომ თავისი მამის ნაშერები



გამოეცა პარიზში ქართულად. მისთვის მიუციათ ჩემი აკადემიური ამაში მე შემეძლო მისი დახმარება; ჩვენი პირველი შეხვედრა და გაცნობა მოხდა კოკი (ნიკოლოზ) დადიანის ოჯახში. ეს იყო 1931 ან 1932 წელი. ამ შეხვედრას ესწრებოდა გიორგი ჯაყელი. ეს სამი წარმოვადგენდით თეთრი გიორგის მთავარ ხელმძღვანელ ორგანოს. ჩვენი მეთაური იყო ლეო კარესელიძე და ის ცხოვრიბდა უენევაში. მასაც ვაცნობე ყოველივე და მან მოხვავა, ყველაფერს რომ მოათავებ შემატყობინე, მეც მინდა შევხვდე აღექსისო. ამ შეხვედრის დროს გადაწყდა, რომ აკაკის ყველა ნაწერების გამოცემა აქ შეუძლებელი იყო; ამიტომ უნდა გამოგვეცა მხოლოდ აჩეული ნაწერები ერთ ან ორ ტომად. მე მაშინვე შეუდექი მუშაობას, აკაკის ნაწერების შეგროვებას. ამაში ყველაზე დიდი სამსახური გამიშვია მარიამ ლოლობერიძემ. მას აღმოაჩნდა ილიას და აკაკის ზოგიერთი ნაწერები.

სანამ ყველა ამ მუშაობას დავამთავრებდი მდგომარეობა შეიცვალა. აღექსისგან მივიღე ცნობა, რომ გამოცემის საქმე აღარ ეწყობოდა. ჩვენ ყველა ძალიან შევწუხდით, რომ ეს საქმე ჩაიშალა. ამის შემდეგ მე საშუალება აღარ შეონია აღექსისთან შეხვედრისა. ის უკვე მოხუცი იყო და აღარ ვიცი მისი სიცოცხლე როგორ გათავდა!..*)

ალ. მანველიშვილი. ოქტომბერი 1990.

*) ამ ამბის ეპილოგი მეტისმეტად დამალონებელია. გასლლი წლის სექტემბერში პროფ. გურამ შარაძეს ვახლდით მე და ჩემი მეულე სენ-ტ-უანის სასაფლაოზე, სადაც აღექსისა და დედამისის საფლავები გვეგულებოდა. სასაფლაოს სამმართველომ შემდეგი ცნობა მოგვცა: ქ-ნი ნატალია წერეთლისა, დაბადებული ბაზილევსკიია გარდაცვლილი 28.III.1933 წ. პარიზში დაიკრძალა საფლავები რეგისტრი № 524; ბ-ნი წერეთელი აღექსი გარდაცვლილი პარიზში 16.V.1942 წ. რეგისტრი № 2074. ორივე საფლავის ერთამბის ვადა 1972 წ. დამთავრებულა. 1981 წელში მათი ნეშტები გაღაუსაფლავებით საერთო თხრილში. და ამრიგად, ჩვენი ყველას დაუდევრობით, ჩვენი სამაცყო მგოსნის უახლოესი აღამიანების ძვლებიც დაეკარგა ქართველ ხალხს.

ე თ ე რ ი



Chers amis,

Découvrant Paris, il y a plus de quatre-vingts ans, Akaki s'écriait :

თუ თვით სამოთხე არ არის
მანც სამოთხის პირია!

(Paris 1909)

Si ce n'est pas le Paradis même,
C'en est du moins la frange !

Moins de douze ans après qu'il ait écrit ces vers, vos parents ont choisi la France comme terre d'accueil, après l'invasion russe de la Géorgie. Mais aujourd'hui, c'est moi qui suis votre hôte, pour célébrer Akaki TSERETELI - si grand et si aimé qu'on l'appelle par son seul prénom, AKAKI. La traditionnelle et toujours réelle chaleur de l'amitié géorgienne m'a chargé d'un exposé au titre tel que pour l'honorer, j'aurais évidemment dû lire les quinze tomes de l'édition des œuvres d'Akaki, plus quelques études sur sa vie. Vous avouerai-je que je n'ai pu le faire?

Mais je suis heureux du moins de pouvoir partager avec vous, Géorgiens — qui le connaissez cent fois mieux que moi — avec peut-être quelques Français, qui ne l'ont guère lu, de pouvoir partager, donc, un peu de mon enthousiasme pour ce grand écrivain et ce grand maître à vivre.

Si vous me permettez encore une note personnelle, je vous dirai que je suis d'autant plus heureux d'honorer ici, parmi vous, AKAKI, que j'ai participé, il y a trois ans, au symposium consacré à ILIA à Tbilissi, pendant lequel la grande majorité des communications ont été lues en russe ou dans une autre langue que le géorgien — situation qui semblait nous reporter à l'époque d'Ilia et Akaki, où, vous le savez, la langue géorgienne était menacée.

Akaki TSERETELI naquit en effet, le 9 juin 1840, à Satchkhéré, en Géorgie occidentale, sous l'occupation russe. Il était arrière-petit-fils de roi par sa mère laquelle avait d'ailleurs été éduquée par des prêtres catholiques.



- Jusqu'à cinq ans, conformément à l'atale k' , il fut élevé dans une famille de paysans; il en garda toujours l'amour des humbles, des traditions populaires.
- Il apprend à lire en famille, où il reçoit une éducation religieuse et mène une vie à la fois princière et austère. Puis il va au lycée de Koutaïssi, ensuite à la Faculté des langues orientales à l'Université de Saint-Pétersbourg.
- Il avait écrit déjà une tragi-comédie, qu'il brûla à son retour de Saint-Pétersbourg. Dès 1858, Tsiskari publie sa première traduction, un poème de Lermontov. En 1859, avec la célèbre poésie " Saïdoumlo Barati" — déjà perce l'un des thèmes majeurs de son œuvre, l'amour de la terre natale, de la patrie. C'est sa véritable entrée dans le monde littéraire.

Il faut dire aussi que si AKAKI a été tout ensemble dramaturge, romancier, publiciste, c'est la poésie qui est son don le plus remarquable — en cela d'ailleurs, il se montre héritier d'une riche tradition géorgienne, que ce soit la poésie religieuse transmise dès le Xème siècle dans les manuscrits, ou la poésie orale que, depuis des temps immémoriaux, la tradition populaire véhicule et enrichit.

- Vingt ans plus tard, ou presque, AKAKI réfléchit sur son art, et, à vrai dire, devrait décourager tout orateur; n'écrivit-il pas, dans le poème " Le poète ", en 1886 :

" Je ne suis pas celui que vous croyez,
Ni celui que d'autres s'imaginent "

Il ajoute :

" Je suis médiateur, tout simplement,
Tantôt, je suis de la terre, tantôt du ciel."

Mais n'oubliions pas que cette chute du poème répond à celle de la première strophe :

" Trompette/signal d'alarme des événements,
Je ne suis ni de la terre, ni du ciel."



Cet homme veut être libre, miroir cordial de la vie publique géorgienne, sans autre chef : ” Ce cœur, changé en miroir ”, strophe 3 du même poème. Et c'est en effet le reflet de sa vie personnelle, tout entière au service du peuple, de la patrie, si opprimés alors, mais sans autre engagement officiel. Tant il est vrai — et c'est encore une leçon de l'histoire géorgienne, je pense en particulier à la libération du joug arabe préparée par l'œuvre culturelle et religieuse de Grigol KHANDZHELÉ — tant il est vrai donc, que toute renaissance civile et sociale se prépare par une renaissance culturelle, et la religion fait partie de la culture.

Pour revenir à l'œil du poète, il est un endroit d'où, encore vingt ans après, en 1906, il s'exerce, et il est convenable ici, à Paris, de le mentionner : c'est du haut de la tour Eiffel. Arrivé au sommet du monument, d'où tout paraît, de la vie et des œuvres, si petit, d'où l'on ne peut plus distinguer l'ennemi de l'ami, je cite :

” Alors je dis : celui-là aussi
qui, de temps à autre s'éloigne du peuple
et part en haut, tout en haut,
ne reste-t-il pas pris entre deux ?
En tout cas, il perdra
ce juste jugement sur le peuple
et ne pourra distinguer en vérité
le bien du mal.”

Le Français, lisant ce poème, ne pense-t-il pas invinciblement au poème où Baudelaire évoque, lui aussi, son expérience de poète, sous l'image de l'albatros: ”... prince des nuées/ ... / exilé sur le sol au milieu des huées” ? Ici encore, on sent la profondeur de l'engagement d'Akaki, par contraste avec le tableau du solitaire incompris des foules que brossait Baudelaire.

S'il prépare le bonheur de la Géorgie, il sait bien que ce ne peut être que dans la vérité. A l'opposé des démagogues, il expose aussi bien les malheurs que les bonheurs de la Patrie. Par ce sens profond du réel, il transcende de beaucoup le simple procédé littéraire du ” réalisme ”.



Ecoutons-le encore dans " Tchangouri " :

" Moi, je veux un Tchangouri pour ceci :
qu'il serve la vérité,
confirme les saintes pensées,
brûle le cœur de pureté. "

(1871)

La " puissance du tchangouri " avait déjà été l'objet d'un poème d'Akaki (1864), comme le " Salamouri "; le " Tchongouri ", (ou tchangouri) c'est la Géorgie, nous tous, sommes les cordes, nous qui vivons en diverses régions".

On sait — et nous entendrons certainement tout à l'heure certains airs — que très vite plusieurs poèmes d' Akaki furent mis en musique et devinrent extrêmement populaires. "Souliko" en particulier, a franchi les limites de la Géorgie. Mais c'est toute une vision d'harmonie, c'est-à-dire de beauté résultant des diverses particularités, des différences, qui s'exprime ainsi. Message toujours actuel; comme est actuelle la conclusion, en apparence inattendue, du grand poème " Gamzrdéli ". L'éducateur , à qui son fils spirituel vient confesser son crime — crime particulièrement odieux selon le code de vie des montagnards, et nous sommes chez les Abkhazes — se juge lui-même coupable de mort, pour n'avoir pu l'éduquer à devenir un homme, digne de ce nom.

Aussi est-il intéressant de citer ici une autre réaction à la vision de Paris, beaucoup moins paradisiaque que les deux vers cités au début de mon exposé : " n'attends d'aide de personne ". Cela contredit l'idéal fraternel d'Akaki, tel qu'il s'exprimera superbement dans nombre de poèmes :

"Qu'il soit maudit d'entre les hommes,
qu'il soit damné sur toute la terre,
qui ne croit ni ne veut
fraternité, unité et amour"

non en parole seulement :

"Qu'il soit maudit d'entre les hommes,



qu'il soit damné sur toute la terre,
qui proclame de bouche seulement
fraternité, unité et amour. ”

(1911)

” Que Dieu éloigne de moi la richesse
mais qu'il me donne chaque jour un morceau de pain;
je ne veux avec cela rien
qui ne soit divin ” (1911)

Et c'est tout le testament à son fils qu'il faudrait citer:

” Ne te soucie pas de toi seul,
souviens-toi toujours des autres aussi,
prends pour glaive le travail
et pour bouclier la patience ! ”

(1er juin 1909)

On voit qu'on pourrait, non seulement pour la beauté des vers, pour l'action patriotique, mais encore pour son moteur profond, le véritable idéal chrétien, ne pas séparer Akaki d'Ilia. A la mort d'Ilia, Akaki écrivait : " Et Ilia n'est pas mort, pour la patrie il restera comme un phare ". (1907). Si nous célébrons aujourd'hui Akaki, c'est qu'il reste aussi comme un phare dans le monde agité d'aujourd'hui.

Akaki n'ignore pas la dure histoire géorgienne; qu'il met en scène dans de grandes fresques historiques; mais ce Victor Hugo de Géorgie ne cesse de projeter l'avenir du pays, et de le juger moralement. On connaît le jugement, tout caucasien, du poème " La femme géorgienne ": apprenant la mort au combat, combat victorieux, dont l'issue est d'ailleurs la première question qu'elle pose, apprenant donc la mort au combat de deux de ses fils, mais la fuite d'un troisième, elle clame :

” Je ne pleure pas ces deux fils-là
morts héroïquement au combat,
je me lamenterai sur celui qui est resté vivant,
sans gloire, comme un âne ! ”

(1881)



Il faut particulièrement souligner l'amour d' Akaki pour "la douce langue"

" dans laquelle Thamar donnait ses ordres,
Kéthévane te glorifiait sans trêve
et Nino prêchait au peuple que tu t'es choisi
les commandements de ton fils"

(" Torniké Eristavi " — 1884)

dit-il à Dieu; et encore :

" Jeune, si tu veux aimer
beaucoup ta patrie,
tu dois d'abord apprendre à lire .
La première lettre est : A "

Tout le poème, " Alphabet géorgien ", se poursuit jusqu'à la dernière lettre avec des jeux de mots sur le nom des lettres. (5 janvier 1875)

Je ne vais pas me lancer, devant l' Association des Hommes de Lettres Géorgiens, dans une analyse de la langue et du style d' Akaki . Je relève simplement comment, ici aussi, par des contrastes, il déjoue tout jugement qui voudrait l'enfermer dans une catégorie, le priver, en quelque sorte, de sa liberté : contraste de la simplicité de la langue et de la richesse du vocabulaire, du style élevé et des mots expressifs à redoublement, en particulier. Je relève simplement dans " Souliko " : კოკობი, ჩურჩული, ბულბული, ჩაიტიკიყა, დაგეჭათუათება.

Dans la dernière poésie d' Akaki, on retrouve : ბულბული, ჭიკჭიკი.

Il faudrait, bien sûr, évoquer les récits et les nouvelles, les comédies et les drames, les articles de critique , l'action dans les deux plus grandes associations culturelles géorgiennes de l'époque : l' Association pour le développement de la lecture et de l'écriture chez les Géorgiens et l' Association d'Histoire et d'Ethnographie de Géorgie. Sait-on, par exemple, qu'il fut attentif aux travaux du Père Mikheil TAMARACHVILI, sur le catholicisme en Géorgie, qu'il qualifiait de " très nécessaires " (lettre de 1909) ? Le 24 Octobre 1909, Akaki écrit du Normandy Hôtel, rue de

l' Echelle, à Paris, qu'il est obligé par les circonstances, de retourner au Caucase, mais qu'il ira pour plus longtemps à Rome. La rencontre, hélas, ne se fit pas, car Akaki ne revint pas en Europe.

En 1910, le jubilé d' Akaki fût une fête nationale. En 1912, si j'ai bonne mémoire, son voyage en Ratcha-Letchkhoumi ouvre l'ère du cinéma géorgien.

Faut-il conclure, alors que d'autres vont encore le faire ? Je dirais que si Akaki a donné à la Géorgie, à son indépendance, à son équilibre social, à sa langue et à sa culture, l'entièreté de ses forces, il lui a laissé un message — qui englobe, mais qui, selon moi, dépasse de loin sa valeur comme écrivain, un écrivain à traduire en français ! - il lui a laissé, dis-je, un message spirituel, qui s'adresse encore à nous aujourd'hui, dans toute sa force à l'heure où la Géorgie, la société géorgienne, doit se reconstruire. Vraiment, comme Akaki l'écrit dans sa dernière poésie :

”Je serai, même mort, vivant encore ! ”

„ცოცხალი ვიყო, გინდ მკვდარი!“

ცოცხალი იყოს! ქსაა ჩვენი ვალი.

Bernard O U T T I E R

ა კ ა კ ი: მ ა მ ყ ლ ჸ ე მ ლ თ ც ი

კარღუსთან უცნაურ საუბარში, გრიგოლ რობაჭიძე მას ეუბნება: „დიდ ხანს მომიხდა, კარღუ, შევჩერებულიყავ უართული შაირის ირგვლივ. ეს იმისთვის, რომ ცხად მეყო, რომ შენი ენა საკრალურ ენათა ჯგუფს ეკუთვნის და, შენი ენა საგალობელოა“. არ შეიძლება, ამაში არ დავეთანხმოთ კართული ენის ამ კიდევ ერთ დიდ მესახილუმლეს, ხოლო ჩვენის მხრით მას დავუმატებთ, რომ ამ ენაზე უთვალავ მგალობელოა შორის, აკაკი ერთ-ერთი უკეთესთაგანია. მართლაც, სწორუპოვარ შოთას შემდეგ, დიდებულ აკაკის მსგავსად, მისებური ტებილხმოვანებით სხვას არავის აღარ



აუდელებია ქართული ქნარი. აკაკი ქართული სიტყვისა და უძრავისა და ლექსის უბადლო ოსტატია და, ისიც უნდა ითქვას, ქართველი ქაკი იყო მისდამი „გირხსანი“ ან უმაღლერი. პირიქით, კაცობრიობის ისტორიაში იშვიათად უხვდებით სხვა მაგალითს ერისა და მისი პოეტის ურთიერთ ზიარებისა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა მის სიცოცხლეშივე აკაკისა და ქართველებს შორის. აღსანიშნავია ის ღაეტი, რომ აკაკი გაუხუნარი ჩჩება დღემდე, ის ისევე ძალუმად ეხმიანება დღევანდელ ქართულ ყოფას, როგორც იმ დროს, როცა ის მოღვაწეობდა და ქმნიდა მის მხარეზე ქმნილებს.

გიორგიევსკის ხელშეკრულების ირგვლივ საუბრისას, ბ-ნი ჯანრი ქაშია აღნიშნავს, რომ ქართული სახელმწიფოებრივი იდეა იმ დროს საშუალო საუკუნეების დონეზე დარჩა. მაშინ როცა ევროპის მოწინავე სახელმწიფოები რელიგიურიდან ეროვნულზე გადავიდენ, ქართულ დიპლომატიას კვლავ სარწმუნოებრივი მოტივები ასაზრდოებდა. ეს აზრი მართებულია არა მარტო გმირ მეფე ირაკლის მიმართ, არამედ აგრეთვე ჩევნი დროის პოლიტიკური მოაზროვნეთათვისაც. ამჟამინდელი ჩევნი ეროვნული განთავისუფლების მოძრაობა კარბად განიცდის სარწმუნოებრივ იდეოლოგიას. აკაკი წერ - თელი არც პირველია და არც ერთადერთი, რომელიც ამ ძირითადი ხაზის საწინააღმდევოდ, ეროვნულ მომენტს ანიჭებს უპირატესობას, მაგრამ მასავით სხარტად და მცველობად იგი არავის გამოუთხვამს:

„არც მყვარებია, არც მიყვაჩს,
არც მდომებია, არც მინდა,
არც მწამებია, არცა მწამს
შენს გარდა კიდევ სხვა წმინდა“.

ანდა კიდევ:

„ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე – მოელი ქვეყანა
და, რომ ვიწვოდე, ვდნებოდე
არ შემიძლია მე, განა.“

ამიტომაა, რომ კეთილშობილი ქართული ნაციონალიზმის სათა-



ვების პირუთვნელი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის ადგიუსტონის უფანებელ სახელს, მის დვაწლას და ამაგს მთლიანად და ღმურვების მიძღვნილს ქართული სულის ასაყვავებლად.

უკვდავია ქართველი ერი, რამეთუ მას ძალუს ეამთა უკიდურესი განსაცელისათა მის საშოღან უკას მისი მხსნელი უკიდურესი ერთი ასეთი ძნელბეღობის უძმთაგანი განხლდათ გასული საუკუნის მეორე ნახევარი. სწორედ იმ უაბნელ დროს ქართლის ცხოვრებისა, ქართული სიტყვის, ქართული აზროვნების ასპარეზზედ გამოდის ორი ბუმბერაზი: ამერიკული ილია ჰავჭავაძე და იმერეთში აკაკი შერეთელი. თუმცა მათი ხმები განსხვავებულია, მაგრამ რაოდენ ხმაშეწყობილად უგალობენ ისინი სათაყვანო მამლოს, ამერისა და იმერს, სრულიად საქართველოს. შათი ხმაშეწყობილი გალობა ერთ არსად ჰკრის და ადუდ აბებს ქართველობას.

1918 წლის 26 მისს კვლავ აღსდგა საქართველოს სახელმწიფო ებრიობა. სიბრივე და უმაღლერება იქნება, უგოლებელვყოთ იმ ქართველთა დამსახურება, რომლებიც იმ ბეღნიერ დროს მოღვაწეობდენ, რინ უძღვდენ ამ დიდ ეროვნულ საქმეს, გარნა არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მათ ჩირალდანივით გზის უნათებდათ ილიასა და აკაკის, საერთოდ მესამოციანელთა ბრწყინვალე თაობის ნათელი. როცა სიონისა და მთაწმინდის ზარები განთავისუფლებას იუწყებდენ, ეს იუმ აგრეთვე დიდი ილიასა და აკაკის ხმაშეწყობილ გალობათა გამოძახილი, მათი ღვაწლის და ანდერძის ხორცებსმა.

ხანოკლე იყო ბეღნიერება. ისევ იძალა ბოროტმა, ეშმამ და ტარტარიმა. ისევ უდვოთოდ ეწამა ჯვარზე გაკრული ქართველი ერი. გრძელი და შავ-ბენელი იყო წარების ღამე და, როგორც დიღმა ილია იწინასწარმეტყველა: „არსაიდან ხმა, არსით ძახილი, მშობელი უმბილს არას ეტყოდა“. იავარ იქმნენ სულიერნი საუნჯენი ერისა. ალკვეთილ იყო უმინდა მათათა ლოცვა-ვედრება-ლიტანიობა. უწყალოდ ჰკორტნიდა ყვავ-ყორანი კავკასიის ქედზე მიჯაჭვულ ამირანის გულსა და ღვიძლს ...

მაგრამ, არ ყოფილა მთლად განშირული ქართლოსიანთა მოდგმა და მამული. ღმერთმა გონება აურია ბოროტ სატანებს და მათ დააგიწყა, რომ გადაეკერთა იმ ღარის სათავე, საიდანაც მომდინარებდა ქართული მამულიშვილობის აუმღვრეველი ანკარა წყაროები: რუსთველისა და აკაკის, ილიასა და ვაკასი. ეს უკვდავების წყლები მით- ური ანთეოსივით აძლიერებდენ, ამტკიცებდენ ქართულ სულს, სულ

მაღლა-მაღლა ცის ტატნობზე საფრენ ფრთხებს ასხამდენ უკანასკნელი გოგონებსა და კაბუკთ, რწმენას, თავდაჯერებას და იძელს უწყვეტ-ვდენ ქართველ კაცს ყველგან და ყოველთვის...

აი, მიზეზი და საიდუმლო, მეგობრებო, იმ სასწაულისა, რომელ-საც ახდენენ ჩვენი დროის ახალგაზრდები იქ, ქართველთა საულო-ში, შიშველი ხელებით რომ იბრძვიან და იმარჯვებენ ბაყბაყ დევე-ბზედა და გველლეშაპებზე. მაღლობა მათ და მათ დიდ სულიერ მო-ძღვარ აკაკის, რომელსაც მისივე ლექსით მივმართავთ:

„მ ლ ე რ ა ლ ო ტ კ ბ ი ლ ო,
მ ა მ უ ლ ი ს შ ვ ი ლ ო,
ა მ ა ლ ლ ე ბ უ ლ ო ს უ ლ ი თ ზ ე ც ა მ დ ე !
ი ყ ა ვ კ უ რ თ ხ ე უ ლ ,
ა რ - დ ა ვ ი შ ყ ე ბ უ ლ
ა მ ი ე რ ი დ ა ნ უ კ უ ნ ი ს ა მ დ ე !“ –
(„ალ. ჭავჭავაძის საფლავზედ“)

პ ე რ ე ვ ი ს ე ლ ო

ა კ ა კ ი წ ე რ ე თ ლ ი ს ხ ს თ ვ 5 ა ს

პოეტო, დღესაც დავეძებთ
საყვარლის საფლავს დაკარგულს,
სულიკ ვერსად გაიკვეთ,
ცეცხლი ედება სულს და გულს ...
და შენი ციცინათელაც
სხვისკენ ფრენს კვლავ ნელა-ნელა,
მისმა შორის-შორის ნათებაშ
მთლად დამწვა და დამანელა.

სისხლი დავდგართ, რა სისხლი!
წმინდათაწმინდა ქართული,
მტერი ვერავი აღმოჩნდა,
ვერ დავხსენით მამული ...
დღესაც საღ კლდეზე მიჯაჭვულ
ძალა არ გმოგლევია,
შენ შემდეგ რამდენი მწარე
საჩისალა დაგრილევია ...

ვლესავ და ვლესავ ხანჯალსა,
ჩენენ და მეტენს შორის მოციქულს,
ჩინგურის ნაცლად მახვილი,
რომ მივაგებოთ მისსა გულს ...
ვუცდოთ და ვუცდოთ, არსად ჩანს
ჯაჭვის გამწვევები გმირია,
გულწრფელად გადავეცვევით,
ვინც უნდა იყოს იგია!

შენი ძახილი კვლავ გვემისა
მწამს გამოვახელოთ თვალსამა,
შენ და საჩიშობლოს წინაშე
ჩენენაც მოვიხლოთ ვალსამ ...
შენი ყიუინა კვლავ გვრჩმავს,
პოეტი შეუსადარო!
ქართველი ერის შვილების
დაუღალავო საჩდალო!..

ს ო ს თ ჭ ო რ ჭ ო ლ ი ა ნ ი

საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ მწერალთა და ჯურნალისტთა გამგეობის ორგანიზაციით, ამ წლის 18 ნოემბერს, პარიზის ქართული ეკლესიის ბინაში გაიმართა აკაკი წერეთლის დაბადების 150 წლისთავის აღსანიშნავი ლიტერატურული დღესასწაული, რომელიც შემდეგი შესავალი სიტყვით გახსნა მომწვევი საზოგადოების გამეობის თავმჯდომარებმ გიორგი წერეთელმა:

„პატივცემულო საზოგადოებავ, ძვირფასო თანამებამულენო !
 ნება მიბოძეთ, რომ ჩვენი დღევანდელი თავშეყრა გახსნილად გამოვაცხადო. თქვენ იცით, რომ ჩვენი ამჟამინდელი შეკრების დედაბაზი, ჩვენი ქართული კულტურის დიდი მოამაგის, კერძოდ ქართული პოეზის დიდებული წარმომადგენლის, აკაკი წერეთლის დაბადების 150 წლისთავის აღნიშვნაა.

სანამ ჩვენი კრების პროგრამას დაგიშუებდეთ, თქვენი ყურადღება მინდა შევაჩერო იმ დიდმნიშვნელოვან ამბებზე, რომელიც ამჟამად საქართველოში მიმღინარეობენ.

20 სექტემბერს, 1 და 4 ოქტომბერს, ეროვნული განთავისუფლების პარტიის საკონრდინაციო ცენტრის გადაწყვეტილებითა და ორგანიზაციით, დამოუკიდებლად საბჭოთა სტრუქტურებისა, ჩატარდა ეროვნული კონგრესის არჩევნები დემოკრატიულად, საყოველო, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრით. ექვს ბლოკად დაჯგუფებულ ეროვნულ პარტიებთან ერთად არჩევნებში კენჭს იყრიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ეგრედ წოდებული დემოკრატიული ფრაქცია.

რომელიც შიცემული ხდების 5,51% მიიღო მხოლოდ.

28 ოქტომბერს და 11 ნოემბერს ჩატარდა საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მრავალპარტიული (პირველად მთელ საბჭოთა კავშირში) არჩევნები, აქეც კომპარტია მკაცრად დამარცხდა. ვას ხდა მისცა ამომრჩეველთა მხოლოდ 30% -მა, ხოლო „მრგვალი“ მაგიდა თავისუფალი საქართ.-ო“-ს, ეროვნული დამოუკიდებლობის პოლიტიკურ ბლოკს, რომელსაც ცნობილი სამართლდამცველი პნი ზეიად გამსახურდია მეთაურობს,— შიცემულ ხმათა თითქმის 55 -მა პროცენტმა.

14 ნოემბერს გაიმართა პირველი სხდომა ახლად არჩეული უმაღლესი საბჭოსი, რომელმაც 232 ხმით, ხუთი ხმის წინააღმდეგ,

ამ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარედ პრეზიდენტი პუტინი ზეიად გამსახურდია.

ამასთან ერთად ცნობილი გახდა, რომ საქართველოს კომუნისტური მთავრობა, ნოდარ ჭითანავას თავმჯდომარეობით, გადადგა.

ამრიგად, ქალბატონებო და ბატონებო, ჩვენი დღევანდელი შეკრება ემთხვევა ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა რევიმის კრიზის და ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ჩელიზაციის დასაწყის...

ამბობათ ზედმეტია გიორგიათ, რომ ამჟამად, როგორც არასოდეს, საჭიროა მთელი ქართველობის ერთად შემოკრება-შემშეიდროვება, განუტჩევლად პარტიულობისა, სარწმუნოებისა და სოციალური მდგრადირეობისა; ხოლო ჩვენს წინმძღოლ-ხელმძღვანელებს მართებთ დოლი სიტრანსილე, გონიერება, წინდახელულება, უშიშობასა და სიმტკიცეთან ერთად, რასაცვირველია.

მე პირადად განზრახული მაესტრი, რომ ქართველი ხალხის ეს დიდი ნდობა მივულოც ბატონ ზეიად გამსახურდიას და ვისაც გნებავთ მოაწერეთ მას ხელი სანამ დარბაზს დასტოვებდეთ.

მისალმების ტექსტი:

„საქართველოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნ ზეიად გაგამსახურდიას,

ჩატონ თავმჯდომარე,

ჩვენ, პარიზში მცხოვრები ქართველები, რომლებიც დღეს აქ უკვირიბეთ ჩვენი დიდებული პოეტის აკაყი წერტლის დაბადების 150 წლისთავის საზემოებლად,— დიდი კმაყოფილებით აღვიქვამთ საქართველოს უმაღლეს საბჭოს უკანასკნელ არჩევნებში, თქვენი მეთაურობით „მრავალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს“ პოლიტიკური ღორმაციის ბრწყინვალე გამარჯვებას და, 14 წლებრივ, საქართველოს რესპუბლიკის ამ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს, თავმჯდომარედ თქვენს თითქმის ერთხმად არჩევას. გესალმებით და გილოცავთ, როგორც თქვენ პირადად, ისე თქვენს თანამებრძოლებს და სასოებით შევსთხოვთ უფალს, რომ მან თქვენ შეგაძლებინოთ იმ დიდი მისის ხორცშესხმა, რომელსაც ქართველი ხალხი თქვენ გაეისრებთ.

გაუმარჯოს თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოს!

დიდება ქართველ ერს! “



.. ასე, რომ, მეგობრებო, ჩვენი დღევანდელი აქ უკრებული მიმდინარეების სისიათს იძენს: აკაყი წერტლის მთელი ცხოვრების გაშეობა მიძღვნილი იყო მისი მშობელი ხალხის ეროვნული განთავისუფლებისადმი. ამიტომ, დღეს, როცა პატივს მივაგებთ დიდებულ მგოსანს, ჩვენ იმავე დროს პატივს მივაგებთ ქართველ ერს, ქართულ კულტურას, საქართველოს განთავისუფლებას.

დიდება აკაყის! დიდება ქართველ ერს!“

მთელი დარბაზი ფეხზე ამდგარი ჰდერის „დიდებას“

„პროგრამა:

- სალომე ბებურიშვილი-წულაძისა: „გმირს ვეძებთ? ვუშენოთ ბრძენ აკაყის“ – ქართულად,
- ბერნარ ლტიე: „ა კ ა კ ი: კაცი და საქმე“ – ფრანგულად
- ალექსანდრე მანველიშვილი: „ტკბილი მომლერალი აკაყი“, წაიკითხავს ზაქარია ლაშვილის
- დავიდ აგმინი: „აკაყი წერეთელი“, ქართულად, წაიკითხავს ქნითინა ჩიქოვანი (საქ. ეურნალისტთა კაცშ. წევრი)
- გ. პერევისელი: „მამულზე მღოცველი აკაყი“ – ქართულად
- აკაყის ლექსებს – ქართულად და ფრანგულად – „აიკითხავენ: ვენერა ხაბულიანი, იონა გუნია, თინა ჩიქოვანი, სალომე ბებურიშვილი, ვანო ციციშვილი, ზაქარია ლაშვილიშვილი, გიორგი წერეთელი...“
- აკაყის ლირიკას იმღერებს „მერანი“, ოთარ პატარიძის ლოტბარ-ობით“

ამ პროგრამიდან დამსწრე საზოგადოებამ ვერ: მოისმინა ქნი ბებურიშვილ-წულაძის მოხსენება, რადგანაც მან თავი ვერ გაინთავისუფლა სამსახურიდან, და ვერც „მერანის“ სიმღერები, გუნდის წერტების გამოუცხადებლობის გამო. მათი „ცოდვა“ გამოისყიდა ოთარ პატარიძეს, რომელმაც ჩინგურზე დაკვრით იმღერა „დაიგვიანეს“, „ციცინათელა“ და სხვა რისოვისაც მან დამსახურებული ოვაცია მიიღო.

პროგრამა საკმარისზე გრძელი გამოდგა, დამსწრენი რომ არ გადაედალა, თავმჯდომარებ მოხსნა მისი მოხსენება, იმ მოტივით, რომ „გუშაგის“ მკითხველები მას მაღლ წაიკითხავენო.



ჩვენმა მკითხველმა იცის, რომ წელს აპრილში, „ეროვნულ ფორუმში“ გაერთიანებული ეროვნული გამანთავისუფლებელი მოძრაობის მადგენელი პოლიტიკური ძალები ორ ბანკად გაიყვენ. ფორუმიდან წასულებმა შექმნეს „მრგვალ მაგიდად“ წოდებული ორგანიზაცია, ბ-ნ ზეიად გამსახურდიას სპიკერობით. მრგვალმა მაგიდამ გადაწყვიტა მონაწილეობა მიელო ოფიციალურ საქ. რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს არჩევნებში, რომელიც პირველად ეწყობოდა მრავალპარტიული წესით.

დარჩენილმა ეროვნულმა ფორუმმა გააგრძელა დასახული მიზანი, შექმნეს ეროვნული დამოუკიდებლობის მომხრე ფართო პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლობითი ორგანო „საკონრდინაციო ცენტრი“, რომელმაც გადაწყვიტა, რომ საბჭოთა სტრუქტურების გარეშე მოეწყო ეროვნული კონგრესის არჩევნები პროპორციული საარჩევნო წესით, საყოველთაო, პირდაპირი და ფარული, საკონრდინაციო ცენტრის მიერ მიღებული კანონით. საკონრდინაციო ცენტრმა არჩევნების მოსაწყობად შექმნა „ცენტრალური საარჩევნო კომისია“ და 30 სექტემბერს დანიშნა არჩევნები.

გასაგებია, რომ ასეთ პირობებში პოლიტიკური ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა. კონგრესის არჩევნები გაგრძელდა. ოც ოქტომბერს შეიკრიბა მისი ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელმაც შეაჯამა შედეგები და პრესაში გამოაქვეყნა შემდეგი შინაარსის ცნობა: არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა **2958735** ამომრჩეველს, მონაწილეობა მიიღო **1 505 547** ამომრჩეველმა, მონაწილეობაგან **1 357 924** ამომრჩეველმა სწორად შეავსო ბიულეტენი და მხარი დაუკირა ერთ-ერთ საარჩევნო ბლოკს. კონგრესის საარჩევნო კანონის **94** მუხლის თანახმად არჩევნები ჩატარებულად ითვლება და **96**-ე მუხლის თანახმად, საქ. ეროვნული კონგრესი არჩეულად ითვლება. ეროვნული კონგრესის სურათი:

1. ბლოკი „ეროვნულ-დემოკრატიული და დემოკრატიული პარტიების“	441 722	32,53%	55
2. ბლოკი „დემოკრატიული საქართველო“	249 488	18,37%	37
3. ბლოკი „ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია-ეროვნული კაგშირი“ –	182 229	15,51%	71
4. საქ. სახალხო პარტია –	59 182	4,36%	9
5. კომპარტიის დემოკრატიული ფრაქცია –	74 881	5,51%	11
6. საქ. მოქალაქეთა ლიგა –	50 422	3,71%	7

ეროვნულ კონგრესში სულ არჩეულია ორასი კონგრესმანი.

(გაგრძელება იხილეთ 67 გვერდზე)



ზვიად კოცხარიშვილის ე გამსახურდია

დაიბადა 1939 წელს. იგი ქართული მწერლობის კლასიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას შვილია. დაამთავრა თბილისის სახ. უნივერსიტეტის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკ – ტი. მუშაობს შოთა რუსთაველის სახელობის ქართ. ლიტერატურის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. მისი მეცნიერული ინტერესები მოიცავს ქართული კულტურის, რუსთველოლოგიის, თეოლოგიის, ანთროპოლოგიის, საზღვარგარეთული მწერლობისა და მთოლოგიის სფეროებს. იგი ფილოლოგის მეცნიერებათა კანდიდატი, მრავალი მო-

ნოგრაფიისა და სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. ზეიად გამსახურდიდა ცნობილია, როგორც პოეტი და ბელეტრისტი. გამოიქანდა მრავალ აქტერთა მიერ და ლექსებისა და იგავარიაგების კრებულები, ავტორია შრავალმხრივი ლიტერატურის ცოდნებითი ნარკვევებისა. მას ეკუთვნის ამერიკული, ინგლისელ და ფრანგ შეერალთა ნაწარმოებების მაღალმხატვრული თარგმანები. იცის ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული ენები.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა დაიწყო 50 -ან წლებში, რისთვისაც ჯერ კიდევ 17 წლის ახალგაზრდა დაპატიმრეს. მიუხედავად ამისა 60 - 70 -ან და 80 -ან წლებში ინტენსიურად განავრდნობდა პოლიტიკურ მოღვაწეობას. იყო საქართველოში პირველი თვითგამოცემითი უურნალ-გაზეთების ჩედაქრონ-გამომცემელი. 70 -ან წლებში გამოსულმა „ოქროს საწმინდა“, „საქართველოს მოაზემ“, „საქართველომ“, „მატიანემ“ და სხვებმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღორძინების საქმეში.

ზეიად გამსახურდიდა საქ. ჰელსინკის კავშირის დამფუძნებელი და უცვლელი თავმჯდომარეა. 1989 წელს აირჩიეს წვ. ილია მართლის საზოგადოების თავმჯ-რედ. არის კველა საპროტესტო აქციისა და გამოსკლის ერთ-ერთი ინიციატორი და აქტიური წარმმართველი.

1977 - 1979 წლებში ზეიად გამსახურდიდა იყო ჩერქესირებული. პოლიტიკური მოღვაწეობისათვის სასჯელს იხდიდა თბილისის, მოსკოვისა და კასპიისპირეთის საპატიმროებში.

ჰყავს მეუღლე და სამი ვაჟიშვილი“. (საქართველოს პრესიდან)

*** *** ***

ს ა ქ . უ ზ ა ე ს ი ს ა ნ ჭ ი ს თ ა ვ მ ჯ დ ი მ ა რ ი ს
ბ - 6 % ვ ი ა დ გ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა ს გ ა მ თ ს ვ ლ ა

პატივცემულო დეპუტატებო!

პატივცემულო სტუმრებო!

პატივცემულო საზოგადოებავ!

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, საქართველოს შეურიგებელი, დემოკრატიული ოპოზიციის ძალისხმევით მიმდინარე წელს ჩვენს ქვეყანაში პირველად გაიმართა მრავალპატიული, დემოკრატიული, არასაბოლორი არჩევნები. ამ არჩევნებში ქართველმა ერმა გამოხატა თავისი ნება, მან თავისი ნდობის მანდატი გადასცა

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აგანგარდს – გართვალებული საარჩევნო ბლოკმა შრგვალმა მაგიდამ – თავისუფალმა სკეპტიკელმა! გილოცავთ ამ გამარჯვებას, მეგობრებმა!

ქართ. ერმა გამოამჟღავნა უდიდესი პოლიტიკური სიმწიფე, მაღალი ეროვნული და მოქალაქეობრივი შეგნება. ქართველმა ერმა დაამტკიცა, რომ იგი მზად არის თავისუფლებისათვის! ჩვენ უდიდესი მადლობა უნდა მივაგოთ ყველა ქართველს, საქართველოს ერთგულ ყოველ მოქალაქეს, რომელმაც მონაწილეობა მიიღეს ამ საარჩევნო ბრძოლაში, იღვაწენ და გაისარჯნენ ეროვნული ძალების გამარჯვებისათვის, რამეთუ ეს გამარჯვება დემოკრატიის გამარჯვებაა, თავისუფლებისა და სამართლიანობის პრინციპების გამარჯვებაა ჩვენს ქვეყანაში.

ვაგრამ ამასთან, მეგობრებო, უნდა აღვნიშო, რომ ეს ყოველივე დასაწყისია ახალი, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი ომისა, რომელშიც უნდა გაიმარჯვოს ჩვენმა ერმა და რომელსაც ჰქვია თავისუფლალი, დამოუკიდებელი საქართველოს მკვდრეობით აღდგინება! ლრმად მწამს მეგობრებო, რომ ის ერი, რომელმაც ესოდენ მაღალ დონეზე ჩაატარა თავისუფალი არჩევნები, შეძლებს დაბრუნებას დაკარგული სახელმწიფოებრიობისას!

უნდა გვახსოვდეს, მეგობრებო, რომ ეს გამარჯვება არ არის ერთი და ორი წლის მუშაობისა და ბრძოლის შედეგი. ეს არის დაგვირევინება იმ პოლიტიკური ბრძოლისა, რომელსაც აწარმოებდა ჩვენი მოძრაობა ჯერ კიდევ 50-ანი წლებიდან.

მაგრამ ისიც არ უნდა დაგვივიწყოთ, რომ ქართ. ერი არასოდეს შეტყუებია მონობას და სახელმწიფოებრიობის დაკარგვას. 1921 წელს საბჭოთა რუსეთისაგან საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შემდგომ, მსოფლიოში უმცკაცესი სისხლიანი კომუნისტური დიქტატურის პირობებშიც კი გრძელდებოდა ქართ. ერის ბრძოლა დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის და დღვენდელი გამარჯვება მნიშვნელოვანწილად უკავშირდება ამ ბრძოლაში დალუპულ გმირებს. სამარადისო დიდებთ მათ სახელს!

საქართველოს დაცვანდელი პოლიტიკორი, სოციალური და ეკონომიკური მდგრმარეობის შესაბამისად დღვენდელი სესია ყურადღებას გაამახვილებს შემდეგ ძირითად საკითხებზე: პირველი და უმთავრესი, რაც ჩვენ უნდა გადაიგწყვიტოთ, ეს არის კონსტიტუციური ჩეფორმის საკითხი, გარდამავალ პერიოდში, გარდამავალი პერიოდის დროებითი ძირითადი კანონის შექმნა არსებულ კონსტიტუციაში ცვლილებათა



და დამატებათა შეტანის საფუძველზე, დეკლარაცია თავისუფლად მოვალი პერიოდის მიზნებისა და ამოცანების შესახებ; ოროროც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროში ჩვენი ყურადღების ცენტრში იქნება ეკონომიკური რეფორმა გარდამავალ პერიოდში, საქართველოს ეკონომიკურ დამოუკიდებლობისათვის საფუძვლის ჩაყრა, ცენტრალური დაგეგმის ეკონომიკური დიქტატისაგან მისი განთავისუფლება, ახალი პოლიტიკური სტრუქტურების ჩამოყალიბება, მიწის კანონი, პრივატიზაცია და საბჭოო ეკონომიკაზე გადასვლის ძირითადი პრინციპები, მუნიციპალური არჩევნები, სამართლადამცავი ორგანოების დეპარტამენტებისა და მართლწესრიგის განმტკიცების ლონისძიებანი, კულტურისა და განათლების სისტემის რეორგანიზაცია.

ძვირფასო მეგობრებმ! ოროროც მოგეხსენებათ, ეროვნული ოპოზიცია, მიუხედავად არჩევნებში გამარჯვებისა, ჯერჯერობით არ აცხადებს საქართველოს სტული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დეკლარაციას, რაც განპირობებულია საქ.-ში და შემოფლიოში არსებოლი პოლიტიკური რეალიტით. ჩვენ არ გვსურს, რომ ჩვენი დამოუკიდებლობის დეკლარაცია მარტოდენ ქადალზე დატჩეს, ჩვენ გვსურს რეალური დამოუკიდებლობა, რასაც სუირდება საფუძვლიანი შემზადება იურიდიულ-სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით.

ჩვენ არაერთხელ გვითვავამს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, მიუხედავად საქ.-ს ანექსიისა 1921 წელს კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია, და ამის გაზრ დამოუკიდებელი საქ.-ს სახელმწიფო და მისი კონსტიტუცია იურიდიული თვალსაზრისით დღესაც განაგრძობს არსებობას, მიუხედავად იმისა, რომ ამ კონსტიტუციის მოქმედება დროებით შეჩერდა ანექსიის შედეგად. საქ.-ს ტერიტორია იურიდიულად კვლავ ერთიანია და განუყოფელი, მასზე არ მოქმედებს არც ერთი უცხო სახელმწიფოს კონსტიტუცია, მათ შორის, არც სსრკ კონსტიტუციები 1936 და 1978 წლებისა. მართალია, საბჭოთა იმპერიამ საქ.-ს ძალადობით თავს მოახვია თავისი კონსტიტუცია, მაგრამ, ჩვენი თვალსაზრისით, მისი მოქმედება დღემდე მხოლოდ ფაქტობრივი იყო და არა იურიდიული. დღეს ეროვნულ-განამათვისულებელი მოძრაობის მასობრივი საბრძოლესტო აქციების შედეგად, საქართველოში არასაბუღრი არჩევნების შედეგად, მის ამ ფაქტობრივ მოქმედებასაც თანდათანობით ეცლება საფუძველი.

ამის პირველი დამადასტურებელი საბუთი ის გახლავთ, რომ არჩევნები გაიმართა საბჭოური კონსტიტუციით რეგლამენტაციის გარეშე, ხოლო პარტიები რეგისტრაციაში გაატარეს არა სახელმწიფო მმართველობის ორგანოებმა, არამედ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, რომელიც პარტიტული პრინციპით იყო დაკომპლექტებული, თანაც ეს რეგისტრაცია არ ყოფილა რეგლამენტირებული არსებული კონსტიტუციით. ეს უდიდესი მიღწევაა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა, მეგობრებო. მთელი შსოფლიო დღეს განციფრებულია ამ მიღწევით!

ამჯერად ჩვენს წინაშე დგას ორი არჩევანი. დამოუკიდებელი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლების მიერ შედეგნილი კონსტიტუციის აღდგენა და მისი მოქმედების განახლება ვერ გამოიღებს სასურველ ნაყოფს, ვინაიდან გაძნელდება მისი მისადაგება თანამედროვე პოლიტიკური ვითარებისადმი. გარდა ამისა, იგი არ შეიცავს იმპერიული კონსტიტუციისაგან დამცავ იურიდიულ მექანიზმს, როგორიც აქვს დღესდღეობით არსებულ კონსტიტუციას მისი 77-ე მუხლის სახით.

ამიტომ, ჩვენი აზრით, გარდამავალი პერიოდის დროებითი ძირითადი კანონი უნდა დაფუძნდეს ისევ არსებულ კონსტიტუციაზე, მასში ფუნდამენტური ცვლილებებისა და დამატებების შეტანის გზით, რათა არ შეიქმნეს საკონსტიტუციო ვაკუუმი ახალი ეროვნული კონსტიტუციის შექმნამდე, რომელიც საფუძვლად დაედება უკვე დამოუკიდებელ საქართველოს სახელმწიფოს. ამავე მიზეზით არის განპირობებული საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისათვის სახელის შეცვლა, რაც პოლიტიკურ სტრუქტურათა რეალური ცვლილებების ანარევილია; ასევე ეროვნული დროშისა და ჰიმნის აღდგენა.

შექმნილი რეალური პოლიტიკური ვითარების ასახვისათვის ძველ კონსტიტუციას უნდა შეცვლავლოთ პრეემბულა, ყველგან უნდა ამოვილოთ სიტყვები „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“, „კომუნისტური მშენებლობა“, „კომუნისტური აღზრდა“ და სხვა. უნდა შევიმუშავოთ ახლებური ფორმულირებანი 68-77-180-188-ე მუხლებისა, კონსტიტუციიდან უნდა ამოვილოთ მე-3-9-14-15-16-20-23-30-61-ე მუხლები მთლიანად, ხოლო მე-8-34-38-74-ე მუხლებისა - მხოლოდ მეორე ნაშილი; უნდა შეიცვალოს 58-ე მუხლის ფორმული-რება. რაც შეეხება საბჭოურ კონსტიტუციას, გარდამავალ პერიოდში მოხდება მისი სრული უფნებელყოფა და საქართველოს ტერიტორიაზე


მისი მოქმედების ფაქტობრივი შეჩერება, რის საფუძვლადც გადაწყვეტილი კონსტიტუციის არსებული 77-ე მუხლი, ხოლო დამოუკიდებლობის გამოქადების ღროვასთვის მოხდება საბჭოთა კონსტიტუციის მოქმედების სრული იურიდიული შეჩერება და საქართველოში ახალი კონსტიტუციის იურიდიული ამუშავება, რომელიც შემუშავებულ იქნება გარდამავალ პერიოდში და რომელიც შეამზადებს საქ.-ს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის სამართლებრივ მექანიზმს.

ძვირფასო შეგობრებო!

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა საქ.-ში გრძელდება. ოლონდ ამჟამად იწყება მისი ახალი ეტაპი, მას შემდეგ, რაც ჩვენი მოძრაობის ავანგარდი – მრგვალი მაგიდა ქართველმა ერმა საქართველოს მოსახლეობის გადამწყვეტმა უმრავლესობაში აირჩია უზენაეს საკანონმდებლო ხელისუფლებაში. თვით მხავალპარტიული, არასაბოოური არჩევნების ჩატარება ანგასიის პირობებში ეროვნული და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის უდიდესი აქტია, რამეთუ დღემდე არჩევნები ჩვენს სინამდვილეში იმართებოდა მხოლოდ ცენტრიდან თავსმოქვეული ფსევდოსაარჩევნო სისტემით და დიქტატით. ჩვენმა მოძრაობამ მიაღწია ახალი, ჭეშმარიტად მრავალპარტიული პარლამენტის არჩევას, რომელიც იქნება არა მხოლოდ უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლება ჩვენი ქვეყნისა, არამედ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელი და კოორდინატორი და ამავე ღრის ეროვნული დაუმორჩილებლობის განხორციელების ძირითადი სამართლებლივი ინსტიტუტი.

ცენტრის ყოველგვარ საკანონმდებლო თუ აღმინისტრაციულ ჩარევას ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩვენ ვუპასუხებთ ეროვნული და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის მძღავრი აქტებით, რათა მეტროპოლიამ ვეღარ შეძლოს თავისი დიქტატის განხორციელება. ასე იქნება მთელი გარდამავალი პერიოდის მანძილზე. ჩვენ ვცნობთ მხოლოდ საერთაშორისო სამართალს და მასზე დავაფუძნებთ ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობას. მართალია, დღეს ჩვენ უკვე ხელისუფლების სათავეში ვართ, მაგრამ ცენტრისადმი მაინც ოპზიციად ვრჩებით.

ჩვენდამი ოპზიციურად დაპირისპირებული ბანაკიდან გაისმის: თითქოს ჩვენ საქართველო დაუყოვნებლივ უნდა გამოვაცხადოთ კოლონიურ ქვეყნად, ხოლო ჩვენი თავი – კოლონიური თვითმმართველობის ორგანოდ, რაც არ მიგვაჩნია მართებულად, ვინაიდან მსოფლიო



ისტორიას არ ახსოვს კოლონიური სტატუსის ქვეყანა, სადაც ჩერზეშვილი რებულიყოს თავისუფლი, მრავალპარტიული არჩევნები და ეს ქვეყანა ამის შემდეგაც კოლონიად დარჩენილიყოს. კოლონიურ თვითმმართველობას ყოველთვის მეტროპოლია ნიშნავს, მას ხალხი არ იჩენს. საქ. -ში ეროვნული ხელისუფლების არჩევამ ზღვარი დაუდო საქ.-ს კოლონიურ სტატუსს. საქართველო აღარ არის კოლონია, მაგრამ არც დამოუკიდებელი სახელმწიფოა ჯერჯერობით. ეროვნული ხელისუფლება კი იმის გამო ავირჩიეთ, რომ ჩვენს ქვეყანაში დაიწყოს ანექსიის შედეგების ლიკვიდაცია და აღდგეს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა. სხვა საკითხია საქართველოს ცნობა ოკუპირებულ ქვეყნად, საბჭოთა ჯარისთვის უცხო ქვეყნის არმიის სტატუსის მიცემა და საერთაშორისო სამართლის დონეზე საქართველოდან საბჭოთა საოცუპაციო ჯარების გაყვანის საკითხის დაყენება. რისთვისაც აუცილებელი იქნება მოლაპარაკების დაწყება ცენტროან და დასავლეთის ქვეყნებთან. ამრიგად, ჩვენი თვალსაზრისით, საქართველო ანექსირებული ქვეყანაა, რომელშიც დაიწყო ანექსიის შედეგების ლიკვიდაციისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის პროცესი, პირველი ნაბიჯი კი ამ გზაზე ცენტრის მიერ დანიშნული რეუიმის შეცვლაა ახალი, ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლებით. ამასთან, ჩვენ კიდევ ერთხელ ნათლად უნდა გამოვხატოთ ჩვენი პოზიცია ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულების მიმართ, რომლის წინააღმდეგი ვართ იმ გასაგები მიზეზის გამო, რომ გარდამავალი პერიოდის საქართველო ჯერჯერობით არ არის დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის სუბიექტი.

საქ.-ს ახლად არჩეული მრავალპარტიული პარლამენტის განსხვავება საბჭოურ პერიოდში ცენტრიდან დანიშნული ე.წ. უზენავსი საბჭოსაგან იქნება ის, რომ ახალი პარლამენტი იქნება მუდმივმოქმედი, თავისი მუდმივი კომისიებით. იგი მხოლოდ ნომინალურად როდი იარსებებს, მას გადასაწყვეტი აქვს ურთულესი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, რის შედეგადაც გამოირიცხა დეპუტატობის შეთავსება სხვადასხვა თანამდებობებთან, რაც ნიშნავს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების რეალურ გამიჯვნას.

საპარლამენტო კომისიების ძირითადი მიზანი იქნება საკანონმდებლო საფუძვლების შემზადება გარდამავალი პერიოდის რეფორმებისათვის. როგორც ჩვენს პროგრამებშია აღნიშნული, გარდამავალი პერიოდის პოლიტიკური რეფორმის ძირითადი მიმართულება იქნება ბი-

უროკრატიული აპარატის, არსებული საბჭოთა იმპერიული უზრუნველყოფის დემონტაჟი და ახალი დემოკრატიული სტრუქტურების ჩამოყალიბება, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური, ე.წ. ნომენკლატურული სისტემის გაუქმება და არჩევითობის პრინციპის დამკვიდრება აღმასრულებელი ხელისუფლების მმართველობითს სტრუქტურებშიც, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამუშაოები და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება მუნიციპალური არჩევნები ადგილობრივ საბჭოებში, რაც აგრეთვე დემოკრატიული პრინციპით უნდა განხორციელდეს, რის შედეგადაც ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები თავად იქნებიან მოსახლეობის სამოქალაქო.

რამდენადაც ჩვენ ვიბრძით ადამიანის უფლებათა დაცვისათვის, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის, ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობილება უნდა ემყარებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს, გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციას, პელიკისა და ვენის საერთაშორისო შეთანხმებებს. ჩათა ქმედითი ღონისძიებები განხორციელდეს მოქალაქეთა უფლებრივი გარანტიების დასამკვიდრებლად. ვინ არ იცის, რომ საბჭოთა პერიოდში საქ.-ში განსაკუთრებით უხეშად იჩრეოდა მკვიდრი, ქართული მოსახლეობის უფლებები, ილაპებოდა მისი ინტერესები, ქართველთა დისკრიმინაციამ, ჩაგვრამ და შევიწროებამ კულიმინაციას მიაღწია, განსაკუთრებით ისეთ რეგიონებში, სადაც კომუნისტურმა ტოტალიტარიზმმა დაამყარა არაქართველი მოსახლეობის ეთნოკრატია. ქართული ენის სისტემატურმა დევნამ და კანონგარეშე გამოცხადებამ თვით საქ.-ს დედაქალაქის თბილისის დაწესებულებათა უმრავლესობაში მუშაობის აუტანელი პირობები შეუქმნა ქართულ კადრებს, ხოლო რუსული ენის გაბარინება და ფაქტობრივ სიხელმწიფო ენად მისი გადაქცევა იწვევდა და ახლაც იწვევს ნაწილობრივ ქართველთა დისკრიმინაციას, არაქართველთა პრივილეგირებას, რუსული ენის ცოდნის დონის მიხედვით კადრების შეჩრევას და განაწილებას, რაც უხეშად არღვევს თვით არსებულ კონსტიტუციას. საბჭოთა პერიოდში საქ.-ო თფიციალურად გამოცხადდა ეროვნებათა შერწყმისა და დიფუზიის თავისებურ ლაბორატორიად, რასაც პქონდა ერთადერთი მიზანი: ქართველი ერის სრული ასიმილაცია, მეზობელი ერების ხელოვნურად დაჩქარებული დემოგრაფიული ექსპანსიის გზით. ამ მიზნით ხდებოდა აგრეთვე ბიუროკრატიული აპარატის კორუფცი-

აზე თვალის დახუჭვა და რამდენადმე მისი სტიმულირებაურულს უშენებელი დაგადაც უკანასკნელ წლებში საქ.-ს მთელ რიგ რაიონებში არის მდგრადი საუკეთესო საგარეულები, ხოლო ქართულ ოჯახებს, ჩვეულებრივ, გაყოფაზეც კი უარს ეუბნებოდნენ და ეუბნებიან აღაგ-აღაგ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები. რამდენადაც გაერთიანებული ერების წესდება, ჰელინკისა და ვენის შეთანხმებანი ერთა შორის თანასწორულებიანობის პრინციპებს ემყარება, ქართველი ერის ამგვარი შევიწროება და ლიკრიმინაცია საკუთარ მიწაზე ყალბება და უცხო ერების პრივილეგირება უნდა ჩაითვალოს საერთაშორისო სამართლის ყველა აღიარებული ნორმის დარღვევად და საერთაშორისო დანაშაულად.

ამის გამო საქართველოს პარლამენტმა თავის უმთავრეს მიზნად უნდა დაისახოს საქართველოში ქართული მოსახლეობის უფლებრივი გარანტიების დაკანონება, ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის რეალური და არა მოჩევნებითი განხორციელება, ქართულ ენაზე უნდა გადავიდეს საქმის წარმოება ყველა საწარმოსა და ლაშესებულებაში, ხოლო ის საწარმოები, რომლებიც ვერ იგუებენ ქართულ ენას თავიანთი ე. წ. საკავშირო დაქვემდებარების გამო, უნდა გამოეყონ ასეთ დაქვემდებარებას ან სრულად შეწყვიტონ არსებობა. ქართული მოსახლეობის უფლებრივი გარანტიების დაკანონების პარალელურად უნდა დაჩქარდეს საქართველოს მოქალაქის სტატუსის შემოღება, აგრეთვე კანონის შემუშავება, რომელიც ზღვარს დაუდებს უკონტროლო ემიგრაციას და უცხო ერთა დემოგრაფიულ ექსპანსიას საქ.-ში.

მაგრამ ამავე დროს ჩვენ არ უგულებელყოფთ ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს, რომელიც კანონიერად მკვიდრობენ ჩვენს მიწაზე ყალბებას და ხელს უწყობენ ქართველი ერის ბრძოლას თავისუფლებისა და დამოკიდებლობისათვის. ამასთან დაკავშირებით განზრახული გვაქვს, საქართველოში შეგინარჩუნოთ ეროვნულ უმცირესობათა არსებული ავტონომიები, ცხადია, უფრო მყარ კონსტიტუციურ-სამართლებრივ საფუძვლზე, ქართული მოსახლეობის კონსტიტუციური უფლებების გათვალისწინებით, ხოლო აჭარის ავტონომიის საკითხი რეფერენდუმის გზით უნდა გადაწყდეს.

დკირფასო მეგობრებო!

ჩვენი მომავალი წარმატებები პოლიტიკურ სფეროში მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ეკონომიკის გაჯანსაღებაზე, ეკონომიკურ რეფორმებზე, რომლებსაც მიზნად ვისახავთ. ამისათვის კი აუცილე-

ბელია ვიცენობდეთ რეალურ სურათს საქართველოს სოციალურ-მოქალაქეობის მიკური განვითარებისას, რომელიც ცხადყოფს, რომ ქვეყანა აძერად ეროვნულ კრიზისის პირად დგას ... (გამოტოვებულია სტატისტიკური მონაცემები. რედ.)

ჩვენი თვალსაზრისით, შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან არ სებობს მხოლოდ ერთი გამოსავალი: აღმინისტრაციულ-მბრძანებლურ მეთოდებზე და ცენტრალურ დაგეგმარებაზე დამყარებული სოციალისტური ეკონომიკის სისტემის დემონტაჟი და თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე თანდათანობითი გადასვლა. ჩვენს პროგრამებში აღნიშნულია, რომ საბაზრო ეკონომიკის ფუნდამენტური პრინციპი მდგომარეობს მიწოდებისა და მოთხოვნილების საბაზრო ძალების რეგულირებაში. პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღებისას კი მთავრობის მხრით ჩარევა-რეგულირება ძირებულად განსხვავდება სოციალისტური სისტემის აღმინისტრაციული მბრძანებლური რეგულირებისაგან. აქ კერძმ სექტორის საქმიანობაში ჩარევა ან მისი რეგულაცია ძირითადად მომხმარებლის ინტერესების დაცვისათვის ხდება.

წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებათა კერძო ფინანსიური ბაზები, თავისუფალი შრომის ბაზარი საბაზრო ეკონომიკის ძირითადი ინგრედიენტებია. მას შემდეგ, რაც ეს ელემენტები ამოქმედდება ხალხი თავის მიერ არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით გადაწყვეტის, თუ როგორი ფორმით ჩამოყალიბდება საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობები მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებთან. ჩესურსებს უნდა ანაწილებდნენ საბაზრო ძალები და არა ბიუროკრატია, სახელმწიფოს კონტროლი კი ამ განაწილებისადმი, ისევე როგორც ფასების კონტროლი, არ უნდა ემყარებოდეს აღმინისტრირების დრომოკმულ მეთოდს. ამასთან, არსებობს დიდი საფრთხე ე. წ. „საბაზრო სოციალიზმისა“, საბაზრო ეკონომიკა უშუალოდ უნდა დაეყრდნოს კერძო სექტორს და ღია საერთაშორისო ვაჭრობას. ამავე დროს აუცილებელია პრივატიზაციის პროცესის დაჩქარება, განსაკუთრებით სოფლად, საჭიროა შემოლება მიწის კანონისა, რაც აუცილებლად უნდა მოჰყვეს საქართველოს მოქალაქის სტატუსის შემოლებას. ამ კანონის საფუძველზე საქართველოს მოქალაქეებს უნდა გადაეცეთ მიწა კერძო საკუთრებაში გასხვისების უფლების გარეშე, რაც უთული შეეწყობს ხელს მოსახლეობის სოფლად დამკვიდრებას და გლეხური მეურნეობების განვითარებას საქართველოში. აუცილებელია აგრეთვე აღდგეს ტრადიციული ფორმები სოფლის მეურნეობისა დირითადი აქცენტი უნდა გა-

კეთდეს მევენახეობაზე, მეცხოველეობისა და მარცვლეული ჭრის დროს განვითარებაზე. საქ. მძიმე კონომიური პირობებიდან გამოიღინარე, პირველადი მოხმარები ს საგნებისა და პროდუქტების მწვავე დეფიციტის გამო, გადაუდებელ ონისძიებად ჩავთვალეთ სავაჭრო ქსელში ნორმირების დაწესება და პასპორტების წარდგენით ვაჭრობა, რაც აუცილებლად უნდა განხორციელდეს მეცნიერობით. დავა-წესეთ აგრეთვე საქართველოდან ღვინის, ხილისა და სხვადასხვა პროდუქტების უკონტროლოდ და დიდი რაოდენობით გაზიდვის აკრძალვა. უკანასკნელ ხანებში გაძლიერდა საბორტების ფაქტებიც, კოლეურნებები და საბჭოთა მეურნეობები დიდი რაოდენობით აბარებენ პირუტყვს სასაკლაობებს და ხორციობინატებს, ყიდიან მანქანებსა და სხვა ტექნიკას, რასაც შევნებული საბორტების ელფერი დაკრიკავს. ჩვენ ვაფრთხილებთ ყველას: მართალია ჩვენ გამოვაცხადეთ ეროვნული შერიგება და შემწყნარებლობა, გამოვაცხადეთ, რომ აჩავის განვიყითხავთ წარსულის ცოდვებისათვის, მაგრამ ვინც ამიერიდან დაუშირისას იდეალური განახლების პროცესს, ისევ კორუფციით, სპეცულაციით და საბორტების გამოწვევების ისედაც გამწვავებულ ვითარებას, პასუხს აგებს ერისა და კანონის წინაშე.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით უნდა განვაცხადო აგრეთვე, რომ საზოგადოებრიობის უდიდეს შეშფოთებას იწვევს დამნაშავეობის კატასტროფული ზრდა ჩვენს ქვეყანაში, რაზეც მეტყველებენ საგანგაშო სტატისტიკური მონაცემები ... (მცირე შემოკლება - რედ.)

უნდა აღნიშნოთ, რომ ჩვენ დამნაშავეობას ვთვლით სოციალურ პრობლემად, ვინაიდან მას წარმოშობს ის მახინჯი სოციალ-პოლიტიკური წყობილება, რომელშიც ცხხოვრობდით წლების მანძილზე. რელიგიის განაღვეურება, ზნების დაცემა, სულიერი იდეალების მივიწყება და გაუარესება - აი, დამნაშავეობის ნამდვილი საწყისები. დანაშაულის აღმოფხრვის, სოციალური ჰარმონიის დამყარების ერთადერთი გზა იცის ცივილიზებულმა კაცობრიობამ: ეს არის რელიგიის აღმოჩნდება, ახალგაზრდობის სწორი აღზრდა, ზნებრივი იდეალების დამკვიდრება საზოგადოებაში. მაგრამ ამავე დროს იძულებულნი ვართ ვებრძოლოთ დამნაშავეობის კონკრეტულ გამოვლინებებს, განსაკუთრებით ისეთი დანაშაულისას, რომელიც საფრთხეს უქმნის აღამიანის სიცოცლესა და ჯანმრთელობას. ვითვალისწინებოთ რა შექმნილი ვითარების დიდ საზოგადოებრივ საფრთხეს, გადავწყვიტოთ გამოვცეთ მართლწერილის დაცვისა და განმტკიცების კანონი და დადგენილება ეროვნული

ლი შინაგანი ჯარის შექმნის შესახებ, რამაც უნდა უზრუნველყოს
სტაბილურობა ქვეყნის შიგნით გარდამავალ პერიოდში. ამასთან,
აუცილებელია სამართლდამცავი ორგანოების სრული დეპარტიზაცია,
რაც უკვე დაიწყო საქ. რეპუბლიკის პროკურატურამ, და ეს ფრიად
მისასალმებელია. ჩვენ მივესალმებით საქ. კათალიკოს-პატრიარქის,
ი ღ ი ა II-ს საგანგებო ბრძანებას, რომელიც გმობს კაცისკვლას, რო-
გორც უმძიმეს დანაშაულს ერთს წინაშე, და ვთვლით, რომ ანთემი-
სა და ერისგან მოკვეთის ღირსია ყველა ის ქართველი, რომელიც
თავის მოძმეს გაიმეტებს.

ძეირფასო მეგობრებო!

ტოტალიტარული რეჟიმისა და კომუნისტური იდეოლოგიური დიქტა-
ტურის პირობებში საფრთხე შეექმნა ქართველი ერთს არა მარტო სო-
ციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ყოფას, არამედ, უწინარეს ყო-
ვლისა, სულიერ და კულტურულ ღირებულებებს. კატასტროფულ მდგო-
მარეობაშია ქართული კულტურის უნიკალური ძეგლები: ალავერდი,
მრავალძალი, ალვანის ცხრაკარა, ნიკორწმინდა, ზარზმა და მრავალი
სხვანი, რომელთა უპატრიონოდ მიტოვებას შთამომავლობა არ გვაძა-
ტიებს; მიშვებულია სამუზეუმო საქმე, მეურვეობა სჭირდება ხელოვნე-
ბის დარგებს, დღესდღეობით აუცილებელია კულტურული მემკვიდრე-
ობის დაცვის არსებული სტრუქტურების რაღიკალური რეფორმა, გასა-
რკვევია კულტურის სამინისტროს, ძეგლთა დაცვის სამმართველოს, ის-
ტორიისა და კულტურის ძეგლთა მფლობელ ცალკეულ პიროვნებათა
თუ უწყებათა კომპეტენციის, სტატუსისა და მატერიალური ბაზის
საკითხები. ამასთან, აუცილებელია კულტურული მემკვიდრეობის დაც-
ვის დამოუკიდებელი სახელმწიფო ინსპექციის შექმნა. წამყვანი კუ-
ლტურული სახელმწიფო დაწესებულებების სტატუსის დადგენა და მა-
ტერიალური ბაზის გაუმჯობესება, რაც განსაკუთრებით შეეხება საქ.
სახელმწიფო მუზეუმს, ოპერისა და ბალეტის თეატრს. აუცილებელია
განვიხილოთ აგრეთვე რაიონული თეატრების, მხარეთმცოდნეობისა
და მემორიალური მუზეუმების ღოტაციის საკითხები, სამხატვრო აკ-
დემიის, კონსერვატორიის, თეატრალური ინსტიტუტის სასწავლო პრ-
ოგრამების გადახედვა-დაცვება, და მატერიალური ბაზის მოვარება,
მეცნიერებათა აკადემიის სტატუსის საკითხის განხილვა, მეცნიერების
მართვის ცენტრალიზებულ-ბიუროკრატიული სისტემის რადიკალური რე-
ფორმა. უცხოეთთან კულტურული კონტაქტები ახლებურად უნდა გა-
ნვახორციელოთ, აუცილებელია საქართველოს წევრობა-მონაწილეობა

საერთაშორისო ორგანიზაციებში: ძეგლთა დაცვის ხაზით უკავშირდება. ჩ. რათა ჩვენი მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობა უკეთ გაიცნოს უცხოეთის საზოგადოებრიობამ, რაც აგრეთვე უზრუნველყოფს მისი დაცვის გაუმჯობესებას.

გადაუდებელია განათლების სისტემის რადიკალური რეფორმა. სასტრატეგიული უნდა გადაისინჯოს სასწავლო პროგრამები, უნდა გავაუქმოდ ყოვლად უსარგებლო და ზემდეტი ღისცილინები: ე. წ. სსრ კავშირის ისტორია, მარქსიზმ-ლენინიზმი, სოციალისტური პოლიტიკონობია, ე. წ. საზოგადოებათმცოდნეობა, დიალექტიური და ისტორიული მატერიალიზმი და სხვანი, უნდა აღვადგინოთ საქ. ისტორიისა და გეოგრაფიის სრულფასოვანი სწავლება, შეიქმნას საკურაო სამრევლო სკოლები და თეოლოგიური ფაკულტეტები უმაღლეს სასწავლებლებში, უნდა გაღრმავდეს და გაუმჯობესდეს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება, საქართველოში უნდა დამკვიდრდეს ქართული სკოლის პრიორიტეტი, რუსული სკოლები უნდა შემცირდეს მხოლოდ რუსული მოსახლეობის მოთხოვნათა შესაბამისად, ქართველი ბავშვები აღარ უნდა იზრდებოდნენ რუსულ სკოლებში.

ძვირფასო მეგობრებო! ჩვენი სამართლიანი ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია. დე, იცოდეს ცველამ, რომ ჩვენ ვიბრძოდით და ვიბრძოთ ჩვენი წინაპრების რელიგიური და ეროვნული იდეალების აღორძინებისათვის, რამეთუ საქართველოს დიდი მისია დააკისრა განვებამ. ქართველი ერი არნახული წამებით ვიდოდა ისტორიის ეკლიან გზაზე, იგი ზნებისა და სამართლიანობის ქომაგი იყო მუდამეამს, მან ხორცი გასწირა სულისათვის, მან კეშმარიტების მსახურება დაისახა თავის უზენაეს მიზნად, რისთვისაც მრავალგზის იგვემა და ეწამა ბარბაროსთაგან და წარმართთაგან. მაგრამ მან გამოიარა ისტორიის გოლგოთა, რათა დამდგარიყო უამი მისი აღდგომისა და აღზევებისა, მისი გაბრტყინებისა მსოფლიოს ხალხთა წინაშე, რათა კაცობრიობა ეზიაროს ნათელს საქართველოსას, ღვთით მომაღლებულს. არ არის შორს ის ღრო, როდესაც საქართველო იქცევა ზნებრივი სიღიადის მაგალითად მსოფლიოს ხალხთათვის.

ძვირფასო მეგობრებო! ჩვენი მოძრაობა, უწინარეს ყოვლისა, რელიგიური მოძრაობაა, რამეთუ რელიგიის გარეშე არ არსებობს კეშმარიტი ეროვნული აღორძინება. მიტომაც არის დღეს ერთად ჩვენი ერი და ჩვენი ეკლესია. ჩვენ ვებრძოთ ულმერთობისა და უსამართლობის



უკუნეთ ღამეს, ჩვენს მართალ საქმეს განვება მფარველობს... და ამის
ტომაც დავამარცხეთ მტერი. ქართველი ერი არ წავა ბარაბას გზით,
უღმერთობის, ავაზაყობის, ტერორიზმის გზით, ქართველი ერის
გზა სათნოების გზაა, აწ და მარადის და უკუნითი უცუნისამდე.
კურთხეულ იყოს ღვთისმშობლის წილზედრი საქართველო!
ჩვენთან არს ღმერთი! ამინ!

*** ***

ა ხ ლ ა დ ა რჩე უ ლ ი უ ზ ე ნ ა ე ს ი ს ა ბ კ ო ს პ ი რ ვ ე ლ ი ს ე ს ი ა

14 ნოემბერს საქა უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნა ახლადარჩეულ საქართველოს უზენაესი საბჭ. პირველი მოწვევის პირველი სესია დეპუტატთა კორპუსთან ერთად, რომელიც გასაბჭოვადის შემდეგ პირველად იქნა არჩეული მრავალპარტიულ საფუძველზე, აქ მოწვეული იყვენ არჩევნების მონაწილე ყველა პოლიტიკური პარტიისა და ბლოკის ხელმძღვანელები.

უპირველესად ყოვლისა, სესია დაიწყო სრულიად საქართველოს კათლიკოსპატრიიარქის, უწმინდესი და უნერარქის ილია II -ს ლოცვა-კურთხევით. შემდეგ დეპუტატებმა ფეხზე აღვომით და წუთიერი ღუმილით პატივი სცეს ყველა იმათგანის ხსოვნას, ვინც საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაიღუპა.

სესიის მუშაობა დაიწყო ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ბ-ნ ირაკლი ერიადანის მოხსენებით დეპუტატთა არჩევნების შედეგებზე. სესიამ აირჩია ხმის დამთვლელი კომისია, დამტკიცა უზენაეს საბჭოს სხდომების დროებითი რეგლამენტი, აირჩია სესიის ხელმძღვანელი ორგანოები: სამდივნო, სარედაქციო და სამანდატო კომისიები.

შესვენების შემდეგ სამანდატო კომისიის მოხსენებით გამოვიდა ამ კომისიის თავ - რე დეპუტატი ბიძინა დანგაძე, უზენაესმა საბჭომ და ამტკიცა ახლად არჩეული დეპუტატების უფლებამოსილება და მიიღო შესაბამისი დადგენილება. სიტყვა ეძლევა საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს თავ - რეს დეპუტატ ნოდარ ჭითანავას, რომელიც ახსენებს კრებას, რომ მინისტრთა საბჭო იხსნის უფლებამოსილებას ახლად არჩეული საქ. უზენაესი საბჭოს წინაშე. სესიამ მიიღო ცნობად და დაავალა მთავრობას განაგრძოს დაკისრებული მოვალეობათა შესრულება, სანამ უზენაესი საბჭო აირჩევდეს ახალი საქართველოს მინისტრთა



საბჭოს. ამის შემდეგ დეპუტატები შეუდგენ სესიის **14 პლიცენები** ბრის სხდომების დღის წესრიგის განხილვას, წინადაღებზე გამოკვლენ დეპუტატები ნოდარ ნათაძე და ნუგზარ მოლოდინაშვილი. კრება იღებს დღის წესრიგს, რომელიც შესდგება **15 პლუნებისგან**.

დღის წესრიგის პირველი პლუნების გამო, რომელიც ეხება უზენაესი საბჭოს თავ - რის არჩევას, წინადაღებით გამოვიდა დეპუტატი მუხ-რან მაჭავარიანი, მან წამოაყენა წინადაღება, არჩიონ საქ. უზენაესი საბჭოს თავ - რედ „მრგვალი მაგიდა- თავისუფალი საქართველოს“ ბლოკის სპიკერი ზვიად გამსახურდია. სხვა კანდიდატი ამ პოსტზე არ დაუსახელებიათ. გამოცხადდა შესევნება, რომლის დროს აღგილი აქვს ფარული კენჭის ყრით ხმის მიცემას.

კრების მუშაობის განახლების შემდეგ, ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ ჭითავა მას ახსენებს, რომ საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ფარული კენჭის ყრის შედეგად არჩეულია ზვიად გამსახურდია. ერთხმად, დარბაზის ტაშის გრიალში მტკიცდება ხმის დამთვლელი კომისიის ოქმი. სესიაზე საპროგრამო სიტყვით გამოდის თავმჯდომარის პოსტზე ახლად არჩეული ბ-ნი ზვიად გამსახურდია.

შემდეგ დეპუტატები შეუდგენ რეპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების კანონის პროექტის საკითხის განხილვას. ამ საკითხზე თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს დეპუტატებმა დავით კუპრეეშვილმა, სერგი რიგვაიძე, თემურ ქორიძემ, ვიზო კორძაძემ, ნუგზარ მოლოდინაშვილმა, ნოდარ ნათაძემ, ავთანდილ იმნაძემ, აპოლონ სილაგაძემ, ლევან ალექსიძემ, შალვა წინწალაშვილმა, მინდია სალუქვაძემ, რომან გოცირიძემ, დავით ბერძენიშვილმა, გოგი გურგაშვილმა, თამაზ დიასამიძემ, თამაზ გამყრელიძემ და სხვა.

უზენაესმა საბჭომ მიიღო საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების კანონი, შეიტანა შესაბამისი ცვლილებანი რესპუბლიკის კონსტიტუციაში.

დეპუტატებმა განიხილეს და ერთხმად მიიღეს რესპუბლიკის სახელშიც დედების შეცვლის კანონი. ამიერიდან მას საქართველოს რესპუბლიკა ეწოდება.

სახელმწიფო გერბის, ღროშის, რესპუბლიკის პიმნის კანონპროექტები კრებას გააცნო დეპუტატებმა ნუგზარ მოლოდინაშვილმა და მათ შესახებ აზრი გამოთქვეს დეპუტატებმა არჩილ მინდიაშვილმა,

ავთანდილ იმნაძემ, როინ მეტრეველმა და სხვებმა. დამტკუცულებული აქტების აზრი ატრიბუტიყა.

უმაღლესმა საბჭომ მიიღო მიმართვები: მსოფლიო ხალხებისადმი, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების პარიზის კონფერენციისადმი, სრულიად საქართველოსადმი,

ქართველ ოფიციერთა რესპუბლიკური ეროვნული გაერთიანების სახელით კრებას მიესალმა ამ გაერთიანების შტაბის უფროსი დურუ ჭითანავა. გაზეთ „სამშობლოს“ რედაქტორმა პაარა ნაცვლიშვილმა დეპუტატთა კრებას გააცნ ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლის—ალექსანდრე სულხანიშვილის ანდერძი, რომლის მიხედვითაც „ქაქუცას ღრმშა ახლად არჩეულ პარლამენტს უნდა გადაცემოდა“. „პარარებმა გიორგი გამსახურდიამ და არჩილ მოლოდინაშვილმა დარბაზის ტაშის გრიალში შემოსავენეს საქ. რესპუბლიკისა და ქაქუცას ღრმშები. საზეიმოდ უღერს კოტე ფოცხვერაშვილის „დ ი დ ე ბ ა“ ... ყველანი ფეხშე დგებიან“. ამით სესიის მუშაობის პირველი დღე დასრულდა.

მ ე რ ე დ ღ ე :

სესიის სხდომას თავმჯდომარების ბ-ნი ზვიად გამსახურდია. დეპუტატებმა განიხილეს და მიიღეს კანონი „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობის შემოღების შესახებ“, ამასთან დაკავშირებით ს. რ. კონსტიტუციაში შეტანილ იქნა შესაბამისი ცვლილებები.

ს. რ. უზენაესი საბჭოს თავ - რის პირველი მოადგილის პისტი კრებამ აირჩია ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარე, „მრგვალი მაგიდის“ წევრი, დეპუტატი აკაკი ასათიანი. ხოლო უზენაეს საბჭოს თავ - რის მოადგილის თანამდებობაზე – მრგვალი მაგიდის წევრი. დეპუტატი ნემო ბურჭულაძე. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარების კანდიდატად დასახლებული იქნა რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი, მრგვალი მაგიდის წევრი, დეპუტატი თენგიზ სიგუა. გაიმართა აზრთა ფართო გაცვლა-გამოცვლა, ბ-ნმა სიგუამ გააკეთა საპროგრამო განცხადება, პასუხი გასცა დასმულ კითხვებზე, რის შემდეგაც იგი ერთხმად იქნა დანიშნული მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ. მას დაევალა წარმოუდგინოს უზენაეს საბჭოს წინადაღებები მინისტრთა საბჭოს სტრუქტურისა და პერსონალური შემადგენლობის შესახებ. ასევე უზენაესი საბჭოს შესაბამის მუდმივ კომისიებს დაევალათ წარმოუდგინონ დასკვნები მთავრობის სტრუქტური-

სა და პერსონალური შემაღლებენლობის თაობაზე.

„სესიაზე მორიგი სხდომის დაწყების წინ დეპუტატებმა წუთიერი დუმილით სცეს პატივი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გმირის მერაბ კოსტავას ხსოვნას. ტრიბუნაზე მიწვეული გმირის დედა ოლღა დემურია-კოსტავა გულთბილად მიესალმა ახალი უზენაესი საბჭოს დეპუტატებს და დალოცა ისინი. — დღეს დიდი დღეა, — თქვა მან — ახდა ზევიადის და მერაბის— დიდი კონსტანტინეს სულიერი შვილების ოცნება. წინ კიდევ მრავალი დაბრკოლება და სი-ძნელეა, რომლებიც უნდა დაძლიოთ. მაგრამ ჩენთან არს ღმერთი. ერთსულოვნება ახლა ყველაზე მთავარია, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

შემდეგ სიტყვა მიეცა დემოკრატიული საქართველოს პირველი პრეზიდენტის ნოე უორდანიას ვაჟს რეჯებ უორდანიას, რომელმაც, კერძოდ, თქვა: — მე დავიბადე საფრანგეთში, მაგრამ ყოველთვის ვიცოდი, რომ ჩემი სამშობლო საქართველოა. დარწმუნებული ვარ, მალე დადგება დრო, როცა ხელს ჩამოვართმევ თავისუფლი საქართველოს რესპუბლიკის მომავალ პრეზიდენტს“. (გაზ. „ახალი საქართველო“ №4)

შემდეგ სესია შეუდგა მუდმივი კომისიების საკითხის განხილვას, გადაწყდა ცხრა მუდმივი კომისიის შექმნა და მათ თავ - ებად არჩეულნი იქნენ: კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვისა — დეპუტატი ნუგზარ მოლოდინაშვილი, საფინანსო-საბიუჯეტოსი — დეპუტატი ტარიელ გელანტია, ეკონომიკური რეფორმისა — დეპუტატი გიგი თაქ-თაქიშვილი, ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა — დეპუტატი რობერტ პეტრიაშვილი, მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობისა — დეპუტატი ბაკურ გულუა, სოფლის მეურნეობის, მიწათსარებლობისა და კოლონიალისა — დეპუტატი ირაკლი ჩხეიძე, საერთაშორისო ურთიერთობისა — დეპუტატი თელო პაატაშვილი, საზოგადოებრივი წესრიგის და სახელმწიფო უშიშროების დაცვისა — დეპუტატი ვაჟა ადამია, კულტურის, განათლების და მეცნიერებისა — დეპუტატი თემურ ქორიძე.

უზენაესმა საბჭომ დაამტკიცა კანონი საქ. რესპუბლიკის კონსტიტუციაში ზოგიერთი ცვლილებების შეტანის შესახებ. მიიღეს დადგენილება ახალი კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისიის შექმნის შესახებ. სესიამ ერთხმად მიიღო დეპუტატ თამაზ ობგაძის მიერ წარმოდგენილი პროექტი: ადამიანის უფლებათა დაცვისა და მართლწესრიგის განმტკიცების შესახებ. სესიამ მიიღო სხვა დად-



გენილებები.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ბატონ

ი რაკლი უორდანიას გამოსვლიდან

მაქახ პატივი, საქ. კონსტიტუციით მონიკებული უფლებით, გავხნა საქ. უზენაესი საბჭოს პირების სესია. ნება მიგოძეთ, ცენტ. საარჩევნო კომისიის სახელით მოგილოცოთ მეტად საპატიო და პასუხებები მოვალეობა – ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების ორგანოში არჩევა, რაც მოელი ქართ. ხალხის, საქ. ყველა მკვიდრის ნებას გამოხატავს ...

კომისიას მეტად მჭიდრო ვადებში და გარკვეულად დესტაბილიზებულ სიტუაციაში მოუხდა დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულება... აუცილებლად აღსანიშნავია ჩვენი პოლიტიკური კულტურის გარკვეულად დახვეწა, რაც გამოიხატა, რომ პარლამენტში მანდატების მოსაპოვებლად იბრძოდა მხოლოდ თერთმეტი პოლიტიკური ძალა და არა მრავალი ათეული.... საბოლოოდ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ხუთმა საარჩევნო ბლოკმა და ექვსმა პარტიამ, ესენია: საარჩევნო ბლოკი „თავისუფლება“, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს კომუნისტური პარტია, საარჩევნო ბლოკი „თანხმობა, მშვიდობა, აღორძინება“, საქართველოს სახალხო პარტია, სრულიად საქართველოს რესთაველის საზოგადოება, სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი, საარჩევნო ბლოკი „განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინება“, საარჩევნო ბლოკი „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო“, საქართველოს სახ ალხო ფრონტი, და საარჩევნო ბლოკი „დემოკრატიული საქართველო“ ... მოკლედ არჩევნების შედეგების შესახებ: საქართველოს ამომრჩეველთა რაოდენობამ შეადგინა 3 444 002 ამ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2 406 742-მა ამომრჩეველთა, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 69,88 პროცენტია. ხმის მიცემაში მონაწილეობა მიიღო 2 311 923-მა ამომრჩეველმა, რაც საერთო რაოდენობის 67,13 პროცენტია.

პროპორციული სისტემით არჩევნების შედეგების შეჯამებამ გვიჩვენა, რომ კანონით დადგინდლ ხმების ნომინალურ რაოდენობაზე 4 პროცენტზე მეტი ხმების მოგროვება შეძლო მხოლოდ კომუნისტურმა პარტიამ (ხმების 29,58%) და საარჩევნო ბლოკმა „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო“ (ხმების 53,99%).

მაურიტარული სისტემით 28 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნებით



დეპუტატის მანდატის მფლობელი გამოვლინდა 57 ოლქში, ხელახლების ხმის მიცემა დაინიშნა 59 ოლქში, არჩევნების მეორე ტური - 7 ოლქში, ხოლო ორ ლექში აუცილებელი შეიქნა ხელახალი არჩევნების ჩატარება. 11 ოქტომბერს 59 ოლქში ჩატარდა ხელახალი კენჭისყრა და გაველგან გამოვლინდა გამარჯვებული. არჩევნების მეორე ტური ჩატარდა 7 ოლქში. გამარჯვებული გამოვლინდა 5 ოლქში, ხოლო ორზე ში საჭიროა ხელახალი არჩევნების ჩატარება.

ამრიგად, საქ. უზენაეს საბჭოში არსებული 250 საღვატატო ადგილიდან უკვე დაკავებულია 246 ადგილი. დეპუტატის ოთხი მანდატის მფლობელი გამოვლინდება მას შემდეგ, რაც ჩატარდება ხელახალი არჩევნები ტკიარჩელის, გუდაუთის, ქ. ცხინვალის და ჯავის საარჩევნო ლექში. ცენტ. საარჩევნო კომისიას განზრახული აქვს ოფიციალური თხოვნით მიმართოს საქ. უზენაეს საბჭოს, რათა აღნიშნულ ოლქებში ხელახალი არჩევნები დაინიშნოს 1991 წლის გაზაფხულზე.

246 მანდატი პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს შორის ასე განაწილდა:	მრგვალი მაგიდა—თავისუფლალი საქართველო	- 155
	კომუნისტური პარტია	- 64
	სახალხო ფრონტი	12
	„დემოკრატიული საქართველო“	4
	რუსთაველის საზოგადოება	1
	განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინება	1
	დამოუკიდებელი კანდიდატები	9

ვერც ერთი დეპუტატის მანდატი ვერ მოიპოვეს არჩევნების მონაცილე ხუთმა პარტიამ: 1. „თავისუფლება“, 2. სოციალ-დემოკრატიული პარტია, 3. მიწათმოქმედთა კავშირი, 4. „თანხმობა, მშვიდობა, აღორძინება“, 5. სახალხო პარტია. (ინფ. ს. „საქართველო“)

* *

„ყველას უფლება აქვს თავად აირჩიოს თავისი ბედი,“
(საქ. უზენაესი საბჭოს თავ - რის პირველი მოადგილის ბ-ნ აკაკი ასათიანის გამოსვლა სსრკ -ს უზენაესი საბჭოს სესიაზე)

პატივცემულო დელეგატებო, ბატონებო! სანამ გამოსვლას დავიწყებდე, მინდა შევუსწორო მცირედი შეცდომა ჩვენს, უკაცრავიდ, თქვენს თავმჯდომარეს. მე გახლავართ არა საქართველოს სსრ, არა-



ს. უზ. საბჭოს თავ - რის
პირველი მოადგილე ბ - ნი
აკაკი ასათიანი

მედ საქ. რესპუბლიკის უზენაესი უზენაესი უზენაესი
ბჭოს თავმჯდომარის პირველი მთავარი
გილე, ასეთია გადაწყვეტილება, რომ-
ელიც ახლად არჩეულმა საქ. უზენაე-
სმა საბჭომ მიიღო. ასეთი გახლავთ
ამ ორგანოს ოფიციალური სახელშო-
დება.

სანამ შევეხებოდე საკითხებს, რომ-
ებზეც აქ მიმდინარებს სჯაბასი,
მინდა მოგაწოდოთ ერთი პატარა ინ-
ფორმაცია იმ მოვლენების თაობაზე,
რომებიც ჩვენს ქვეყანაში მოხდა
(მე საქართველოს ვგულისხმობ) სულ
რამდენიმე დღის წინ, ამას აქვს გა-
რკვეული აზრი, ვინაიდან ეს მოვლე-
ნები თქვენში, ვერ ვიტყვი, რომ მი-
კერძობულად, მაგრამ მაინც არასრ-
ულფასოვნად შუქდება, და ამიტომ,
აღმას, არ გაქვთ ნათელი წარმოდგე-

ნა იმაზე, თუ რა მოხდა საქართველოში. საქართველოში, ჩვენი აზრ-
ით, მოხდა დიდი მოვლენა, ჩვენი რესპუბლიკის ისტორიაში, საბჭოთა
კავშირის ისტორიაში (საქ. კი ამ კავშირის შემაღენლობაში იმყო-
ფება) პირველად მოეწყო თავისუფალი, მრავალპარტიული არჩევნები;
ხალხმა გამოთქვა თავისი ნება უცხოელი მეთვალყურეების თანდასწ-
რებით, და ზგელა ადასტურებს, რომ ეს იყო ნამდვილად დემოკრატ-
იული არჩევნები. არჩევნებში გაიმარჯვა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა -
თავისუფალი საქართველო“, რომელსაც საქ. ეროვნულ-განმათავისუფლ-
ებელი მოძრაობის ლიდერი ზვიად გამსახურდია ხელმძღვანელობს.
იგი პირველ სესიაზე აირჩიეს ახლად შექმნილი უზენაესი საბჭოს თა-
ვმჯდომარედ.

ჩვენ საქ. უზენაესმა საბჭომ მოგვავლინა აქ მეთვალყურეებად,
და ჩვენც მეთვალყურეები გახლავართ. მაგრამ უნდა მოგახსენოთ,
რომ ამასთანავე დავალებული გვაქვს გავაკეთოთ გარკვეული განც-
ხადებანი და მივიღოთ მონაწილეობა მსჯელობაში განსახილველ საკი-
თხთა გამო.

საქ. უზენაესმა საბჭომ თავის პირველსავე სხდომაზე გამოაცხა-



და გარდამავალი პერიოდი. მიხეილ სერგის ძემ ბრძანა, უკავშირობები საბჭოთა კავშირი გარდამავალი პერიოდის სტადიაშია. საქ. – მაც ას-
ევე გამოაცხადა გარდამავალი პერიოდი. ოლონდ, ჩვენ, თუ შეიძლე-
ბა ასე ითქვას, უკუგარდამავალ პერიოდს ვაცხადებთ (დარბაზიდან:
ამას მერე ვნახავთ, ... რა უკუგარდამავალი პერიოდია). ეს გახლავთ
პერიოდი გარდასვლისა სახელმწიფოებრიობის, დამოუკიდებელი სახელ-
მწიფოებრიობის აღდგენაზე, რომელიც საქ. – მო დაპყარგა 1921 წ.
(პირველად დაპყარგა 1801 წ., ხოლო შემდეგ უკვე 1921 წ.) მაშინ-
დელი საბჭოთა აგრძესის შედეგად. ეს გახლავთ ფაქტის კონსტან-
ტაცია; თქვენ იცით, ეს არ არის შეფასება, მით უმეტეს სუბიექტი-
ური შეფასება, ანდა ვისიმე აზრი. ეს არის ისტორიული და იური-
დიული ფაქტი.

მაგრამ ფაქტობრივი მდგომარეობა თქვენთვის ცნობილია: საქ.
სსრ კავშირის შემადგენლობაში იმყოფება. და საქ. -ს უზენაესი სა-
ბჭო ხელმძღვანელობს დღევანდელი რეალობით – საერთო-პოლიტიკური
ეკონომიკური რეალობით. იგი ილვწის, ათა შეჩერდეს სიტუაციის
დესტაბილიზაცია და გამოიძებნოს მშეიღობიანი გზები საკითხის გა-
დაწყვეტისა. და ჩვენ ვიმედოვნებთ, დარწმუნებული ვართ, გადაწყ-
ვება, ვინაიდან გვწამს საბჭოთა კავშირში გაერთიანებული ხალხების
კეთილგონიერებისა (ცუდია ეს თუ კარგი – სხვა საკითხია, მაგ-
რამ ეს ფაქტია). და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ღროთა განმავლობაში
მივაგნებთ კომპრომისს, ვიპოვით გამოსავალს ამ მდგომარეობიდან.

აქ ბევრი რამ ითქვა ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე წმინდა
ეკონომიკური თვალსაზრისით. ჩვენი აზრით, ამ საკითხს მოევლება-
ვ. ი. არის ქვეყნიერების ნაწილი, სადაც ეს საკითხი მეტნაკლებად
დადებითად არის გადაწყვეტილი. სამწუხაროდ, ქვეყნიერების ამ ნა-
წილში, ანუ მსოფლიოს მეექვსედ ნაწილში ჯერჯერობით ეს საკითხი
არ გადაწყვეტილა, თუმცა იგი წყდება, ჩვენ ვხედავთ ამას.

მაგრამ არის საკითხი, რომელიც წყდება გაჭირვებით ან საე-
რთოდ ვერ გადაწყდება, თუ არ იქნა კეთილი ნება: ეს გახლავთ ერ-
ოვნული საკითხი, ეროვნული წყობის საკითხი, არა მარტო საბჭოთა
კავშირში, არამედ, საერთოდ, მთელ დედამიწის ზურგზე. აქ ბევრმა
გამომსვლელმა ბრძანა: ჩვენში რომ ნამდვილი დემოკრატია ყოფილი-
ყო, მაშინ შეძლებაც გვექნებოდა, კარგადაც ვიცხოვჩერებდითო და
ა. შ. არა, მსგავსი არაფერი იქნებოდა: და ამის თავი და თავი გა-
ხლავთ ეროვნულ ურთიერთობათა გამწვავება.



ს ი რ ა ბ ე ბ ი ა ღ ა

არის ასეთი ქვეყანა: კანადა, დემოკრატიული ქვეყანა, უმოსი სახელმწიფო ერთ-ერთი უმდიდრესი სახელმწიფო. ამ ქვეყანაში შედის კვებების პროექტია. კანადა უპირატესად ინგლისურენოვანი ხალხით არის და-სახლებული, კვებებში კი ცხოვრობენ ფრანგი კოლონისტების შთამო-მავლინი. და აი, ამ კოლონისტთა შთამომავალთ სურთ გამოეყონ კა-ნადას (დარბაზში ისმის შეძახილები, ერთნი გაიძახიან სიცრუეაო, მეორენი - ვიცითო). ძალიან კარგი, თუ იცით.

აქ არის მთავარი საკითხი: ყველგან სულ იმაზეა ლაპარაკი, რომ ყოველი ერთ თავად უნდა განსაზღვრავდეს თავის ბედს, მას უნდა ჰქონდეს თავისუფალი არჩევანის უფლება. მაგრამ ამას რომ ამბობენ, რატომღაც გულისხმობენ იმ ხალხებს, რომლებიც საბჭოთა კავშირში კი არა, მის ფარგლებს გარეთ ცხოვრობენ. ახლა დადგა მომენტი, როდესაც გაჩნდა შესაძლებლობა განხორციელდეს თავისუფალი არჩე-ვანის უფლება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზეც; საქმე ეხება სა-მოკავშირეო ხელშეკრულებას. ჩვეულებრივ მას „ა ხ ა ლ ს“ უწოდებენ. კაცმა არ იცის, რატომ ეწოდება „ახალი“, ძველი ხომ მთლად თანა-სწორ და ნორმალურ პირობებში არ დადგებულა. ეს ხელშეკრულება ფაქტობრივად მიზანს ისახავს აი ამ კავშირის შენარჩუნებას. აქ უკვე რამდენჯერმე ითქვა, რომ ზოგიერთებს სურთ ხელი მოაწერონ ამ ხელშეკრულებას. კეთილი და პატიოსანი! მოაწერონ.

რა თქმა უნდა, ყველას უფლება აქვს თავად აირჩიოს თავისი ბე-ლი. მე არ ვიცი, რას იტყვიან დანარჩენი წარმომადგენლები, მაგრამ ჩემთვის ცნობილია სხვა რესპუბლიკების წარმოგზავნილთა პოზიცია, ამას არც მალავენ. ყველაფერი უნდა ითქვას ნათლად და დაუფარავ-ად, რათა შემდეგ არ იყოს რაღაც გაუგებრობა და არასასურველი მოულოდნელობანი. საქართველო, მით უმეტეს, ასეთ პირობებში, არ მოაწერს ხელს სამოქავშირეო ხელშეკრულებას, იმიტომ, რომ იგი იურიდიულად არ შედის საბჭოთა კავშირის შემაღენლობაში იმ მო-ვლენების გამო, რომლებზეც უკვე მოგახსენეთ. საქართველოს პყავს პარლამენტი - უზენაესი საბჭო, რომელიც ერმა აირჩია. და ამ პარ-ლამენტმა მოგვანიკა უფლებამოსილება გაგვევთებინა ეს განცხადება.

ეს, რა თქმა უნდა, სულაც არ გულისხმობს კავშირის გაწყვეტას, პირიქით, იგი გულისხმობს სწორედ რომ საპირისპიროს - ურთიერთო-ბას არა მარტო მეზობელ ხალხებთან, არამედ იმ ხალხებთანაც, რო-მლებიც ცხოვრობდნენ საბჭოთა კავშირში (დარჩებიან ისინი კავში-



რში თუ არა, ამას არა აქვს მნიშვნელობა). ჩვენ გვეძნება კულტურული გვარი კავშირი – საქართველოს თავის მეზობლებთან, სხვა ზალცეტიან ურთიერთობის მრავალსაუკუნვნოვანი ტრადიციები მოსდგამს, ამ კავშირებს ჩვენ კვლავაც შევინარჩუნებთ, მერწმუნეთ, ეს ლიტონი სიტყვები არ არის.

აღბათ გეხსომებათ, როგორ უყვარდა ბატონ რეიგანს ანდაზები, მეც ვსარგებლობ ამ მეთოდით და შეგახსენებთ – ძალით თავს ვერავის შეაყვარებო. ეს არის მთავარი. ჩვენ ყველამ ცუდად ვიცით ისტორია, არა მარტო საქართველოსა, რუსეთის ან რომელიმე სხვა ქვეყნისა. მინდა შეგახსენოთ, რომ სანამ საქართველო ჯერ რუსეთის იმპერიის, ხოლო შემდეგ – საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შევიდოდა, როგორც რუსი მოგზაურები საქართველოს, ისე ქართველები რუსებს ყოველთვის უაღრესად გულთბილად, დიდი სიმპათით იხსენიებდნენ ... მას შემდეგ კი ეს ტრადიცია, ცოტა არ იყოს, მოიშალა.

ახლა, რაც შეეხება ავტონომიებს: საქ.-ში ავტონომიები რჩება. მათ არავინ უპირებს გაუქმებას, როგორც მაგალითად ღლევანდელი „მოსკოვსკიე ნოვოსტი“ წერს; ასეთი განცხადება არავის არ გაუკვაჭბია არც არჩევნებამდე და არც არჩევნების შემდეგ.

ნება მიბოძეთ, ამით დავამთავრო, მგრნი, ისედაც გადავჭარბე რეგლამენტს. დიდ მაღლობას მოგახსენებთ ყურადღებისათვის. მე გიოხარით ჩემი სათქმელი გმაღლობთ. კარგად ბრძანდებოდეთ.

*** ***

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ გ ო რ ბ ა ჩ ი ვ ი ს რ ე ა ქ ც ი ა

მ. გორბაჩივი გამოვიდა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიაზე 1990 წ. 17 ნოემბერს, რომლის დროს მან სხვათა შორის შემდეგი განაცხადა:

„ამხანაგებო, სახალხო დეპუტატთა გუშინდელ სხდომაზე უზენაესი საბჭოს წევრების, რეპუბლიკების წარმომადგენლოთა გამოსვლები, სესიის დროს ამხანაგებთან ჩემი საუბრები ცხადყოფს, რომ შეიქმნა აზრი უფრო სწრაფად წაიწიოს წინ სამოქავშირეო ხალშეკრულებამ, მაგრამ მანამდე განხორციელდეს ქვეყნის საქმის ვითარების გაუმჯობესების ძლიერი რადიკალური ღონისძიებანი იმ მხრივ, რაც შეეხება პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას, საზოგადოებრივი წესრიგის, დისკიპლინის დამყარებას, ვითარების ნორმალიზაციას ეროვნულით შორის ურთიერთობაში. როგორც მივხვდი, ამხანაგებს მთავარ



მიმართულებად მიაჩინიათ სახელმწიფო ხელისუფლების განვითარების რეფორმა და სტრუქტურის განმტკიცება. ამასთან დაკავშირებით გთავაზობთ შემდეგს.

პირველი. აღვმურვოთ სსრ კავშირის ფედერაციის საბჭო თვისებრივად ახალი უფლებამოსილებებით, სათათბირო ორგანოდან იგი უნდა გადაიქცეს ცენტრისა და რესპუბლიკების ძალისხმევის კოორდინაციის ქმედით სტრუქტურად ...

ცხადია უნდა გადაწყდეს ვიცეპრეზიდენტის საკითხი. იმავდროულად უნდა მივიღოთ საჭირო გადაწყვეტილებები, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოების ეფექტურობას. ყოველივე ეს უნდა გაკეთდეს გადაუდებლად, ისე, რომ არ დაველოდე სამოკავშირეო ხელშეკრულებას – ამაზე ვლაპარაკობდი მუდამ, მაგრამ, მესმის, რომ აქ გამოითქვა საზოგადოების მთელი შეშფოთება, განწყობილება ...

მეექვსე. სამოკავშირეო ხელშეკრულების შესახებ. ჩვენი მიღების, ჩვენი გაგების მთავარი მახასიათებელია კავშირის განახლება და შენარჩუნება. გუშინ გაისმა ხმები, რომელთაგან ზოგი იმოწმებდა ლენინს, ზოგი არა: ჯერ გავიყოთ, შემდეგ გავერთიანდეთ. თუ აქ იგულისხმება, და ამაში სწორია ამხ. ბოიკო, კომპეტენციებისა და უფლებამოსილებათა გაყოფა, კავშირის მთელი სისტემის თვისებრივი განახლება ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად, ვფიქრობ ჩვენ კვლანი და პირადად მე ამას მხარს დაუკერთ, მაგრამ მე გადაკრით წინააღმდეგი ვარ სახელმწიფოს დაქულმაცების, ტერიტორიის გადაკეთების, ხალხთა საუკუნოვანი ურთიერთობის რღვევისა. ახლა ვფიქრობ, ჩემთვის უფრო ადვილია ლაპარაკი საკუთარი მწარე გამოცდლებით, უკვე ჩვენი ადამიანების სისხლით რომ არის გაუღენთოლი, ეხედავთ, რომ გაყოფა არ შეგვიძლია (ტაში). ამიტომ ამ გზას არ უნდა დავაგდეთ. დაუყოვნებლივ და საფუძვლიანად უნდა დავიწყოთ უფლებამოსილებებისა და კომპეტენციების გაყოფა, ხორცი უნდა შევასხათ ყოველივე იმას, რაც შესისხლხორცებული აქვს მრავალეროვანი სახელმწიფოს განახლების ჩვენელ კონცეფციას. იქნება უანგბალი და ყველა ხალხი კარგად იგრძნობს თავს. მიმაჩინა, რომ უზენაესმა საბჭომ მხარი უნდა დაუკიროს ამას ერთმნიშვნელოვნად, და ხალხმა უნდა იცოდეს ეს პოზიცია. (ტაში).

სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტი ძირითადად მზად არის. ჩვენ უმოკლეს ვადაში წარვუდგენთ მას სსრ კავშირის უზენაეს



საბჭოს და რესპუბლიკების უზენაეს საბჭოებს. ნუ გვაშინებს სუვერენიტეტის ახლად გამოჩეკილი მებრძოლები, აი, რა გამოხატვას ჰალება ... ხალხს ჯერ უნდა დაეკითხო (ტაში). უკრაინაში ეს ყველაზე კრიტიკულ მომენტში გააკეთეს და სამოცდაათ პროცენტზე ნაკლები არ ყოფილან ისინი, ვინც მხარი დაუჭირა კავშირის შენარჩუნებას და განახლებას. ასეა ყველგან, უკვე ვიღებ ინფორმაციას საქართველოდან, თუ რა აღელვება გამოუწვევია იქ განცხადებას, რომ წყვეტინ საუკუნეთა მანძილზე დამკვიდრებულ კავშირურთიერთობას.

(ხაზგასმა „გუშაგისაა“)

მეშვიდე საჭიროდ მიმაჩინია ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვინიშნო, რომ უნდა გავაძლიეროთ ყურადღება არმიის, სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფის პრობლემებისადმი. არმია ხალხის პირმშოა. მე საგანგებოდ ვიმეორებ ამ ფორმულას, რომელიც წლობით იყო ჩვენი ორიენტირი, და ერთხელ კიდევ ვთხოვ უზენაეს საბჭოს, დაუყოვნებლივ მიიღოს კანონები, რომელიც საშუალებას მისცემს არმიას შესარულოს თავისი დანიშნულება, და უზრუნველყოს იმათი პრესტიუ, ვინც დგას ჩვენი სახელმწიფოს უშიშროების სადარაჯოზე ..“

*** ***

მ ო ს ა ლ ი ც ი დ ე პ ე შ ე ბ ი

ჩვენ აქ მხოლოდ ორიოდეს გადმოვგეტდავთ პრესიდან, იმ უთვალავთა შორის, რომელიც თავმჯდომარე ზვიად გამსახურდიას სახელზე მოსულა.

მის აღმატებულებას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნ ზვიად გამსახურდიას

გულწრფელად გილოცავთ საქ. რესპ. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევას, ვუსურვებ ქართველ ერს წარმატებებს სრული სხელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე. მოხარული ვართ, რომ ამ თვალსაზრისით ჩვენ საერთო გზები გვაქვს, ამიტომ ვიმედოვნებთ, რომ საქართველო და ლატვია უახლოეს მომავალში შეძლებენ ჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური კონტაქტების დამყარებას.

ლატვიის რესპუბლიკის უზ. საბჭოს თავ - რე ა. გორბუნოვი.

საქ. რესპუბლიკის უზენასი საბჭოს თავმჯდომარებელის
პატივცემულ ზეიად გამსახურდიას

მოლდაველი ხალხის, მოლდავეთის პარლამენტისა და მთავრობის სახელით გილოცავთ ს. უ. ს. თავმჯდომარის მაღალ პოსტზე არჩევას, დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი სამართლდაცვითი საქმიანობისა და საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მრავალ-წლიანი გამოცდილება, აგრეთვე საზღვარგარეთის პოლიტიკურ სამყაროში თქვენი სახელი დაეხმარება საქ.-ს საზოგადოებას მიაღწიოს სასურველ კეთილდღეობას და თანხმობას. გამოვთქვამ აგრეთვე იმედს, რომ მოლდაველი და ქართველი ხალხების ტრადიციული ურთიერთობა გაფართოვდება, გალრმავდება და უახლოეს მომავალში ურთიერთელსაყრელ დონეს მიაღწევს ჩვენი სუვერენული რესპუბლიკების საკეთილდღეოდ.

მოლდავეთის საბჭ. სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი
მ. ს ნ ე გ უ რ ი.

საქ.-ს პრეზიდენტს ბატონ ზეიად გამსახურდიას

დიდად პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!
ძლიერ მოხარული ვარ საქართველოს პრეზიდენტად
თქვენი არჩევისა და გულით მოგილოცავთ. გისურვებთ ნაყოფიერ მოღვაწეობას თქვენი ხალხის საკეთილდღეოდ.

თქვენი ოსკარ ლაფონტენი,

ზარის მხარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე (გერმანია)

საქ.-ს რ. უზენასი საბჭოს თავმჯდომარეს ჭ. კ. გამსახურდიას

პატივცემულო ზეიად კონსტანტინეს ძევ, ვსარგებლობ შემთხვევით,
რომ მოგილოცოთ რესპუბლიკის უზენასი საბჭოს თავმჯდომარის
ესოდენ მაღალ და პასუხსაგებ აოსტზე არჩევა.

პატივისცემით ე. შ ე ვ ა რ დ ნ ა დ ე

საქ. რ. უზენასი საბჭოს თავ-რეს ჭ. კ. გამსახურდიას

პატივცემულო ზეიად კონსტანტინეს ძევ! ამიერკავკასიის სამხედრო
ოლქის სამხედრო საბჭო გილოცავთ საქ.-ს რესპუბლიკის უზენასი



საბჭოს თავ - რედ არჩევას, გისურვებთ ჯანმრთელობას და დაზღვრულ ტექნიკას რჩატებებს რესპუბლიკის პარლამენტის წინაშე დასახული სამსუბურებელი გები ამოცანების გადაწყვეტაში. გამოვთქმებთ რწმენას, რომ გვეჭნება ურთიერთგაება და აქტიურად ვითანამშრომლებთ ჩვენი სამშობლოს სამხრეთი საზღვრების საიმედო დაცვის, ხალხის აღმშენებლობითი შრომის უზრუნველყოფის საქმეში.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ვ. პატრიკევი

*** *** ***

გარდამავალი პერიოდის კანონი

„ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, აცხადებს რა საქ.-ს რესპუბლიკაში გარდამავალ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც უნდა მომზადდეს საქ.-ს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საფუძვლები, ადგენის: შეტანილი იქნეს კონსტიტუციაში ცვლილებები:

I. 1. პრემისტული ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რომელიც საუკუნეთა სილრემში იღებს სათავეს, XIX საუკუნის დასაწყისში დაკარგულ იქნა უცხო ძალის ჩარევის შედეგად. ქართველი ხალხი არასოდეს შეპატიონის სახელმწიფოებრიობის დაკარგის. 1917 წლის თებერვალში დაემხო რუსეთის იმპერია, რამაც ქართ. ხალხს შესაძლებლობა მისცა 1918 წ. 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით აღედგინა საუკუნეზე მეტი წნის წინ რუსეთის თვითმკყრობელობის მიერ გაუქმებული სახელმწიფოებრიობა. ქართ. ერმა თავისი პოლიტიკური ნება განახორციელა 1919 წლის 12 მარტს, როდესაც დამფუძნებელი კრების პირველ სხდომაზე შევყნისა და ისტორიის წინაშე ცნო და დაადასტურა აღრე მიღებული დამოუკიდებლობის აქტი, შემდეგ კი 1921 წლის 21 თებერვალს მიიღო საქართველოს კონსტიტუცია.

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა საქართველოს ოკუპაცია, რასაც შემდეგში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია.

საბჭ. კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებითი ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და რეპრესიებით - (განსაკუთრებით 1924, 1936 - 38, 1949 - 51, 1956 წლებში), რისი

უკანასკნელი გამოცლნებაც იყო 1989 წლის 9 აპრილის უკანასკნელი ამ მოვლენამ თვისებრივად ახალ ეტაპზე იყენება საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი დასრულდა 1990 წლის 28 ოქტომბერს. როდესაც საქართველოს უზენაესი საბჭოს მრავალპარტიულ, დემოკრატიულ არჩევნებში გაიმარჯვეს ეროვნულმა ძალებმა. ამით დაიწყო ახალი ხანა, რომელიც უნდა დაგვირგვინდეს საქართველოს სრული სახელმწიფო ერი დამოუკიდებლობის აღდგნით.

ახალი კონსტიტუციის შემუშავებამდე საქართველოს არსებული კონსტიტუცია სათანადო ცვლილებებითა და დამატებებით იმოქმედდებს გარდამავალი პერიოდის მოთხოვნათა შესაბამისად, როგორც საქართველოს რესპუბლიკის დროებითი ძირითადი კანონი.

გარდამავალი პერიოდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უნიშვნელოვანესი ეტაპია, რომლის განმავლობაშიც უნდა მომზადდეს საქართველოს სრული სახელმწიფო ერის დამოუკიდებლობის აღდგენის რეალური საფუძვლები...” შემდეგ კანონში აღნუსხულია მუხლობრივი შესწორებები, რომლებიც შეტანილია საქართველოს სსრ კონსტიტუციაში და რომლის გადმობეჭდვაზეც აქ თავს შევიკავებთ.

გარდამავალი პერიოდის საქართველოს რესპუბლიკის გერბად დამტკიცდა „თეთრი გიორგი“, შემდეგი აღწერილობით:

„საქ. სახ. გერბი არის ეროვნული ონთამენტისანი შვიდქიმიანი ვარსკვლავი, ვარსკვლავის ოქროსფერ ჩუქურთმას აქვს შავი აღშია. ქიმების შიდა ველი ქართული წითელი ფერისაა (შინდისფერია).“

ვარსკვლავის გულზე მოთავსებულია მრგვალი ქართული ფარი, ქართული ფერის (შინდისფერი) ველით, რომელზედაც გამოსახულია ოქროსფლობებიან თეთრ ცხენზე ამხედრებული თეთრი გიორგი. მას მარჯვენა ხელში უპყრია საბრძოლოდ შემართული ვერცხლისპირიანი ოქროს შუბი, ხოლო მარცხენაში – ოქროსზოლიანი ფარი.

თეთრი გიორგის აცვია ალისფერი შარვალი და ოქროსფერი წალები. შემოსთლია ვერცხლისფერ უჯრედებიანი ცისფერი ჯავშნითა და თეთრი მოსახამით. ჯავშნის ქვემოთ მოუჩანს ყავისფერი (მიხაკისფერი) ტყავის პერანგი.

თეთრი გიორგის ცხენს უნაგირის ქვეშ დაფენილი აქვს ვეფხვის ტყავი. უნაგირი ოქროსია, ხოლო უზანგი –ვერცხლისა.

თეთრი გიორგის თავს ზემოთ ჩვაჭიმიანი ვერცხლისფერი ვარსკვლა-



ვია. ვარსკვლავის მარჯვნივ არის ვერცხლისფერი მთვარეები, რცხვნივ ოქროსფერი მზე. მთვარისა და მზის გასწვრივ ორ-ორი რვა ქიმიანი ვერცხლისფერი ვარსკვლავი. თეთრი გიორგის ცხენს ქვემოთ შავი ფერით გამოსახულია მთის მწვერვალი.“

*

კანონი სახელმწიფო პიმნის შესახებ


საქ.-ს კონსტიტუციის 182-ე მუხლის შესაბამისად, ს. რ. უ. საბჭო აღგენს: 1. დამტკიცდეს საქართველოს ოესპუბლიკის სახელმწიფო პიმნის ტექსტი და მუსიკალური რედაქცია. 2. ამ კანონით დამტკიცებული საქ. ოესპუბლიკის სახელმწიფო პიმნის შესრულება მთელ რესპუბლიკაში შემოღებულ იქნება 1990 წლის 15 ნოემბრიდან.

3. საქ. ოესპუბლიკის სახელმწიფო პიმნის ტექსტი და მუსიკის ნოტები გამოქვეყნდეს.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქ. სსრ სახელმწიფო პიმნის შესახებ საქ სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წ. 14 პრილის ბრძანებულება (საქ. სსრ უ. ს. უწყებები, 1978 წ., №4, მუხ. 69).‘

ს. რ. უზე. საბჭოს თავ - რე ქ. გამსახურდია

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თენგი % სიგუა



თ. იპოლიტეს ძე სიგუა დაიბადა 1934 წ. 9 ნოემბერს სოფ. ლენტეხში მოსამსახურის ოჯახში. 1952 წ. დაამთავრა თბილისის პირველი საშუალო სკოლა, 1957 წელს – საქ. პოლიტიკიკისტური ინსტიტუტი ინჟინერ-მეტალურგის სპეციალობით. 1957-59 წლებში მუშაობდა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. 1959-62 წლებში საქ. მეც. აკადემიის ასპირანტია. დამთავრების შემდეგ მუშაობს მეც. აკადემიის მეტალურგიულ ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ლაბორატორიის გამგედ, ლირექტორის მთავრილებით. 1989 წელს აირჩიეს საქ. მეც.



ციერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტუტის ლერენტიან

1964 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო **1988** წულს – სალოქტორო დისერტაცია. არის ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემიის ლაურეატი, მინიჭებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება. ბოლო წლებში აქტიურად მონაწილეობს საქ. ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. არის მერაბ კოსტავას სახელობის საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დამატების ფონდის სათაობიროს წევრი. **1989** წელს აირჩიეს სრულიად საქართველოს რესთაველის საზოგადოების ვიცეპრეზიდენტად, **1990** წელს – ამავე საზოგადოების პრეზიდენტად. არის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა ბლოკის „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს“ ექსპერტთა ჯგუფის წევრი.

ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი.

*

საქ. რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავ – რის პირველი
მოადგილი აკაკი ასათიანი

აკაკი თორნიკეს ძე ასათიანი დაიბადა **1953** წლის 22 ოქტომბერს, თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. **1971** წელს დაამთავრა თბილისის პირველი საშუალო სკოლა, **1977** წელს – თბილისის სახ. უნივერსიტეტის აღმოსავალეთმცოდნეობის ფაკულტეტი. სხვადასხვა წლებში მუშაობდა მასწავლებლად, მთარგმნელად, რედაქტორად. ბოლო დროს მუშაობდა საქინფორმში მთარგმნელად. აქტიურად მონაწილეობს ეროვნულ მოძრაობის ყველა ლონისძიებასა და აქციაში, არის ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარე და „მრგვალი მაგიდის“ წევრი. ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი.

დამტკიცდა ახალი მთავრობა

საქ. უზენაესი საბჭოს 22 ნოემბრის სხდომაზე, მიცემული დავალების თანახმად, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თენგიზ სიგუამ წარმოადგინა რესპუბლიკის მინისტრთა ახალი კაბინეტის ჩამოყალიბების, ზოგიერთი სამინისტროსა და უწყების სტრუქტურათა რეორგანიზაციის განხორციელების ჩიგი წინადადებები, დაასახელა მინისტრთა პოსტების კანდიდატები. ახლად მიღებული წესის თანახმად,



სამინისტრო კანცილატურათა განხილვა ჯერ მუდმივ კომისიებით და დაეცა, ხოლო შესვენების შემდეგ პარლამენტმა განიხილა რეგულატორით სესიამ დანიშნა: იუსტიციის მინისტრად ჯონი ხეცურიანი, განათლების მინისტრად ლია ანდრე ულაძე, კულტურის მინისტრად – ნოდარ წულევა სკირი, სახტელერალიოს თავმჯდომარედ – თერიშვილი აზე კვანტალიანი, მეცნიერების ტექნიკისა და პროგრესიული დაგეგმვის მინისტრად – ირაკლი ჭორდანია, კავშირგაბმულობის მინისტრად – ფეოდას ტყებუჩავა, ვაჭრობის მინისტრად – თამაზ გველესიანი, ფინანსთა მინისტრად – გურამ აბსანძე, შინაგან საქმეთა მინისტრად – დილარ ხაბულიანი, საგარეო საქმეთა მინისტრად – გიორგი ხოჭტარია, ტრანსპორტის მინისტრად – ალექსანდრე ჩხერიძე, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრად – ირაკლი მენადარიშვილი.

საქ. მინისტრთა საბჭოს თითოეული მინისტრის დანიშვნის ბრძანებულება, თავმჯდომარე ზ. გამსახურდის ხელის მოწერით, გამოიცა 1990 წლის 22 ნოემბრის თარიღით და იგი ძალაში შევიდა დაუყოვნებლივ.

ზოგიერთი სხვა ღონისძიება

საქ. რეპუბლიკის უზენაეს საბჭოს 22 ნოემბრის სესიამ მიიღო აგრეთვე შემდეგი ღიღად მნიშვნელოვანი დადგენილებები:

ა) უზენაესმა საბჭომ ჩამოაყალიბა თბილისის სამეცნიერო ინსტიტუტში შექმნილი სიტუაციის შემსწავლელი და 1983 წლის 18 ნოემბერს თვითმფრინავის გატაცების ცდის მონაწილეთა ბედის დამდგნი კომისია.

ბ) დეპუტატებმა განიხილეს და დაამტკიცეს კანონი ამნისტიის შესახებ.

გ) სესიამ მიიღო დადგენილება საქ.-ს ტერიტორიაზე საყოველთაო სამხედრო მოვალეობის შესახებ სსრ კავშირის კანონის მოქმედების შექმნების თაობაზე და დაამტკიცა ცელიებები რეპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც აუქმებენ წინათ გათვალისწინებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურისაგან თავის არიდებისათვის.

დ) და ბოლოს დადგენილება: არსებული უქმე დღეების გაუქმირების ისა და ტრადიციულთა აღდგენის შესახებ,

რომელშიც ნათქვამია: 1. გაუქმდეს საქ.-ს მთელ ტერიტორიაზე დღემდე არსებული ყველა დღესასწაული და მთთან დაკავშირებული უქმე დღე, გარდა ახალი წლის (1 იანვარი) უქმე დღისა.

გაუქმდეს ამასთან დაკავშირებული ყველა ნორმატიული აქტი.

2 საქ.-ს სახელმწიფო ორგანიზაციის დამოუკიდებლობის აღდგენის დღე

26 მაისი გამოცხადდეს დღესასწაულად და უქმე დღედ.

3. აღდგენილ იქნეს საეკლესიო დღესასწაულებთან დაკავშირებული შემდეგი უქმე დღეები: აღდგომა, ნათლისდება, მცხოვრისა (14 ოქტომბერი), მიძინება ყოვლადწმინდა და ცოდნის მიზანისა ანუ მარიამობა (28 აგვისტო), ვიორგობა (23 ნოემბერი), შობა მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი (7 იანვარი, ძველი სტილით 25 დეკემბერი), გამოცხადდეს აგრეთვე უქმე დღედ მიცვალებულთა მოხსენიების დღე (აღდგომის მეორე დღე, ორშაბათი, თარიღი გარდამავალია.)

(ქართ. პრესის მიხედვით ჩედაქციის მიერ შედგენილი)

* * * * *

ეროვნული კონგრესი

(გაგრძელება 35 გვერდიდან)

მიმართვა ქართველი ერისადმი

საყოველთაო, დემოკრატიული, მრავალპარტიული, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით არჩეული საქართველოს ეროვნული კონგრესი, აღჭურვილია რა საქართველოს მოსახლეობის ნდობის მანდატით, წარმოადგენს ქართველი ერის უზრუნვესი ნებისა და მისწარაფებების გამომხატველ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელ, წარმომადგენლობის პრინციპზე დაფუძნებულ ორგანოს. ჩვენი ერისა და ქვეყნისათვის ამ კრიტიკულ პერიოდში მივმართავთ ქართველ ერს საერთო ძალისხმევისაკენ იმ დიდი საქმის გამარჯვებით დასაგვირგვინებლად, რომელსაც დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველო ჰქვია.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მოწოდებულია საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი და ზნეობრივი ნორმების დაცვით, მშვიდობიანი ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით შეიყვანოს ქართველი ერი, საქართველოს მთელი მოსახლეობა თავისუფალ საქარ-



თველოში. მხოლოდ სრული დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული უნია თარებაში იქნება შესაძლებელი ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, უცნობი მიკური, სოციალური, კულტურული და ზნეობრივი აღორძინება, თი-თოვეული პიროვნებისა და მოქალაქეთა სრული თვითრეალიზაცია.

საქართველოს ეროვნულ კონგრესს მიაჩნია, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე საჭიროა შემდეგი უმთავრუსი ნაბიჯების გადადგმა.

1. საქართველოს ტერიტორიიდან საბჭოთა საოკუპაციო ჯარების სრული და უპირობო გაყვანა.

2. 1921 წლის თებერვალში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ საბჭოთა რუსეთის აგრესის, ოკუპაციისა და ანექსიის შედეგად შექმნილი სახელმწიფო, საზოგადოებრივი, საკანონმდებლო და სამართლებრივი სტრუქტურების სრული დემონტაჟი.

3. საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე დამოუკიდებლობის აღდგენა და ერის ნებაზე დაყრდნობით საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის განსაზღვრა.

ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსა-დგენად უნდა იქცეს საყოველთაო სახალხო მოძრაობად, რომელშიც საქართველოს მთელი მოსახლეობა გამოამცელავნებს ერთსულოვნებასა და უდრეკობას, დაუპირისპირდება არსებულ არაკანონიერ სტრუქტურებსა და ინსტიტუტებს. საქართველოს დღევანდველი რეალური მდგრამარეობა უნდა აისახოს მისი სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრაში საერთაშორისო სამართლის დონეზე: საქართველო არის აგრესის შედეგად დაპყრობილი და ანექსირებული ქვეყანა, რომელშიც არსებული რეეიმი მთლიანად დაფუძნებულია საოკუპაციო ჯარის ძალაზე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, სხვა საერთაშორისო სამართლებრივი ინსტანციების წინაშე დაუყოვნებლივ უნდა დაისვას საქართველოს დეკუპაციისა და დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი. ამავე დროს სრულიად საქართველოს მასშტაბით უნდა შეიქმნას იმპერიული ცენტრის მიმართ ოპოზიციური სტრუქტურები, რათა უკიდურეს შემთხვევაში შესაძლებელი გახდეს საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობისა და ტოტალური მშვიდობიანი წინააღმდეგობის განხორციელება საქართველოს ტერიტორიაზე, დეოკუპაციისა და დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით.

რეალური პოლიტიკური ვითარება, მოვლენათა სტრაფი განვითარება მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ქართველი ერის დიდი სახელმწი-

ფონებრივი, კულტურული და ზნეობრივი ტრადიციები გვაფილდები საქართველოს მაქსიმალურად დაგაჩქაროთ განთავისუფლების პროცესი, მაგრამ გავრმისჭვალოთ პასუხისმგებლობის იმ უდიდესი გრძნობითაც, რომელიც გვაცისრია შთამომავლობის წინაშე.

ჩვენი მომავალია – თავისუფლალი, ერთიანი, დემოკრატიული საქართველო! გავერთიანდეთ ჩვენს წმინდა ბრძოლაში!

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

ერთ ვნული კონგრესი

ერთიანი ძალის სახე ვით –

თავისუფლებისა და

დამოუკიდებლობისაკენ

ქართველი ერის ცხოვრება და საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა ისტორიულ-პოლიტიკური თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვან და პასუხსაგებ ფაზაში შევიდა. ამ ბოლო ხანს გამართულ ორ პარალელურ საყოველთაო დემოკრატიულ მრავალ-პარტიულ არჩევნებში კიდევ ერთხელ ხმამაღლა გაცხადდა და სამართლებრივად დადასტურდა ქართველი ერის უზენაესი ნება და მისწრაფება – აღდგეს საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

დამოუკიდებლობისაკენ, თავისუფლებისა და სახელმწიფოებრიობისაკენ მისწრაფება უკვე იქცა ისეთ ისტორიულ და საარსებო აუცილებლობად, რომელიც ნებისმიერი ძალისხმევის ტოლფასად, ან უნდა ბოლომდე მიიყვანოს და განახორციელოს ქართველმა ერმა, ან, ამ ისტორიულ მისიის განუხორციელებლობის შემთხვევაში, მსოფლიო განვითარების წინაშე ფარხმალი დაყაროს და ერთხელ და სამუდამოდ წავიდეს საკაცობრიო სარბიელიდან. ჩვენ უნდა ვიყოთ თავისუფალი, დამოუკიდებელი, ძლიერი სახელმწიფოებრიობის მქონე ერი, ან საერთოდ არ უნდა ვიყოთ!

ამიტომ გვმართებს სიტყვით და საქმით განვახორციელოთ და რეალურ სინამდევილედ ვაქციოთ ჯანსაღ ზნეობრივ, პოლიტიკურ, სარწმუნოებრივ და მსოფლმხედველობრივ საწყისებზე დაფუძნებული ეროვნული კონსოლიდაცია. და ვინაიდან საყოველთაო დემოკრატიული არჩევნების შედეგად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმნიშვნელოვანესი და მთავარი მამოძრავებელი ძალები განაწილდა



ორ პარალელურ სტრუქტურაში ეროვნული კონგრესისა და მთავრობის სის საბჭოს სახით, მიგვაჩნია, რომ საბჭოთა რუსეთის მოწყობიზე ბული იმპერიის წინააღმდეგ ერთიანი ძლიერი ფრონტის შექმნა ერთობლივი ძალებით უნდა უზრუნველყონ სწორედ საქართველოს ეროვნულმა კონგრესმა და საქართველოს უზენაესმა საბჭომ. ამისათვის საჭიროდ და ოცნებელად ვთვლით უახლოესი მომავლისთვის ოფიციალურ დონეზე გაიმართოს შეხვედრა ეროვნული კონგრესისა და უზენაესი საბჭოს წარმომადგენლებს შორის, რათა დაიწყოს კონსტრუქციული დიალოგი საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და მშენებლობის საკითხთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემების გარშემო.

ყველასათვის ცხადია, რომ ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობის შიგნით არსებულ იმ ორ ძირითად პოლიტიკურ მიმღინარეობას შორის, რომლებიც ეროვნული კონგრესისა და უზენაესი საბჭოს არჩევნების იდეას უკავშირდებოდნენ, მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით არსებობდა და დღესაც არსებობს პრინციპული დაპირისპირება. მაგრამ ეს ფაქტორი არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს მიჩნეული გადაულახავ დაბრკოლებად საერთო მიზნისათვის დაწყებული ბრძოლის გზაზე ეროვნულ კონგრესისა და უზენაესი საბჭოს დაახლოებისათვის. უნდა ვეცადოთ შემუშავდეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის ერთიანი სტრატეგია. ვუკიტობთ, მთავარი საკითხისაღმი მიუკერძოებელი და კონსტრუქციული მიღვომის შემთხვევაში, საერთო მეტოქის წინააღმდეგ, თუნდაც მრავალმხრივი, მაგრამ ერთიანი სტრატეგიის შემუშავება შესაძლებელია.

ყველაფერი უნდა დაიწყოს იმით, რომ უახლოეს წარსულში არსებული შუღლი, განხეთქილება და ანტიგონიზმი დავიწყებას მიეცეს. ამ მხრივ მისასალმებელია საქ. უზენაეს საბჭოს მხრიდან წამოსული ინიციატივა ურთიერთშემწყნარებლობისა და მიმტევებლობის, თანადგომისა და პატივისცემის, ეროვნული თანხმობისა და ერთიანობის თაობაზე. მაგრამ ეს ყველაფერი სიტყვებად რომ არ დარჩეს და საქმედ იქცეს, აუცილებელია პოლიტიკური და იურიდიული გარანტიების შექმნა საზოგადოებრივი ცხოვრების ჩეალურ სტრუქტურებში. ვინაიდან ქართველი ერის შეგნებული უმრავლესობა მიზანდასახულ-ად იბრძვის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგე-



ნისათვის, ვინაიდან ამ საერთო ეროვნული მიზნიდან გამომდინარე საქართველოში ოფიციალურად არის გამოცხადებული გარდამავალი პერიოდი, ვინაიდან საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფო ბრძოლი და-მოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლა არც ერთ შემთხვევაში არ შედის ცალკე მარტო ეროვნული კონგრესის ან მარტო უზენაესი საბჭოს პრეზიდენტივაში, ეროვნული თანხმობისა და ერთიანობის დასამკვიდრებელ იურიდიულ და პოლიტიკურ გარანტიებად მივვაჩნია:

— ეროვნული კონგრესისა და უზენასი საბჭოს ერთობლივი ძალის ხმევით საყოველთა ეროვნული დაუმორჩილებლობის განხორციელების ინსტრუმენტის შექმნა;

— საქ. სახელმწიფო დამოუკიდებლობის ვანსაზღვრისათვის საერთო პირობების შემუშავება;

— საერთო მოდელის შექმნა მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო ბრივ-საზოგადოებრივი წყობილების, აღმასრულებელი, საკანონმდებლო, სასამართლო, პოლიტიკური, ეკონომიკური, თავ-დაცვითი, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის სტრუქტურებისა და საშინაო და საგარეო პოლიტიკის ორიენტაციის შესახებ;

— გარდამავალ პერიოდში ეროვნული კონგრესისა და უზენაესი საბჭოს მიერ პარიტეტულ საწყისებზე ერთობლივი კომისიების შექმნა გარდამავალი პერიოდის თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის სტრუქტურების შექმნისა და ფუნქციონირებისათვის. საერთო მტრის წინააღმდეგ ერთიანი მძღავრი ფრონტის შექმნისათვის აუცილებელ პირობად მივვაჩნია:

— უზენაესი საბჭოს მიერ საეციალური დაგენერილების გამოცემა, რომლის თანახმადაც საქართველოს განესაზღვრება ოკუპირებული, ანეჭისირებული, პერმანენტური აგრესიის ქვეშ მყოფი დაცყრიბილი ქვეყნის სტატუსი;

— უზენაესი საბჭოს მიერ დეკლარაციის მიღება საქართველოში საბჭო. ხელისუფლების უკანონოდ ცნობისა და საქართველოს მთელ ტრანსრიაზე სსრკ-ის და ე.წ. საქართველოს სსრ კონსტიტუციების მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

— უზენაესი საბჭოს მიერ მეტროპოლიისა და საერთაშორისო სამართლებრივი ინსტანციების წინაშე საქართველოს დეკუპაციისა და სსრკ-ს სახელმწიფო საზღვრებიდან საქართველოს ფაქტობრივი გამოყვანის შესახებ საკითხის დაუყოვნებელი დასმა.



დღევანდელ რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში საქართველოს მთავრობა ვისუფლებისა და სახელმწიფო ებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა უდიდეს პრობლემებთან არის დაკავშირებული. ამიტომაც მიგანია აუცილებელ პირობად, ზემოთქმულ საკითხებთან დაკავშირებით, უახლოესი მომავლისათვის ოფიციალური დონის შეხვედრის გამართვა საქართველოს ეროვნული კონგრესისა და საქართველოს უზენაესი საბჭოს წარმომადგენელთა შორის. იმედს გამოვთქვამთ, კონგრესმა წები და დეპუტატები გაუგებენ ერთმანეთს!

ღმერთი ფარავდეს საქართველოს და მის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას!

ი რ ა კ ლ ი წ ე რ ე თ ე ლ ი
1990 წლის 18 ნოემბერი

*** *** *** ***

თ ა ვ ი III გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი პ ე რ ი თ დ ი

სსრ კავშირის პრეზიდენტს მ. ს. გორბაჩოვს
სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტის თაობაზე

იმსჯელა რა „ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების კონცეფციაზე“, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს შემდეგი:

საქ. რესპ. უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 14 ნოემბერს ერთხმად მიიღო კანონი გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ. კანონი ადასტურებს, რომ 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახით აღდგენილი სახელმწიფო-ბრივი დამოუკიდებლობა 1921 წლის თებერვალ-მარტში რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის მიერ ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის გზით იქნა წართმეული. გამომდინარე ჩამოყალიბებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი სტრუქტურებიდან, საქართველოს რესპუბლიკა ფაქტობრივად დღესაც რჩება სსრ კავშირის შემადგენლობაში, მაგრამ აღნიშნული სტრუქტურების რეორგანიზაციის გზით, ესწრაფვის სრული სახელმწიფო-ებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას.

ამ პირობებში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო შესაძლებლად არ თვლის ხელი მოაწეროს ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას და ამით თავის თავზე აიღოს რამე ვალდებულება.



მხოლოდ ოცნება მოიპოვებს ნამდვილ დამოუკიდებლობას, კანონმდებლობის როცნა განვითარება სახელმწიფო ცხოვრების პოლიტიკურ და სხვა სფეროებში ჰქონდება უზენაარიტად თავისი ბედის ბარონ-პატრონი და საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიანი სუბიექტი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაარიტად საბჭო ქართველმა ხალხმა შეიძლება აღჭურვის რწმუნებით ხელი მოაწეროს რამე ხელშეკრულებას, ნებისმიერ სხვა ქვეყანასთან, რომელიც დაადგენს სახელმწიფოთა კავშირის ამათუ იმ ფორმას.

ასეთი მიდგომა არ ნიშნავს უარის თქმას ეკონომიკურ, მეცნიერულ-ტექნიკურ, კულტურულ და სხვა სფეროებში ამა თუ იმ ქვეყანასთან თანამშრომლობის ნებისმიერ ფორმაზე, რომელთა უმრავლესობასთანაც საქართველოს კავშირი აქვს საუკუნეების განმავლობაში და დღესაც ნაყოფიერად თანამშრომლობს. ცხადია, რომ ახალ პოლიტიკურ პირობებში ეს თანამშრომლობა უნდა ეყრდნობოდეს თვისებრივად ახალ სამართლებრივ ბაზისს, რომელიც ითვალისწინებს სრულ თანასწორუფლებიანობასა და ურთიერთსარგებლიანობას.

უარს ამბობს არ ნებისმიერ ხელშეკრულებაში მონაწილეობაზე, რომელიც ითვალისწინებს „საკავშირო ორგანოსადმი“ დაქვემდებარების მინიმალურ ვერტიკალურ სტრუქტურასაც კი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაარიტად არის ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის თანასწორუფლებიანი ურთიერთობების საფუძველზე. რაც ასეთი ურთიერთობის მონაწილეთა კეთილდღეობამდე მიგვიყვანს.

ყოველივე ზემოთ ქმული საქართველოს რესპუბლიკის უზენაარიტად საბჭოს საფუძველს აღლევს ამ ეტაზზე უარი თქვას „ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების კონცეფციის“ დეტალურად განხილვაზე. რამდენადაც მისი ნებისმიერი ფორმა მიუღებელია საქართველოს რესპუბლიკისათვის. რომელიც ჯერ მხოლოდ სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღწევის გზაზე გარდამავალი პერიოდის დასაწყისში იმყოფება.

ეს განცხადება მოწონებული და მიღებულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაარიტად საბჭოს 1990 წლის 22 ნოემბრის სხდომაზე


საქართველოს რესპუბლიკის უზენაარიტად საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია

პრომეთეს აწამებს ზეცხის არწივი. არწივი, ერთი მხრივ, სიმბოლო არის აღმაფრენისა – სულიერი აღმაფრენისა და შემეცნებისა, ხოლო, მეორე მხრივ, ეს არის სიმბოლო იმპერიული ძლიერებისა და ძალობრეობისა, რომელიც აწამებს პრომეთეს. კლდეზე მიჯაჭვული პრომეთე, ანუ ფიზიკურზე მიჯაჭვული აზროვნება განთავისუფლა ჰერაკლემ.

რა არის ჰერაკლე? ეს არის ინიციაციის ახ აღი კულტურა, ნებელობითი ინიციაცია, რომელიც არის წინასახე ქრისტიანული ინიციაციისა. საერთოდ, ძველბერძნული მისტერიები თავისი ხასიათით პროფეტული

იყო. სიტყვა „ელოიზის“ ძველბერძნული სიტყვაა. „ელოიზისის“ მისტერიები ეს იყო ცენტრალური მისტერიები ძველი საბერძნეთისა, რაც ნიშნავს მოწევნადს, მოვლინებას, განსჭვრეტას მომავლისას და ჰერაკლეს სახე არის წინასახე ქრისტიანული ინიციაციისა, რომელიც დაკავშირებულია ნებელობასთან, სულის აქტივობასთან და კერძოდ იმასთან, რასაც ქრისტიანობაში ჰქვია სასუფელის ძალისმეცით აღება, ვინათან ქრისტიანული ინიციაციის არის იესო ქრისტემ განმარტა როგორც სასუფელის აღება ძალისმეცით (სასუფელი იძულების“). ასე რომ, ჰერაკლეს გმირობანი, ეს სიმბოლურად უნდა გავიგოთ, როგორც ინიციაციის სხვადასხვა საფეხურები, სულიერი განვითარების სხვადასხვა დონეები, რომლის კულმინაციაც არის პრომეთეს განთავისუფლება, ანუ აზრის განთავისუფლება ფიზიკური სხეულის ტყვეობისაგან და კაცობრიობის გამოხსნა.

ეთნოლოგიური თვალსაზრისით, როგორც მოგ ახსენეთ, მითებს აქვს ასეთი განმარტებაც და მითოლოგია და ეთნოლოგია უაღრესად მჭიდრო კავშირშია. ეს არის განთავისუფლება იმ მოდგმისა, რომელიც ზეცხის მიერ, ანუ ინდოევროპული მოდგმის მიერ იქნა მიჯაჭვული, ანუ ლოკალიზებული კავკასიაზე. ე. ი. პრომეთეს მითში აირევლა აგრეთვე პროტოქართული მოდგმის, პროტოიბრიული მოდგმის წარსული და მომავალიც. ჰერაკლე, როგორც მოგახსენეთ, არის სიმბოლი



ური გამოხატულება ახალი ინიციაციური კულტურისა, კურტანტურისა და სტიმული კულტურისა და, სხვათა შორის, ეს არა მხოლოდ თანამედროვე სულიერ მეცნიერებაში არის ასე, არამედ შუასაუკუნოებრივ ლეთისმეტყველებაში, ბიზანტიურ ლეთისმეტყველებაშიც კი ჩვენ ეხვდებით ისეთ ძეგლებს, სადაც მინიშნებულია ამაზე, სადაც მინიშნებულია, რომ პერაკლე არის წინასახე ქრისტესი. კერძოდ, მის მიერ კერძოდ კლიფან წყლის აღმოცენება ითვლება ქრისტიანობის წინასახედ და რომ აგრეთვე არგონავტების ლაშქრობა ეს არის წინასახე ქრისტიანული ინიციაციისა და შემთხვევითი არ არის, რომ ოქროს საწმისს სულიერ მეცნიერებაში ეწოდება კლასიკური გრაალი. ე. ი. ოქროს საწმისი კლასიკურ პერიოდში, ანტიურ პერიოდში არის იგივე, რაც შუასაუკუნეებში გრაალი და ღილოსოფიური ქვა. ღილოსოფიური ქვა და გრაალი არის აგრეთვე იდენტური ცნებები. ფილოსოფიური ქვის ძიება, ეს არის სულიერი ინიციაციის ძიება, ლეთის ძიება, სულიერი განვითარების გარევიული ღონის, ცნობიერების განვითარების გარევიული ღონის ძიება, რომელიც ანტიურ მისტერიებში, ძველბერძნულ მისტერიებში გაღმოცემული იყო, როგორც ოქროს საწმისის ძიება. ხოლო, ოქროს საწმისი, როგორც მოგეხსენებათ, იყო კოლხეთში. თავდაპირველად ოქროს ვერძი, როგორც მოგეხსენებათ, საბერძნეთიდან არის წასული კოლხეთში, მაგრამ ეს იმ პერიოდის საბერძნეთია, როდესაც იქ ჰყვავის პელაზგური კულტურა და, კერძოდ, პელაზგური აზოვის კულტურა. შემთხვევითი არ არის, რომ ხომალდსაც „არგო“ ჰქვია და არგო თავისი ძირით კოლხეთიდან მომდინარეობს – არგო, არგვეთი, ეგრისი, გრ – ფუძე, ესეც კოლხეთია – და ლაშქრობა კოლხეთში სიმბოლურად, იმაგინატიურად არის ლაშქრობა სულიერი სიბრძნის, მისტერიალური სიბრძნის მოსაპოვებლად, რომელიც იმუამად შემონახული იყო მხოლოდ კოლხეთში და აღარ არსებობდა უკვე საბერძნეთის ტერიტორიაზე, აღარ არსებობდა აღარც ხმელთაშუაზღვის აუზის ქვეყნებში. ისევე, როგორც კრეტაზე წასვლა თეზევსისა არის აგრეთვე იმ სიბრძნის მოპოვება, რომელიც ერინურ საბერძნეთში იმუამად არ არსებობდა.

ის, დავუკვირდეთ, უდიდესი გმირები საბერძნეთისა: თეზევი, ჰერაკლე და იაზონი (სხვათაშორის, ჰერაკლეც ახლავს არგონავტების ხომალდს) ლაშქრობენ იმ ქვეყნებში სულიერი სიბრძნის, მისტერიალური სიბრძნის მოსაპოვებლად, რომელიც წარმოშობით პრო-

ტოქართული, პროტოიბერიული იყო. ასეთი არის კრეტა, მიცნაური კრეტა (სხვათა შორის, „მინოს“ ნიშნავს აზრის მატარებელს, მიაზროვნეს). და თეზეოსის ჩასვლა მინოსში, მის მიერ მინოტავრის მოკვლა, ლაბირინთში შესვლა და იქიდან გამოსვლა, ეს არის სწორედ იმ მინოსურ კულტურასთან ზიარება, რომელიც უფრო ძველია, ვიდრე ძველბერძნული კულტურა, უფრო ამაღლებულია მასზე და ასევე ძველკოლხური კულტურა, რომელიც იმედამად უფრო მაღალ დონეზე იყო, ვიდრე საბერძნეთის კულტურა. ე. ი. ამ გმირების ლაშქრობები დაკავშირებულია მუდამ ქართველურ ქვეყნებთან. ჰერაკლეს ასევე მიდის პირინეის იბერიაში, ჰესპერიდების ბალნარში ვაშლების მოსაპოვებლად.

ამავე დროს, მთი თრდეოსის შესახებ მოგვითხრობს, რომ ორფეოსის მთავარი მიზანი იყო პელაზგური წინაპრების კულტის აღმინდნება. ორფეოსი თვითონ წარმოშობით არის პელაზგი და არის ეგარისა (ორფეოსის მამის სახელი, სხვათა შორის, პირდაპირ ემთხვევა კოლხეთის სახელს: ეგრისი-ეგრი) და რომ მისი მიზანი იყო აღმოჩნდნება სწორედ იმ პელაზგური კულტურისა, რომელიც ელინურ პერიოდში გადაგვარდა და დაკინდა.

რაც შეეხება არგონავტების ლაშქრობას, როგორც წელან მოგახსენეთ, აქ არის მოცემული ძველბერძნული, ლორიული ინიციაციის სხვადასხვა ეტაპები და შემთხვევითი არ არის, რომ დორიული, აქტიური ინიციაცია დაკავშირებული არის კოლხეთთან და კოლხურ სამყაროსთან. ხოლო შუასაუკუნეებში, როგორც მოგახსენეთ, თვით ბიზანტიურ ღვთისმეტყველებაშიც კი არის ძეგლი გერმანე კონსტანტინეპოლელ პატრიარქის მიერ შექმნილი „სასწაული მთავარანგელოზთანი“, რომელშიც არის აღწერილი არგონავტების ლაშქრობა კოლხეთში, რომელსაც მფარველობს მიქაელი, ქრისტიანული მთავარანგელოზი და არგონავტებს გამოეცხადებათ „ცით მოვლენილი ძლიერება საზარელი“, ანუ მიქაელ მთავარანგელოზი და უწინასწარმეტყველებს მათ მომავალში გამარჯვებას. აი, დაუკვირდით, როგორი გაგებაა წარმართული მითისა, ერთი შეხედგით ეგზოტერული ეკლესიის წარმომადგენელთან — გერმანე პატრიარქთან. ე. ი. „ცით მოვლენილი ძლიერება საზარელი“ ეს არის მიქაელ მთავარანგელოზი და არგონავტების ლაშქრობა დაკავშირებული არის მიქაელის მისიათან, მიქაელ მთავარანგელოზისა, რომელიც არის უმთავრესი მზიური მთავარანგელოზი ქრისტიანობისა, ძალი ღვთისა, როგორც მას განმარტავენ.



(მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ გერმანე პატრიარქის უკანასკნელი ბით კოლხი, ლაზი იყო).

ამ, ასეთი კავშირი არსებობს წარმართულ და ქრისტიანულ ინიციატივის შორის, რაც დაკავშირებული არის უძველეს პროტოქართულ მისტერიალურ ცენტრებთან. ხოლო იაზონი, როგორც ფიგურა, როგორც გმირი არის პინდარეს მეოთხე ოდაში მოხსენიებული ვეფხის ტყაოსნად. ე. ი. იაზონი არის აგრეთვე ველხისტყაოსანი გმირი. ის არა მარტო ოქროს საწმისის მომპოვებელი გმირია, არამედ ვეფხის ტყაოსანი გმირიც არის და, საერთოდ, ვეფხისტყაოსანი გმირებიც და კავშირებული არიან უძველეს პროტოქართულ სამყაროსთან. ოუმც ვეფხისტყაოსანი ქურუმები ეგვიპტის მისტერიებშიც გვხვდებიან. სხვათა შორის, პარისიც ვეფხისტყაოსანია, ტროელი პარისიც, ტროაშიც გმირებს ვეფხის ტყავი მოსავთ. ღიონისეს პროცესიებს, სხვათა შორის, მიუძღვის ვეფხი. ღიონისეც თავად ვეფხისტყაოსანია. ასე, რომ ვეფხის ტყავი ეს უძველესი ტოტემური სახეა იაფერური კაცობრიობისა, კავკასიური რასისა.

ახლა მე მინდა დაუბრუნდე დასაწყისს, როდესაც ვმსჯელობდით უძველეს პროტობერულ მოდგმაზე. უნდა მოგახსენოთ, რომ გენუიებაში დამკვიდრდა აკადემიკოს ნიკო მარის ტერმინი -იალეტური მოდგმა, იაფერური ენა. რას ნიშნავს ეს?

თვეენ მოგეხსენებათ, რომ არსებობს გაგება სემიტური კაცობრიობისა, სემიტური ენებისა, სემიტური მოდგმისა. არსებობს გაგება ქამიტური მოდგმისა, რომელიც უკავშირდება ძველ ეგვიპტეს, აფრიკას, და არსებობს აგრეთვე იაფერური. ეს სამი ძმა ბიბლიაში სიმბოლურად ასახავს გარკვეულ შტოებს კაცობრიობისას. კერძოდ, ნოე ასახავს აღლანტურ კაცობრიობას, უაღლენამდელ კაცობრიობას, ე. ი. კაცობრიობის განვითარების იმ ეტაპს, რომელიც აღლანტილის წარვნამდე არსებობდა. ხოლო მისი ძენი არიან უკვე აღლანტილის უემდებომი კაცობრიობის წარმომადგენლები. ერთ-ერთი ამათი შტო არის იაფერური შტო და, სხვათა შორის, იაფერი ძველი ალთემისა დაკავშირებული არის ძველი ბერძნული მითოლოგიის იაპეტოსთან. შემთხვევითი არ არის რომ პრომეთეს მაშა იაპეტოსია. აյ არის იაფერი და ყოველივე ამასთან დაკავშირებულია აგრეთვე პლანეტა იუპიტერი და იუპიტერის რასსა, ანუ თეთრი რასსა. თვეენ მოგეხსენებათ, რომ ეზოტერიზმში რასები დაკავშირებულნი არიან მნათობებთან. იუპიტერთან დაკავშირებულია თეთრი რასსა, მერკურისთან დაკავში-



რებულია შავი ჩასსა, ვენერასთან წითელი ჩასსა, ხოლო მიზანმიზანი უყითელი ანუ მონგოლური ჩასსა. იუპიტერის ჩასსის პირველი რასობრივი სუბსტრატი არის სწორედ ეს იაფეტური პროტოეროპული, პროტოიბერიული კაცობრიობა. აი, ასე უკავშირდება იუპიტერის ჩასსის მისიას პროტოეროპული ანუ პალეოკავკასიური, მედიტერანული ჩასსის მისია. ეს ყოველივე, რაც შეეხება ანტიურობას, წარმართობას.

რაც შეეხება ქრისტიანულ პერიოდს, ქრისტიანულ პერიოდში, როგორც მოგეხსენებათ, საქართველო, კერძოდ ქრისტიანობის შემოსვლა საქართველოში დაკავშირებულია პირველსავე საუკუნეებთან. ესეც არ არის შემთხვევითი, საქართველოში იმყოფებოდა ორი მოციული: ანდრია და სვიმონ კანანელი – პირველი და უკანასკნელი მოციულები. ანდრია იყო პირველწოდებული, ხოლო სვიმონ კანანელი იყო ის, რომელიც გველაზე ბოლოს მივიდა ქრისტესთან. ეს არის სიმბოლო იმისა, რომ ისინი გამოხატავენ აღფის და ომებას, ე. ი. დასაწყისსა და დასასრულს. რა როლი აქვთ ქართველურ მოდგმის ხალხებს ქრისტიანობის განვითარებაში, კერძოდ, მიქაელური ქრისტიანობის განვითარებაში და რატომ ეწოდება გეორგია საქართველოს?

თევენ მოგეხსენებათ, რომ მიქაელ მთავარანგელოზი არის არსება, რომელსაც ჰყავს პროტიპები ანტიურ ეპოქაში, ქრისტიანებულ ეპოქაში. ეს არის არსება, რომელიც გველინება ნაყოფიერების დვთაებათა მცველი, ამინდის, ჰექა-ქუხილის დვთაებათა სახით, როგორც ინდრა ძველ ინდოეთში, როგორც მარდუკი მესოპოტამიურ სამყაროში, როგორც ტარჰუ პალეოკავკასიურ სამყაროში, ამინდისა და ჰექა-ქუხილის ვეფრისტყაოსანი დვთაება. მას გამოსახავდენ ყოველთვის გამოევაბულებში ვეფრის ტყავით მოსილად, ე. ი. ვეფრის ტყავი არის ატრიბუტი იმ არსებისა, რომელსაც ანტიურობაში იცნობ და როგორც ინდრას, როგორც მარდუკს, როგორც ტარჰუს და ქრისტიანობის ეპოქაში იცნობდენ როგორც მიქაელს და წმინდა გორგის. წმინდა გორგი არის მიწიერი ასპექტი მიქაელისა. მიქაელი ეს არის სულიერი სამყაროს ასპექტი, აზროვნებითი ასპექტი, ხოლო წმინდა გორგი ეს არის იგივე მიქაელის ასპექტი ისტორიულ პლანში, ფიზიკურ სამყაროში.

რატომ უდავშირდება საქართველოს სახელი გეორგიას? ჯერ კიდევ ძველბერძნები „გეორგოსებს“ უწოდებლენენ ქართველებს



იმის გამო, რომ მიწათმოქმედება იყო განვითარებული კულტურული მეცნიერებების, მაგრამ, ამავე დროს, გიორგის კულტი დაკავშირებულია მიწათმოქმედებასთან, კერძოდ, ნაყოფიერების ღვთაებათა დაცვასთან, ამინდთან, მეტეოროლოგიასთან. ასე არის ძევლ საქართველოში და ამასთან არის დაკავშირებული ქართული ეროვნული ღვთაება – თეთრი გიორგი. ხოლო ქრისტიანული წმინდა გიორგი ეს ისტორიულად არსებული პიროვნებაა, მაგრამ ამავე დროს ეს არის მიწიერი სახე იმავე ღვთაებისა, ქრისტიანულად მიქაელ მთავარიანგელოზისა, დრაკონის დამთრებუნველი. ეს სახე და ეს კულტი იყო ყველაზე მეტად მახლობელი ქართული მოდგმისათვის. საქართველოში ქრისტიანობამ მიიღო გიორგიანობის სახე. ქრისტიანობა თავისი წმინდა სახით არსებობდა სამღვდელოებისათვის, ფერდალური კლასისათვის, სამეფო კარისათვის, მაგრამ ხალხური ქრისტიანობა საქართველოში იყო, უეიძლება ითქვას, გიორგიანობასთან უერწყმული. მაგრამ ეს იმას არ ნიშავს, რომ გიორგიანობამ დაჩრდილა ქრისტიანობა. წმინდა გიორგის სახე-ში ქართველი ხედავდა არა მხოლოდ კაბადოკიელ წმინდანს, არამედ ქრისტიანულ ღმერთს. ღმერთი მას წარმოედგინა წმინდა გიორგის მებრძოლ სახეში, არაკონის დამთრებუნველ სახეში. ე. ი. მიქაელური ასპექტი ქრისტიანობისა იყო ყველაზე მეტად მახლობელი საქართველოსთვის. საქართველოს სახელწოდებაც დაკავშირდა გიორგის და გიორგი გახდა უმთავრესი წმინდანი ქართველი ერისა და არა მხოლოდ წმინდანი, არამედ ქრისტიანული ღმერთის სახე. უნდა აღინიშნოს, რომ ღვთის სხვადასხვა სახეები და ასპექტები უნდილია ღვთისმეტყველებში, აპოკალიფსუიც კი მესია, ღმერთი, ქრისტე გამოსახულია როგორც თეთრტაიკოსანი ჸელიური მხედარი (გამოცხ. 19–11–15). ე. ი. ის ტალღულ სახეები ქრისტესი, რაც ჩვენ ვიცით, არ ამოწურავენ მის არსა. არის აგრეთვე სხვა სახე მებრძოლი, დრაკონის განმგმირველი, როგორც ის არის აპოკალიფსუი მოცემული. და ეს არის სწორედ წმინდა გიორგის წინასახე და ეს სახე იყო ვახლობელი ყველაზე მეტად ქართველობისათვის და, სხვათა შორის, დიდი ქართველი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ გიორგის კულტი საქართველოში უძრეცენდენტო მოვლენაა. ჩვენ გვაქვს უშმოხვევები სამების, ქრისტეს დღესასწაულების, აღდგომის დღესასწაულების „შთანთქმისა“ წმინდა გიორგის დღესასწაულის მიერ, მათ სახელობაზე აგებული ტაძრები იღენტიფიცირებულია



წმინდა გიორგისთან. ე. ი. წმინდა გიორგი იდენტიფიცირდა მომავალში, ერთობის კონკრეტული გრძელი გენერალი მეცნიერი ჯობი აღნიშნავს, რომ წმინდა გიორგის აქვთ ისეთივე პოზიცია საქართველოში, როგორც ქრისტეს, მაგრამ ეს არ არის სწორი. იგი ისეთივე პოზიციით კი არ არის, არამედ აქ არის იმაგინატიურად, სიმბოლურად ქრისტიანობა მოცემული მებრძოლ ასპექტში, შეიძლება ითქვას, სამხედრო ასპექტში. შეიძლება ითქვას, რომ ქართული ქრისტიანობა თავისი არსით არის სამხედრო ქრისტიანობა. ეს არის მოყვეთა, მებრძოლთა ქრისტიანობა და ასევე შეიძლება ითქვას, საქართველო იყო ერთი მთლიანი სულიერი ორდენი წმინდა გიორგისა და ასეთად აღიკვამდნენ მას ჯვარისნები, ასეთად აღიკვამდნენ საქართველოში ჩამოსული უცხოელები და ამიტომ დამკვიდრდა ეს სახელი „გეორგია“, რომელიც, რა თქმა უნდა, წარმართული ეპოქიდან მომდინარეობს. ასეთი აღჭრა ქართველებისა მხოლოდ უცხოელებს ჰქონდათ. ქართველები თავის თავს გეორგიანებს არ უწოდებლენ, მაგრამ წმინდა გიორგის კულტი თუ რა ღონებზეა საქართველოში, ჩვენ ყველამ ვიცით და რა როლი აქვს ამ წმინდას საქართველოს ისტორიაში და ამ სახეს, ამ ხატების. ე. ი. არ არსებობს ეროვნული ხასიათის გამომხატველი სხვა უფრო შესაფერისი სახე ქართველებისათვის.

ამასთან, უნდა გავიხსენოთ ჩვენი მწერლობის ძირითადი ძეგლები და მეთი კავშირი მიერთულ ქრისტიანობასთან, წმინდა გიორგის კულტთან. ხოლო მეორე ასპექტი საქართველოს მისისა და კავკასიონულია დათისმუნდობლის წილხდომილობასთან. რატომ არის საქართველო ლეგისტრობლის წილხდომილი?

იმიტომ, რომ იაფეტური მოდგმის, რომელზედაც ჩვენ ვსაუბრობდთ, ქართველური მოდგმის ძირითადი ღვთაება იყო დედა-ქალღერთი, რომელიც სხვადასხვა ასპექტებით გვევლინებოდა ამ მოდგმის სხვადასხვა განშტოებებში, ამიტომაც ჰქვია მას „მირიონიმი“ ე. ი. მირიად სახელიანი. ეს იყო ის ცენტრალური დედა ქალღერთი, რომელიც დახვდათ ბერძენ კოლონისტებს ფაზისში. ფაზისის შესავალში იდგა მისი დიდი ქანდაკება, რომელიც ცნობილია ჩვენში როგორც დედა უფალი, ადგილის დედა და რომელიც პროტოქართველურ ქვეყნებში გვევლინებოდა როგორც დემეტრე, როგორც ჰერა და არტემიდეს კულტიც მომდინარეობს ამ ქალღერთიდან და პარალელური კულტი არის სვანეთში დალის კულტის სახით. როგორც

მოგეხსენებათ, მცირებაზიური ქალმერთების კულტიც დაუტანიშნებოდა. ხოლო ლვითისმუშაობელი ქრისტიანული ქალმერთის არის იგივე ქალმერთის ქრისტიანული ასპექტი, იგივე არსების ქრისტიანული სახე, რომელიც ყველაზე უფრო მახლობელი იყო ამ მოდგმასთან და აյ არის სწორედ მისტიური წინასწარგანსაზღვრულობა, როდესაც წილი ჰყარეს მოციქულებმა, თუ რომელ მოციქულს რომელ ქვეყანაში უნდა ეყადა გნა, საქართველო წილად ხვდა დ ვთისმუშაობელს. წილად ხვდა იმის გამო, რომ ყველაზე მეტად ტრადიციულად დაკავშირებული იყო იგი ამ არსებასთან და ამ არსების მისიასთან, რომელიც არის იგივე სულიწმინდის მისია.

თქვენ მოგეხსენებათ, რომ სამება – მამა, ძე და სულიწმინდა – მრავალი ასპექტით ხასიათდება, მრავალსახოვნებით ხასიათდება. ძის ჰიპოსტასი, მეორე ჰიპოსტასი მეღავნდება ე. წ. სამების ღმერთმამაკაცურ ასპექტში, ხოლო სულიწმინდა მეღავნდება სამების ფემინურ, მდედრობით ასპექტში, ანუ ღვთისმუშაობელში. ამის უესახებ გრიგოლ ნოსელს აკვთ ურომები და კერძოდ იგი ამბობს, რომ სულიწმინდა გამოვლენილია ლვითისმუშაობელში და ღვთისმუშაობელი არის იგივე ზოწიერი განსახიერება და მოქმედება სულიწმინდისა. ე. ი. სულიწმინდის მისია უმუალოდ დაკავშირებულია ღვთისმუშაობლის მისიასთან. რა მისიაა ეს? ესაა სანქტიოდიკაციის, განწმენდის მისია, კაცობრიობის განწმენდისა, და ამავე დროს მხილებისა, რომელიც უნდა განახორციელოს ამ საწყისმა. ისევე როგორც მიქაელ-გიორგის მისია ეს არის სულიერი აზროვნების განვითარება, უნივერსალური გველის ანუ დრაკონის დათრგუნვა, მატერიალიზმის დათრგუნვა, უნივერსალური ბოროტების დათრგუნვა და კაცობრიობის ხსნა. აი, ეს ორი ასპექტი ყველაზე მეტად უკავშირდება საქართველოს მისიას, საქართველოს სულიერ მისიას. მიქაელური ქრისტიანობა, გორგიანული ქრისტიანობა, რაც ორი სხვადასხვა ასპექტია ერთი და იგივე მოვლენისა, ერთის მხრივ, და, მეორეს მხრივ, სოფიანური ქრისტიანობა ანუ ღვთისმუშაობელთან დაკავშირებული ქრისტიანობა, ქრისტიანობის ის ასპექტი, რომელიც ვლინდება ღვთისმუშაობელში ანუ სოფიაში. ანტიურიობაში ეს ქალმერთი, ეს არსება ვლინდებოდა როგორც ნაყოფიერების ქალმერთი, დედა-ღვთაება, დედამიწა; ხოლო ქრისტიანობაში იგი ვლინდება როგორც სოფია ანუ საღვთო სიბრძნე, კოსმიური სიბრძნე. სოფია არის ერთ-ერთი სახელწოდება ღვთისმუშაობლი-



სა ანუ სულიშვინდისა. ე. ი. სიბრძნე მომდინარე სულიშვინდისა გამოხატულია სოფიაში. ეს ორი ასპექტი არის ძირეული საქართველოს მისიაში და ამასთან არის დაკავშირებული ქართული ლეგისმეტყველება, ხელოვნება, მწერლობა.

* * *

სანამ სხვა პრობლემების განხილვაზე გადავიდოდეთ, მე ვიცი, რომ დღეს ჩვენი სტუმრები იმყოფებოდნენ მცხეოაში, სვეტიცხოველში. სვეტიცხოველი ეს არის ტაძარი, რომელშიც ყველაზე უფრო ღრმად და ყოველმხრივად არის არეკლოლი საქართველოს სულიერი მისია, ქართული სულიერება, ქართული ქრისტიანობა. თქვენ იცით, რომ ეს უჩვეულო ტაძარია. ქრისტიანულ ტაძრებში აღბათ არსად, მე ყოველ შემთხვევაში ასე მონია, არ არსებობს სვეტი. სვეტი არსებობდა, უფრო სწორედ, ორი სვეტი არსებობდა იერუსალიმის ტაძარში, სოლომონის ტაძარში. ხოლო აქ არის ქრისტიანული ტაძარი აგებული სვეტთან დაკავშირებით. თავდაპირველი საფუძველი ამ ტაძრისა იყო სვეტი. მისი აგების ისტორია უკავშირდება სვეტის აღმართვის ისტორიას, ხოლო ეს სვეტი სიმბოლურად განასახიერებს ცხოვრების ხეს. ისტორიულადაც ამ აღგილზე იზრდებოდა კედარი, რომელიც არის ცხოვრების ხის სიმბოლო, რომელიც მოიჭრა და უმდევ ეს მოჭრილი კედარი აღმართეს ანგელოზებმა წმინდა ნინოს ლოცვით და ამ აღგილს აშენდა პირველი ტაძარი, პირველი ეკლესია წმინდა ნინოს. ხოლო შემდეგ გვიან აშენდა სვეტიცხოველი, რომელიც არის აღეგორიული ტაძარი, ისევე, როგორც სოლომონის ტაძარი იყო აღეგორიული.

რაში მდგომარეობს სოლომონის ტაძრის აღეგორიულობა? სოლომონის ტაძარში იყო აღმართული ორი სვეტი, რომელიც განასახიერებდა ცხოვრების ხეს და ცნობადის ანუ შემეცნების ხეს. სვეტიცხოველში კი გხედავთ ჩვენ ერთ სვეტს. რატომ არის განსხვავება სვეტთა რაოდენობის შორის? მის გამო, რომ სოლომონის ტაძარი უკავშირდება ძველ აღთქმას, ეზოტერულ იუდაიზმს, როდესაც ცხოვრების ხე და ცნობადის ხე ჯერ განთიშული იყო, განყოფილი. ხოლო ქრისტიანული ინიციაციის მისია არის ცხოვრების ხისა და ცნობადის ხის ჰარმონიული შერწყმა ერთ მთლიანობაში. ამის გამო სვეტიცხოველში მოცემულია ერთი სვეტი, მაშინ, როდესაც სოლომონის ტაძარში მოცემული იყო ორი სვეტი. აქედან ჩანს აგრეთვე ეზოტერული იუდაიზმის და ეზოტერული ქრისტიანობის ერთობა. ცნო-

ბილია, რომ მცხეთაში იყო ებრაელთა თემი, რომელიც ზავილანტე გაქრისტიანდნენ, ეს ქრისტიანი ებრაელები იყვნენ, ვინაიდან ისინი ხედავდნენ ერთობას ეზოტერულ იუდაიზმსა და ქრისტიანობას შორის და ერთ-ერთი მათი ჭარბობადგენერელი ესწრებოდა ქრისტეს ჯვარ-ცმას და მან მიიღო წილად კვართი უფლისა ანუ სამოსი უფლისა და წამოილო მცხეთაში, რომელიც დამარხულია ამ სვეტის ქვეშ, ამ პიროვნების დასთან, სიღონიასთან ერთად. კვართი უფლისა ეს არის სიმბოლო კოსმიური ეთერისა, რომელიც მოსავს ქრისტეს და ამასთან არის დაკავშირებული ცხოვრების ხე, რომელიც ამ კვართის დასაფულავების ადგილზე არის აღმართული. ამ ცხოვრების ხეში შეასწორებულია აგრეთვე ცნობადის ხეც, რომელიც ქრისტიანობამდელ ეტაპზე განცალკევებული იყო. აქ არის მოცემული მომავლის იდეალი, მომავლის ქრისტიანობის მისია. სხვა სიმბოლოები სვეტიცხოვლისა აგრეთვე მოგვითხრობენ, თუ რაოდენ ლრმად იყო განვითარებული ეზოტერული ქრისტიანობა საქართველოში.

კერძოდ, სვეტიცხოვლის სამხრეთ კედელზე ჩვენ ვხედავთ წმინდა გოორგის ლომთან და ვეფხთან ერთად. გავიხსენოთ „ვეფხისტყაოსანში“ მთავარი გმირის ბრძოლა ლომთან და ვეფხთან. აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ წმინდა გოორგი ზოგიერთ ქართულ ბარელიეფზე, მაგალითად, მრავალდალის ბარელიეფზე გმირავს არა დრაკონს, არა ამედ ვეფხს. ე. ი. ვეფხი ეს არის სინონიმი დრაკონისა, რომელსაც გმირავს წმინდა გოორგი, ე. ი. პვენა ინსტიქტების სიმბოლო, რომელსაც ამარცხებს ადამიანის „მე“ ინიციაციის გზაზე. აი, ამას ვხედავთ გამოსახულს ჩვენ სვეტიცხოვლის სამხრეთ კედელზე.

პოლიტიკური ასპექტით ეს არის სიმბოლო მებრძოლი საქართველოსი, მებრძოლი მართლმადიდებელი ქრისტიანული საქართველოსი, რომელიც ამარცხებს პოლიტიკურ ისლამს – ვეფხს-თურქეთს და ლომს-ირანს. ასეთი ინტერპრეტაციაც აქვს ამ ბარელიეფს. ხოლო შიგნით, სვეტიცხოვლში არის შიდა სამხრეთ კედელზე გამოსახულება პორტალიფსური მხეცისა. პორტალიფსური მხეცი ამ ფრესკაზე გამოსახულია ვეფხის სახით, დაწინწერული ვეფხის ანუ პანთერის სახით. საერთოდ, „ვეფხისტყაოსნის“ ვეფხი ეს არის პანთერი, დაწინწერული ვეფხი.

ასეთი ეზოტერული სიმბოლოები მრავალია ქართულ ფრესკებზე, ქართულ ფრესკებში და ისინი მოითხოვენ სპეციალურ კლევას, სპეციალურ განმარტებას. მე ერთადერთს იმას აღვნიშნავ, რომ ძალზე



ხშირია გრალის მოტივები ქართულ ფრესკებზე. ასეთ მოტეჭებულებები ვხედავთ ჩვენ გელათში, რომელიც, როგორც ცნობილია, უფრო მაღალ მაღიდებლური მონსალვატი, გრალის კულტურის კერა, რომ საქართველოში გრალის ქრისტიანობა შეჩრდილი იყო მართლმადიდებლობასთან.

დასავლეთში ეგზოტერული ექლესია, კათოლიკური ექლესია გამოყოფილი იყო ეზოტერულისაგან და ჯვაროსნულ ომს უცხადებდა მას, ხოლო საქართველოში ეს ყოველივე წარმოადგენდა ერთ მთლიანობას და ამის გამო უწინდებლენენ ჯვაროსნები დავით ალმაშენებელს მეფე-ხუცეს იოანეს. რას ნიშნავს მეფე-ხუცეს იოანე? და როგორ უნდა განვმარტოთ ის ეტაპი კაცობრიობის ევოლუციაში, რომელიც უკავშირდება მეფე-ხუცეს იოანეს? ამასთან დაკავშირებით უნდა გვიხსენოთ ჩვენ ვოლფრამ ფონ ეშენბახის პარციფალი. ვისი ძეა მეფე-ხუცესი იოანე? იგი არის პარციფალის ნახევარდმის ფაირეფიცის ძე. რას ნიშნავს სიტყვა ფაირეფიცი? სიტყვა „ფაირეფიც“. ნიშნავს „შავ-თეთრ ვაჟს“. რატომ არის შავ-თეთრი ეს სიმბოლო? ჩვენ ვიცით, რომ შუასაუკუნეების აინდულ რომანებში და პოემებში პიროვნებები, გმირები სიმბოლურად განახორციელებენ რომელილაც გზას, რომელილაც იდეას, ისინი წარმოადგენენ პერსონიფიკაციებს; კერძოდ პირსიფალი წარმოადგენს დასავლეთის ინიციაციის გზის პერსონიფიკაციას, რომელიც ეძებს გრალს და პოულობს მას, ხოლო ფაირეფიც წარმოადგენს აღმოსავლური და დასავლური გზების შერწყმას; ამიტომ არის იგი შავ-თეთრი, ე. ი. თეთრი რასსისა და უფრო მუქი რასსის შენარევი. შავ-თეთრი არის აგრეთვე იმიტომ, რომ გასში შერწყმულია ქრისტიანული დასავლური სიბრძნე არაბულ სიბრძნესთან, ისევე როგორც ტამპლიერობაში.

ტამპლიერობა არის დასავლური ინიციაციის გზა გადმოსული აღმოსავლეთში, რომელმაც აითვისა აღმოსავლური სიბრძნე, კერძოდ არაბულ-სპარსული სიბრძნე, და იშვა მისგან ჰიბრიდი, შავ-თეთრი ვაჟი ფაირეფიცი, რომელიც არის განსახიერება აღმოსავლური ტამპლიერობისა, ტამპლიერობისა, რომელიც გადმოვიდა აღმოსავლეთში და მიიღო აღმოსავლური ელფერი და ამ ტამპლიერობასთან იყო დაკავშირებული აგრეთვე ძველი ქართული რაინდობა და უწინარეს ყოვლისა დავით აღმაშენებელი, თამარ მეფის დროინდელი ქართველობა, უწინარეს ყოვლისა შოთა რუსთაველი.

ესე იგი ტამპლიერობა ეს მარტო დასავლეთის საკუთრება არ არ-

ის. ჩვენ გვაქვს მონაცემები უმჭიდროესი კავშირებისა უძრავი რაინდებსა და ტამპლიერებს შორის. ტამპლიერობა იყო მოძრაობა, რომელმაც გაართიანა დასავლური და აღმოსავლური სიბრძნე, და სავლური და აღმოსავლური ინიციაცია. ამიტომ არის აი, ამ შავ-თერი ვაჟის პარტიფალის ნახევარი ძმის ძე მეფე-ხუცესი იმანე. მეფე-ხუცესი იმანე ჯვარისნულ ქრისიერებში იდენტიფიცირებულია დავით აღმაშენებელთან, მაგრამ ეს არის არა მხოლოდ პირვენული დავით აღმაშენებლის სიმბოლო, არამედ საერთოდ მთელი იმ სიბრძნის სიმბოლო, რომელიც დაიბადა დასავლეთში, შეერთყა შემდეგ აღმოსავლურ სიბრძნეს და, აი, ამ გაერთიანებული სინთეზირებული სიბრძნის შვილია ის კულტი, რომელიც მოხსენებული არის ვოლფრამ ფონ ეშენბახის პარტიფალში, როგორც ტაბრონიტი, ანუ კავკასიის მთიანეთი.

საქართველო იქ პირდაპირ ნახსენები არ არის, ეინაიდან ეს ალეგორიული პოემაა; ეშენბახის პოემაში არც ერთი ისტორიული ცნობილი ქვეყანა არ არის მოხსენიებული, არც ერთი ისტორიული პირი არ არის მოხსენიებული, იქ არის მხოლოდ სიმბოლური და ალეგორიული სახელები, როგორც ქვეყნისა, ასევე პირვენებებისა და პეტრინიფიკაციები ამა თუ იმ მოძრაობისა, ამა თუ იმ ინიციაციური გზისა, მოცემული სხვადასხვა გმირების სახით.

კერძოდ პარტიფალის მამა გამჭურეტი იმ ეტაპის სიმბოლოა, როდესაც ჯერ არ იყო განთვისებული გრაალის მოძრაობა და გრაალის ქრისტიანობა ჯერ არ იყო გამოსული ასპარეზზე; პარსიფალი თვითონ გრაალის მოძრაობის სიმბოლოა, ხოლო ფაირეფიცი, როგორც ვთქვით, არის აღმოსავლეთში გადმოსული გრაალის მოძრაობის, ანუ ტამპლიერული მოძრაობის სიმბოლო და ყოველივე ამის წყაროდ ვოლფრამ ფონ ეშენბახს პირდაპირ აქვს მითოთებული საქართველო ანუ ტაბრონიტი. საქართველოს ფსევდონიმი, ასე ვთქვათ, ამ ნაწარმოებში არის ტაურონიტი ანუ ტაბრონიტი. რატომ არის ეს სიტყვა ნახმარი? ეს სიტყვა დაკავშირებული არის ტაურუსთან ანუ კუროს კულტურასთან, ხარის კულტურასთან; ხარის კულტურა, როგორც მოგეხსენებათ, პროტოქართულ, პროტოიბერიულ სამყაროში იყო წამყვანი, ვიდრე კოსმიურად, ზოდიაქალურად იყო კუროს ეპოქა. თქვენიც კრეტი-მიკენის ხარის კულტი, მინოსაგრის კულტი, იგივე ხართან ბრძოლა და სხვა. და, ამასთან დაკავშირებით, ვოლფრამ ფონ ეშენბახი აღნიშნავს, რომ ეს არის წყარო მისტერიული კულტ-



რისა. აი, ამ კავკასიის მთიანეთზე, ამ ტაურონიტზე, ამ შემოგვიფრთხოების მთიანეთზე, ამ ტაურონიტზე, სადაც მეფობს მეფე-ხუცესი ითანე, ვოლფრამ ფონ ერენბახი ამბობს, რომ ეს არის უყარო ყველაფრისა – მისტერიული სიბრძნისა და მისტერიული კულტურის. ასე არის მინიშნებით მოცემული პარციფალში. ვოლფრამ ფონ ერენბახის ნაწარმოები, მოგეხსენებათ, არ არის ადვილად გასაშიფრი, არ არის ადვილად ამოსახსნელი. მთელი რიგი სიძნელეების წინაშე დგანან ჩკველევარები, თუნდაც იმ დაშიფრულ სახელების, გეოგრაფიული სახელწოდებების ქვეშ თუ არ იმაღება, მაგრამ ჩვენ შეძლებისადაგვარად შეგვიძლია დასკვნების გამოტანა, ვინაიდან მითოებული აქვს კონკრეტულად კავკასიის მთიანეთი, კავკასიის ქედის მიმდებარე ქვეყანა, როგორც მისტერიული კულტურისა და მეფე-ხუცესი ითანეს სამკვიდრეობელი, რომლის სახელმწიფოშიც არის სულიერი სიბრძნის კერა, რომელსაც, სხვათა შორის, ჯვაროსნები სულიერ ინდოეთსაც უწოდებდნენ. ინდოეთად მოიხსენიება ეს ქვეყანა იმის გამო, რომ ინდოეთი შუა სუკუნებში იყო არა მხოლოდ გეოგრაფიული ტერმინი, არამედ ჩშირად იხმარებოდა სულიერი თვალსაზრისითაც, როგორც სულიერი, მისტერიული კულტურის სამუშაო. ასე იხსენიება ინდოეთი „ვეფხისტყაოსანში“ და ის გეოგრაფიული და ისტორიული ინდოეთი არ არის, ასე იხსენიება იგი ნიზამი განჯევის „ისკანდერ-ნამეში“ – ინდოეთი როგორც მისტერიათა სამყარო. ამის გამო ვხდებით ასეთ დამთხვევაში ქართულ და დასავლურ კულტურებს შორის.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ არ არის გამოკვლეული და ჩვენმა ისტორიამ, სამწუხაროდ, არ შემოგვინახა ბევრი მონაცემები ამ პერიოდის ურთიერთობების შესახებ. მაგრამ ისეთი ქმნილებები, როგორიც არის „ვეფხისტყაოსანი“, ოდები, დასავლეთში აინდული რომანები, ვოლფრამ ფონ ერენბახის პოემა მაინც რაღაც მინიშნებებს გვაძლევენ იმ ღრმა ურთიერთობებზე, რომელიც არსებობდა იმავამინდელ საქართველოსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის. კერძოდ, ის, რომ „ვეფხისტყაოსანი“ და „ამირან-დარეჯანიანი“ საოცრად ენათესავება დასავლეთის რაინდულ რომანებს, თუმცა აქვთ თავისებური, უაღრესად ღრმა თავისებური სპეციფიკა, და აქ იკვეთება აგრეთვე ქართული კულტურის მისია. ამ ნაწარმოებებში აღმოსავლური და დასავლური ლიტერატურის ტრადიციები მოცემულია ერთ მთლიანობაში. ე. ი. ქართული კულტურისა და საქართველოს მისია კულტურული თვალსაზრისით არის სინთეზირება დასავლური და აღმოსავლური



კულტურებისა და მათი მოცემა ერთ მთლიანობაში. ამიტომ იყვნენ მომ „ვეფხისტყაოსანი“ ისევე შეგვიძლია ჩავთვალოთ დამსავლური ტერატურის კუთვნილებად, როგორც აღმოსავლურის. აქ გაყოფა და გათიშვა შეუძლებელია. ამიტომ არის, რომ ფიტარეთი, ეს უდიდესი ძეგლი ქართული არ გირიძებულის, შეიძლება ჩავთვალოთ როგორც ქრისტიანული არ გირიძებულის ნიმუშად, ასევე აღმოსავლური არ გირზე ძირის ნიმუშად. აქ დასავლური და აღმოსავლური კულტურული ელემენტები ყოველთვის ერწყმდა ურთიერთს.

ასე იკვეთება ჩვენთვის საქართველოს მისია, ქართული კულტურის მისია. მრავალი მომენტი დაგვაჩია, საწუხაროდ, გაუშეუქმნილი და უნდა მოგახსენოთ, რომ ბევრია სათქმელი ამ მიმართულებით, მაგრამ ერთი ლექციის დარგლებში შეუძლებელია ყოველივე ამაზე საუბარი. ჩვენ ალბათ გვეძნება ამასთან დაკავშირებით კიდევ ლექციები, კიდევ საუბრები და სასურველია, რომ მივაწოდოთ ამის უსახებ ცოდნა დასავლეთსაც, ვინაიდან დასავლეთში მრავალი რამ ქართულ კულტურასთან, ქართულ სულიერ გზასთან დაკავშირებით არ არის ცნობილი, სამწუხაროდ, უფრო გარეგანი ასპექტები შეუქდებოდა ჩვენი ისტორიისა, ჩვენი კულტურისა და ასეთი შეხვედრები უნდა იყოს საწინდარი, რომ უფრო მეტი ურთიერთგაზება იქნება და მეტი ურთიერთგაცელა იქნება ცოდნისა, ინფორმაციისა.

კითხვა – პასუხი

შეკითხვა: რა განსხვავებაა ქართულსა და ქართველურს შორის?

პასუხი: როგორც თავიდან მოგახსენეთ, ჩვენ უნდა განვასხვავოთ ეს ორი ცნება, არსობრივად მართალია არა, მაგრამ არის ნიუანსური განსხვავება ქართულსა და ქართველურს შორის. ე. ი. ქართული და ქართველური მაინც უნდა განვასხვავოთ, იმიტომ, რომ ქართული აღნიშნავს უშუალოდ საქართველოს, ყოველივეს ისტორიულ საქართველოსთან, ქართულ ენასთან დაკავშირებულს, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ ჩვენი ისტორიიდან და რომელიც სწორედ ამ გეოგრაფიულ არეალში მდებარეობს და ქართველური გაცილებით უფრო ფართო და ყოველისმომცველი ცნებაა. ქართველური არიან ტომები, რომლებიც ქართები არ არიან თვითონ და უშუალოდ ქართველები არ არიან. ეს შეიძლება შევადაროთ სემიტებისა და ებრაელების ურთიერთკავშირს. ქართველური ეს არის რასული გაგება, უფრო ყოვლისმომცველი, ვიღრე ეროვნული. არის ქართველი ეროვნება და არის ქართ-

ველური მოდგმა, ქართველური რასა, იგივე იაფეტური, ჰუკუმიშვილი ის პალეოგავებისური მოდგმა, ეს არის უფრო რასა, იაფეტური მოდგმა, შეიძლება ითქვას. როგორც სემიტური რასა არსებობს, ასევე არსებობს იაფეტური რასა. ეს იაფეტური რასა არის ქართველური რასა. ქართველური ენები მომდინარეობენ სწორედ ამ პირველადი იაფეტური ენიდან, რომელსაც ჩვენ პროტო-აზოტულს უწოდებთ. ქართველური ენების გამოყოფა ამ იაფეტური ენიდან სწორედ მიჩნეულია დაახლოებით მესამე ათასწლეულიდან, როგორც ამას ვხვდებით გამყრელიძე-ივანოვის წიგნში, რამის შრომებშიც აგრეთვე.

ამ წიგნზე, სხვათა შორის, მე ცალკე მექნება მოხსენება. აქ არ მინდა ამაზე დეტალურად ვისაუბრო, მაგრამ აქ აშკარად არის ის, ის ტენდენცია ტაბუირებისა, აქ არის მიჩქმალული ის როლი პროტოქართული სამყაროს; რომელიც მას ისტორიულად გააჩნდა და რომელზეც არის საუბარი მთელ რიგ მეცნიერთა შრომებში. აქ მიჩქმალულია ეს ყოველივე და აქ არის ინდოევროპული წინა პლანზე წამოწეული. მაგრამ ამ წიგნის დადებითი მხარე ის არის, რომ იქ სწორედ ის პერიოდი, როდესაც ქართველური ენის, პროტოქართული ფუძე-ენის დანაწევრება მოხდა ცალკე ენებად და დიალექტებად, განსაზღვრულია როგორც მესამე ათასწლეული და ჩვენი თეორიით ეს უკავშირდება იმანე-ზოსიმეს „პებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ -ს, სადაც ნათქვამია, რომ ქართული მოდგმა, ქართული ენა -იქ ენა გულისხმობს მოდგმასაც - არის ოთხი დღისა მკვდარი და „წელი ათასი ვითარცა ერთი დღეო“. ოთხი დღის ანუ ოთხი ათასი წლის, ე. ი. ჩვენი წელთაღრიცხვამდე მესამე ათასწლეულში დაიწყო სიკვდილი ამ ენისა, სიკვდილს უწოდებს იმანე ზოსიმე იმიტომ, რომ ის ძველი გაგრცელების არეალი აღარ ჰქონდა მას და ის მნიშვნელობა და მასშიაბები; და შემდეგ ამას მოჰყვა ლაზარისებრი აღდგინება, აღდგომა ამ მოდგმისა და ამ ენისა. ეს არის მოცემული იმანე ზოსიმეს ნაწარმოებში. იმანე ლაზარეს ნაწარმოებში სიმბოლურად არის ლაზარესთან შედარებული ეს მოდგმა. შეიძლება ითქვას, აქ მარტო საქართველო კი არ არის, არამედ მთელი ქართველური მოდგმა და ამას უკავშირდება ის პროტოქართული, პროტობერიული სამყაროც, რომელიც გადაჭიმული იყო პირინეების ნახევარკუნძულიდან ინდოეთამდე და როგორც ნიკო მარი ჰ. ჯონსონთან ერთად ვარაუდობდა, არსებობდა პირველადი ბასკურ-კავკასიურ-დრავიდული ენა, ქამიტურ ძირეულ ენაზე უფრო ძველი, რომელიც



იყო საფუძველი ყველა ენებისა, და ეს იყო გლობოგონიური უკინებელი მენი, ეს იყო პირველი ენა ქურუმებისა, საერთოდ ყველა ენათა საჭირისი. ასეთი არის ნიკო მარის თეორია.

ამიტომ შერისხხა სტალინმა ნიკო მარი, ამიტომ გამოუცხადა მას ანათემა, ვინაიდან ის ობიექტიურად აშუქებდა პრეისტორიულ ხანას და ქართული ენის წარმოშობას. მართალია, ნიკო ვართან ჩვენც გვაქვს ბევრი სადაცო, ეროვნულ მოძრაობასაც აქვს სადაცო. მას ჰქონდა ანტიქართული გამოხდომები პოლიტიკურ, კონიუნქტურულ მოსაზრებებთან დაკავშირებული, მაგრამ პრეისტორიულ ხანას ქართული ენისა და ქართული მოდგმის განვითარებისას ნიკო მარი აშუქებდა დალზე ობიექტურად და ღრმად, და სწორედ ამიტომ მოუწყეს მას ანათემა საბჭოთა მეცნიერებაში სტალინის მეთაურობით.

შეკითხვა: რა როლი აქვთ ქართველური მოდგმის ხალხებს ქრისტიანობის განვითარებაში?

პასუხი: ქრისტიანობის განვითარებაში ქართველური მოდგმის ხალხები ძირითად როლს თამაშობდნენ. სემიტური მოდგმის ხალხებმა შეესრულეს ძირითადი როლი ქრისტიანობის შემზადებაში, ძველი აღთქმის ეპოქის პერიოდში, ხოლო თვალს საკუთრივ ქრისტიანობაში, ქრისტიანობის განვითარებაში ქართველური მოდგმის და ინდოევროპული მოდგმის ხალხები ასრულებენ ძირითად როლს.

ინდოევროპული მოდგმის ხალხებს უკავშირდება ძველი ბერძნები, როგორც მოგეხსენებათ და „ქებაი და ლილებაი“ გვეუბნება, რომ ორნი დანი მარიამ და მართა შეიძლება შევადაროთ ნინოს და დედოფალ ელენეს. ნინო ეს არის ქართველური მოდგმის სიმბოლო, ქართული ქრისტიანიზმის სიმბოლო, ხოლო ელენე არის ბერძნული ქრისტიანობის სიმბოლო. და როგორც მარიამი უკავშირდება ნინოს, ასევე უკავშირდება მართა ელენეს. მარიამი, მოგეხსენებათ, ეს არის მისტიური კერძეტის, მისტიური საიდუმლო ღვთისმეტყველების სიმბოლო, ეზოტერიული ქრისტიანობის სიმბოლო, ხოლო მართა ეს არის ინტელექტუალური, რაციონალური გზის სიმბოლო, რომელიც უფრო საბერძნებული განვითარდა. ე. ი. ქართველური მოდგმის წარმომადგენლები კრისტიანობაში უფრო მისტიკისა და საიდუმლო ღვთისმეტყველების გელების გზის ანგიოთარებენ. აი, მაგალითად, ღიონისე არეპაგელი ანუ პეტრე იბერი, ნიკოლოზ საკვირველმოქმედი, თავად ჭმინდა გიორგი ესენი ქართველური მოდგმის წარმომადგენლები არიან. ამრიგად უკავშირდება ლაზარე როგორც სიმბოლო ქართულ მოდგმას.



ჩვენ ვიცით, რომ ლაზარე არის იოანე არა მხოლოდ სამყაროში მართველი, არამედ მთელი რიგი დასავლეთის ეგზეგეტიკოსები ლაზარეს აიგივებენ იოანესთან და იოანე-ლაზარეს იდენტიფიკაცია აშკარად მოსჩანს, სხვათა შორის, ქართულ ფოლკლორშიც კი. არსებობს ხალხური კულტი ლაზარესი ჩვენთან, რომელიც არის წვიმის ღვთაება, იგივე რაც ელია. ე. ი. ელიას და ლაზარეს იდენტურობა მოცემული არის ქართულ ფოლკლორში. იოანე-ლაზარე არის სიმბოლო ქართული ენისა, ქართული მოღმისა, რომელიც ამ ოთხდღიან ძილის შერე, სიკვდილისმაგვარი ძილის შემდეგ უნდა აღდგეს. აი, ამას გვაძლევს ჩვენ იოანე-ზოსიმე თავის „ქებაი და დიდებაიში“.

შეკითხვა: ქართლოსის და ჰაოსის კავშირზე რა აზრისა ხართ?

პასუხი: სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ ლეონტი მროველის ქმნილება და ასეთი ნაწარმოებები ღრმა ეზოტერულ სიბრძნეს ასახავენ. იქ არის ნათქვამი, რომ ქართლოსი და ჰაოსი ორივენი არიან შთამომავლები იაფეტისა, რომ ერთი წინაპარი ჰყავთ და იაფეტური რასაა, იაფეტური მოღმა არის აგრეთვე წინაპარი ჰაოსისა, ანუ პირველადი ეთნოსისა, საიდანაც მომდინარეობს დღვენდელი სომეხი ერი. ეს ეთნოსი იყო უალრესად მონათესავე პირველადი ქართული ეთნოსისა და აქედან მომდინარეობს აი, ეს გადმოცემა ძმობის შესახებ. არა, აქ უფროსობაზე არ უნდა იყოს საუბარი, იმიტომ, რომ სწორედ ეს უძველესი ხანაა და ძალიან ძნელია დაგენა იმ პერიოდისა, როდესაც განთვისდა, ასე გოჭვათ, სომხური ეთნოსი და როდესაც ის გამოეყო ცალკე ერად. ამასთან დაკავშირებით ასახელებენ, დაახლოებით, ძველი წელთაღრიცხვით მეშვიდე-მეექვეს საუკუნეებს, როდესაც არმენთა შემოსვლა დაიწყო ჰაიასაში. ჰაიასა ეს არის პირველადი ქვეყანა, რომელიც არის უალრესად მონათესავე კოლხური სამყაროსი და მეცნიერებაში ცნობილია, რომ ძველ სომხურში, ანუ გრაბარში როგორ არის ლაზური და პროტოქართული ძირები შემოსული და რა დიდი როლი აქვს ამ ენის ჩამოყალიბებაში პროტოქართულ ენას. ამას აღნიშნავს, მაგალითად, ცნობილი სომეხი მეცნიერი კ. თუმანივა; და ამიტომ მარი თვლიდა, რომ სომხური არის ნახევრად იაფეტური და ნახევრად ინდოევროპული ენა. მასში არივე ელემენტი არის. აქედან მომდინარეობს უძველესი ნათესაობისა და ერთობის იდეა, რომელიც ლეონტი მროველთან არის მოცემული.

შეკითხვა: რა კავშირია ბასკურ და ქართულ სამყაროებს შორის?



საქართველოს მთავრობის მინისტრის ბრძანებულებები

პასუხი: ბასკურ და ქართულ ენებზე, მოგეხსენებათ საქართველოს კური არის წარმომადგენელი იმავე პროტოიბერიული ენისა, როგორც ქართული, მაგრამ იმდენად დიდი ეპოქები აშორებთ მათ ურთიერთისაგან, იმდენად დიდი ხნის მანძილზე ვითარდებოდნენ ისინი ცალ-ცალკე, რომ დღეს გენერიული ნათესაობის დადგენა ძნელდება. უფრო ტანკონიმებით, ცალკეული გამოთქმებით, ცალკეული ღორმებით ხდება ამ ნათესაობის დადგენა, აგრეთვე კულტურულ-ისტორიული, შედარებითი მეთოდით, მაგრამ გენერიულად მონათესავე ენები არ არიან ბასკური და ქართული დღეს.

მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ბასკური და ქართული სამყაროები უძველეს დროში არ იყო ერთიანი. ეს იყო, როგორც მოგეხსენებათ, ერთი მოდგმა, ერთი რასა, ერთი ენა, მაგრამ შემდეგ იმდენად განთვისდა, რომ დღეს უკვე მეცნიერებს დადგენაც კი უკირთ გენერიული ნათესაობისა. მაგრამ სხვაგვარი დადგენა შეიძლება და ამის საფუძველი არის, როგორც მოგახსენეთ, ჰუმბოლტის ცენტრის შემდგრავი ბასკური ენის შესახებ. ეს შემდა დღემდე არ არის ნათარგმნი ქართულად და, სხვათა შორის, ზას ბოკორისაც უცხადებენ და, გარკვეული მოსაზრებით ეს მიჩქმალული იყო მუდამ, და ჩვენი ამოცანა არის, რომ ეს შემდა ითარგმნოს ქართულად და გაურცელდეს საქართველოში, რომ თავისი ნამდვილი წარმომავლობა ქართველებმა გაიგონ. ჰუმბოლტზე დიდი ავტორიტეტი დასავლეთის მეცნიერებას, როგორც მოგეხსენებათ, არა ჰყავს.

შეკითხვა: რა კავშირიდ ლაზარესა და ქართულ ენას შორის?

პასუხი: ლაზარეს აღდგინება ითანებული ნიშნავს ადაგინებას ქართველი ერისას, ქ-ლური მოლგმისას, მარტო ქართველი ერისას კი არა, მთელი ქართველი მოლგმისას, აი, იმ განვითარებით, როგორიც ის იყო წარმოდგენილი პრეისტორიულ ხანაში, ანუ ლაზარეს დაძინებამდე, ანუ მესამე ათასწლეულამდე. შესამე ათასწლეულში ეს მოლგმა შემცირდა, განადგურდა ინდოევროპელების მიერ და დარჩა მხოლოდ პირინეებზე, მცირე აზიაში, კავკასიაში, ხოლო აღდგომა იქნება ისევ ალორძინება ამ მოლგმისა, ე. ი. ისევ იმავე პოზიციას დაიბრუნებს ეს მოლგმა და ეს ერი, რომელიც მას გააჩნდა პრეისტორიულ ხანაში, ე. ი. წამყვანი რასის პოზიციას, კაცობრიობის სულიერი მოძღვრის პოზიციას. და აი, ეს იგულისხმება სწორედ იმაში, რომ მეორედ მოსვლის დროს ღმერთმან უნდა ამხილოს ყველა ენასა ამით ენითაო, როგორც ამბობს იოანე-

ზოსიმე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეს მოდგმა იქნება მისი უძლიერებელი სულიერებისა, ქრისტიანობისა და ის ამხელ და მისი უძლიერებელი ცოდვილ კაონიანობას.

უკითხვა: რა კაგშირია პრომეთესა და ამირანს შორის?

პასუხი: ამირანი გვიანდელი სახელი უნდა იყოს პრომეთესი. ჩვენ არ გვაეცი ცნობები იმის შესახებ, რომ პრეისტორიულ ხანაში პრომეთეს ამირანი ეწოდებოდა. საქართველოში ამირანი, თვითონ სახელი „ამირ“ უფრო იმ პერიოდთან არის დაკავშირებული, როდესაც უკვე საარსული კულტურა შემოდის საქართველოში. ამირან დარეჯანისძე – „ამირ ანდარე ჯეპან“ ნიშნავს „მბრძანებელი ქვეუნისა“, „მეულე ქვეყნისა“, ეს საარსული ტერმინია.

საერთოდ, ამირანზე ხალხური თქმულების ის სახე. რომელმაც ჩვენამდის მოაღწია, გვიანდელი უნდა იყოს. პრეისტორიული მითი ამირანზე აისახა ქართულ ხალხურ თქმულებაში, მაგრამ სახელი შეცვლილია. სახელი ამირანი აშკარად საარსული წარმოშობისაა და, მე მგონი, არ ასახავს ამ არსების ჩამდას. პრეისტორიულ ხანაში ამ არსებას, მე მგონი, ჰქონდა უფრო ძველი პროტოქართული შესატყვისი. საერთოდ პროტოქართული შესატყვისები ჰქონდათ არა მარტო ასეთ პერსონაჟებს. მაგალითად, საიდან მომდინარეობს ქართველთა ეპონიმი „კარლუ“? ეს არის მთის სახელი, რომელსაც დღეს ჰქვია არარტი. თავდაპირველად ამ მთის სახელი იყო კარლუ, კარლუ იყო ბაბილონური ლვთაება. მთებს არქემედინენ ლვთაებების სახელებს და ამ ლვთაების სახელი ერქვა მთა არარატს, რომელსაც სუმერულ ეპოქაში ნისირი ერქვა. ძველი სახელები დღეს უკვე აღარ აეჭრ არც ამ ტოპონიმებს, არც გმირებს. და ამ არსებას, რომელსაც პრომეთეს უწოდებენ, დარწმუნებული ვარ, პრეისტორიულ ხანაში არ ერქვა ამირანი. ამირანი უფრო შუასაუკუნეებშია შერმეტო.

უკითხვა: რას იტყვით აფხაზურ-ქართული ენების კაგშირზე?

პასუხი: საერთოდ აღიდეული და სხვა კავკასიური ენები, რომელც მოგეხსენებათ, იბერიულ-კავკასიური წარმოშობისაა, მათსა და ქართულ ენას შორის გენეტიური ნათესაობა არსებობს. ქართველურ ენებს შორისაც გენეტიური ნათესაობა არსებობს, მეგობრებო. ეს ვერ გაუგიათ მათ და ამიტომ არის ეს ეროვნული შუღლი, თორებ მათი წარმომავლობა ნამდვილად იბერიულ-კავკასიურია. ნამდ-



ვილად ასეა. რომ ჰქონდეთ მათ მეხსიერება, ცოდნა თავისზე მომავლობის შესახებ, ისინი არასოდეს არ გააჩაღებდნენ ასეთ კონფლიქტებს თავის მონათესავე ერთან. საერთოდ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები გენეტიკურად მონათესავენი არიან, ასევეა მათი ენებიც. ეს არნოლდ ჩიქობავამ, ჩვენმა დიდმა მეცნიერმა, შესანიშნავად გამოიკვია და ეს მისი საყარელი ტერმინია – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება და იბერიულ-კავკასიური ხალხები, ააც, სხვათა შორის, იმასაც გულისხმობს, რომ იბერიულ-კავკასიური არ არის ერთადერთი იბერიულ სამყაროში, არსებობს, მაგალთად, იბერიულ-პირინეული და სხვა, რომ იბერიულ-კავკასიური არის მხოლოდ ერთი მონაკვეთი იბერიული სამყაროსი, და მასში ერთიანდებიან აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები.

შეკითხვა: რა კაშშირშია მაზდეანობა ქართულ სულიერ სამყაროსთან?

პასუხი: მეგობრებო, ისტორიულად ქართველ ერს ჰქონდა ურთიერთობა მრავალ კულტურასთან, მრავალ რელიგიასთან და არის საქართველოში იმის ნიშნები, რომ იყო ერთ პერიოდში აქ მაზდეანური კულტი, ანაპიტა-ქალ-მერთის კულტი და მრავალი სხვა კულტი იყო, მაგრამ ეს არ იყო წამყვანი, არ იყო არსებითი და ძირითადი ჩვენს სულიერ სამყაროში. მაგალთად, ჯერ პრობლემატურად არის ქუელი, იყო თუ არა არმაზის კულტურა ზორითასტრული კულტურა და რაიმე საერთო აქვს თუ არა მას ზორითასტრულ კულტურასთან და მაზდეანობასთან. ე. ი. ესეც არ არის დამტკიცებული, ორმუზი და არმაზი თუ ენათესავებიან ურთიერთს.

შეკითხვა: რა არის ანთროპოსოფია?

პასუხი: ... ანთროპოსოფია ეს არის სულიერი მეცნიერება თანამედროვე ევროპაში, მეცნიერება სულის შესახებ, რომელიც გავრცელებულია დასავლეთის ქვეყნებში. ეს მოძრაობა არსებობს საქართველოშიც და ჰყავს მრავალი მიმდევარი. ეს არის ქრისტიანული მოძრაობა, როგორც მოგახსენეთ, ეს არის მიქაელური ქრისტიანობა. მაგრამ, ამავე დროს, უნდა მოგახსენოთ, რომ ზოგს ეშლება, ზოგი ურევს ანთროპოსოფიას ჩელიგიაში. ანთროპოსოფია არ არის რელიგია. ეს არის შემეცნებითი მიმდინარეობა და არა აღმსაჩერბლობა. ამიტომ შეცდომით ამბობენ, ან მართლმადიდებელი იყავი, ან ანთ-



როპოსოფით. ასე არ დგას საკითხი. ეს იგივეა, რომ თქვენ ტბილი როლმაღიდებელი იყავი, ან ჰეგელიანელი. აქ საქმე იმარტი გაზღავთ, რომ ანთროპოსოფიას რელიგიური აღმსარებლური პრეტენზიები არ აქვს. ეს არის შემეცნებითი გზა. მართალია, რელიგიური თემიც არ სებობს დასავლეთში, რომელიც მასზე არის აღმოცენებული, მაგრამ თავისთავად ანთროპოსოფიის ფუძემდებელი – რუდოლფ შტაინერი არ იყო ახალი ტელიგიის ან კონფესიის ფუძემდებელი. ის არის ქრისტეს, ქრისტიანობის მიმდევარი და ქრისტიანობის ახალი შემეცნებითი ფორმის შემეცნელი. ასე, რომ აქ არ უნდა მოხდეს ცნებათა აღრევა და არ უნდა შეგვეშალოს.

როგორც მოგახსენეთ, არსებობს აგრეთვე მრავალი დარგი ანთროპოსოფიული მეცნიერებისა: ანთროპოსოფიული მედიცინა, ბიოლოგია, პედაგოგიკა. კერძოდ ანთროპოსოფიულმა მედიცინამ უდიდესი როლი შეასრულა ჩვენში 9 აპრილს მოწამლულთა მკურნალობაში. როდესაც ვერცერთი ექიმი ვერ კურნავდა მათ, ვერც ერთი სახეობის წამალი... მათ ისეთი მედიკამენტები ჩამოიტანეს, თავიანთი სკოლის მიერ შექმნილი, რომლებმაც უშველა ამ მოწამლულებს, გადაარჩინა უამრავი ადამიანი.

უნდა მოგახსენოთ ისიც, რომ მართლმაღიდებლურ კულტურ არსებობს ლექცია რუდოლფ შტაინერისა, რომელიც ძალზე მაღალ დონეზე აყენებს მართლმაღიდებლურ კულტს კათოლიკურთან შედარებით. მე შემიძლია პირდაპირ ციტატა წაგიკითხოთ. საერთოდ რუდოლფ შტაინერი მართლმაღიდებლურ ფილოსოფიასთან ძალიან ღრმად იყო დაკავშირებული, კერძოდ, ვლადიმერ სოლოვიოვის ფილოსოფიასთან და თავის ერთ-ერთ წინამორბედად თვლიდა მას, მართლმაღიდებელ ფილოსოფის. არის ციკლი ლექციებისა 1922 წელს წაკითხული – „ზეცნობადი გავლენები კაცობრიობის ისტორიაში“, სადაც რუდოლფ შტაინერი ამბობს: „კათოლიკურ ეკლესიაში კულტი და რიტუალი უფრო თვალითსახილველი სიმბოლოების ხასიათს ატარებს, აღმოსავლურ მართლმაღიდებლურ ეკლესიაში კი იგი ისეთი რამ არის, რასაც სული სწორება უღრმესი მოწიწებით“. ე. ი. რაღდეკალურიდ ასხვავებს ამ კულტს ერთმანეთისაგან და მისთვის უფრო მახლობელი არის მართლმაღიდებლური კულტი. და ეს ჩანს აგრეთვე ოქსფორდში წაკითხული ლექციებიდან, სადაც ის ამბობს, რომ მართლმაღიდებლურ აღმოსავლურ ეკლესიაში იყო ძალიან ღრმა ეზოტერიზმი, ანუ სიცუმლო მოძღვრება, რომელიც თავად ეკლესიას გააჩნდა. აღმოსავლეთ-

ში, როგორც მე შედან ვოგახსენეთ, ეზოტერიზმისაგან, ხოლო დასავლეთში გამოყოფილი იყო და იყო კონფლიქტიც და დევნაც ეზოტერიზმისა. აღმოსავლურ ეპლესი-აში ამას აღგილი არ ჰქონებია.

შეკითხვა: როგორია გრაალის წარმოშობა?

გრაალის ეტიმოლოგია, გრაალი, მეგობრებო, მომდინარეობს ძველპროვანსული და ალბათ, ძირით კაპადოკიური ტერმინიდან „გრა-ცალ“ და, საერთოდ, გრაალის მიმდინარეობა ქართველური ტომების შექმნილია აგრეთვე. კაპადოკიური ეთნოსი, რომელიც იგივე ქართველური, პროტოიბრიული ეთნოსია, არის ძირითადი შემქმნელი გრა-ალის მიმდინარეობისა. ტიტურელი, ცნობილი პირველი მფლობელი გრაალისა, ეროვნებით იყო კაპადოკიელი, ე. ი. ქართველური წარმოშობისა. შემთხვევითი როდია, რომ კაპადოკიელები იხსენიებიან სული-წმინდის გამოსკლის დღეს, მეერგასისე დღეს, რომელიც მოცემულია მოცემულთა საქმეში (საქმე, 2, 9). კაპადოკიელები ესწრებოდნენ სულიწმინდის გაღმოსკლას და გრაალის შისია ეს არის სულიწმინდის შისია. გრაალი ეს არის სულიწმინდის მატარებელი. გრაალი ეს არის სიმბოლო დვინის/მობლისა. სულიწმინდისა და გრაალის მფლობელი არის სულიწმინდით გამსცვალული და სულიწმინდამომადლებოლი აღამიანი.

გრაალის მოძრაობა, გრაალის ქრისტიანობა შექმნეს სუმრედ იბერიულმა ხალხებმა. ის შეიქმნა ჯერ კაპადოკიაში, შემდეგ პროვანსში, ლანგდოკში, სადაც ძირითადად იბერიული და კელტ-იბერიული მოდგმის ხალხები ცხოვრობენ. კელტ-იბერები იგივე იბერებია წარმოშობით, რომელთაც შემდეგ, გვიანდელ პერიოდში შეერწყნენ კალტები. კელტების მიგრაცია ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაბალოებით მესამე საუკუნიდან დაიწყო და მოგვიანებითაც გაგრძელდა. შემდეგ ჩამოყალიბდა კელტ-იბერიული მოდგმა, მაგრამ წარმოშობით მაინც იჩერიულია. კელტ-იბერიული მოდგმაც კაპადოკიასთანა დაკავშირდებული და სწორედ კაპადოკიდან, ამ მესხური, ანუ მოსხური, ზანური კაპადოკიდან მომდინარეობს გრაალის ქრისტიანობა და გრაალის მიმდინარეობა. ქართლში არის, სხვათა შორის, სოფელი გრაკალი. რამდენადაც პირველადი სახელი ამ თასისა არის „გრაცალ“, გრაცალი და გრაკალი აუკარად მონათესავეა და ეს ტოპონიმი უნდა იყოს გრაალთან დაკავშირებული ჩვენის ლრმა რწმენით.

გრაალი მოხსენიებული არის შავთელის ოდებში, რომელშიც მას



ეწოდება „მაღლთა ბარძიმი, ერთა განსაწმენდ“. როგორც მარტინ შემოსილი არის ქართულ ფოლკლორში, კერძოდ, როდესაც წმინდა გიორგი – ქართული ფოლკლორის წმინდა გიორგი – ლაშქრობს ქაჯა ვეთში კოპალასთან და იახსართან ერთად, მას ქაჯავეთიდან მოაქვს თასი, და ჩეგნის ღრმა ჩრდებით, ეს გრაალის თასია. ე. ი. წმინდა გიორგის ჩასვლა ქვესკნელში დაკავშირებულია გრაალის თასის წამოლებასთან, ე. ი. ეს არის ინიციაციის სიმბოლო. ამრიგად უკავშირდება გრაალი ქართულ კულტურის, ქართულ ფოლკლორს, საქართველოს ისტორიას.

გელათის ფრესკების ძირითადი მოტივები გრაალის თასთან არის დაკავშირებული. ყრმა მაცხოვარი, როგორიც უჭირავს გელათის დათისმშობელს, შებლზე გრაალის ტვიფარს ატარებს! ასე რომ, ეს უაღმრესად ღრმა კავშირშია ქართულ კულტურასთან და, რაც უკეხება „ვეფხისტყაოსანს“, შეიძლება ითქვას, რომ ისიც გრაალის პოემაა, იმიტომ რომ გრაალის სიმბოლოები, სინონიმებია საუნჯე, თვალ-მარგალიტი, ფილოსოფიური ქვა და ქალწული, ე. ი. ქალწულის გამოხსნა ტყვეობიდან, ქვესკნელიდან აგრეთვე იგივეა, რაც გრაალის გამოხსნა. ქალი ამ შემთხვევაში განასახიერებს ანიმას, სამშვინველს და ანიმას გამოხსნა ღრაკონის ტყვეობიდან არის სწორედ ინიციაციის მიზანი. აი, ეს არის მოცემული სწორედ „ვეფხისტყაოსანში“. „ვეფხისტყაოსანი“ არის ინიციაციის გზა, ჰეროიკული ინიციაციის გზა არის აუ აღწერილი. ალეგორიულად, საერთოდ, რაინდობა დაკავშირებული იყო ინიციაციასთან. რაინდობა იყო ინიციაციის ინსტიტუტი, ამიტომ მისი უმთავრესი მიზანი იყო ქვესკნელად შთასვლა და გრაალის გამოხსნა, ანუ წმინდა საწყისის გამოხსნა ბნელი ძალების ტყვეობისაგან.

შეკითხვა: როგორ მიტიცდება, რომ პელაზები და უმერები იყვნენ არაინდოეგროპელები?

ეს ვტკიცდება, მეგობრებო, ენათმეცნიერული მონაცემებით. უწინარეს ყოვლისა შემერები რომ არაინდოეგროპელები არიან და მხოლოდ ქართველური ენები ენათესავება შუმერულ ენას, დღესდღეობით დამტკიცა დიდმა ქართველმა მეცნიერმა მ. წერეთელმა. ინდოევროპული ენები ამ ენებს არ ენათესავება. პელაზებზე პირდაპირ არის ჰეროდოტესთან და სხვა ბერძენ ისტორიკოსებთან ნათქვამი,

რომ ისინი იბერები იყვნენ.

შეკითხვა: რა კავშირი იყო ირლანდიელ და ქართველ იბერებს შორის?

ირლანდიელი იბერებისა და ქართველი იბერების კავშირი უღრმესია, მეგობრებო, სწორედ იმაზე არის საუბარი ჰუმბოლტის შრომაში, რომ ირლანდიაში, ჩრდილოეთ ევროპაში იყო მიგრაცია იბერებისა. ჰუმბოლტი აშკარად განასხვავებს მათ სამხრეთის იბერებისაგან, სადაც ისინი ავტოქტონები არიან, მაგრამ ჩრდილოეთში, ირლანდიაში, ბრიტანეთში და სხვაგან მოხდა მათი მიგრაცია და დაარსდა კოლონიები. ირლანდიის უძველესი მოსახლეობაც –პიქტები იბერების შთამომავლები იყვნენ.

შეკითხვა: ვინ იყვნენ ალბანელები?

„ქართლის ცხოვრებიდან“ ჩანს, რომ ქართველური ტომები იყვნენ ალბანელებიც. ამასთან, ეს არის ბერდა, რომელიც გვხდება ჩიზამი განჯევის უემოქმედებაში... სხვათა შორის, უემთხვევით არ არის, რომ ბერდას დაუკავშირა ნიზამი განჯევმა თამარ მეფის სახე, რომელიც მოგვცა მან სიმბოლურად, ალეგორიულად ბერდის დელფინის ნუშაბეს სახით თავის „ისკანდერნამეში“...

შეკითხვა: ლაზეთი და ლაზარე თუ არის რაიმე კავშირში?

ამაზე ჰიპოთეტურად შეიძლება ვთქვათ მხოლოდ, რომ ფუძით უკავშირდება; აგრეთვე ლაზარე და ლაზური, ლაპისლაზული, რომელიც ლაზვარდს აღნიშნავს და ლაზვარდი და ცისფერი ეს არის იოანე-ლაზარეს ფერი საერთოდ, და შეიძლება ეს ყოველივე ჩაღაუ კავშირშიც იყოს ... ლაზარესადმი მიძღვნილი თამარისდროინდელი ტაძრის, ბეთანიის ფრესკებიც ხომ ცისფერი ფერგბშია გადაწყვეტილი, ან შეიძლება ამას ლრმა ეზოტერული მნიშვნელობა არ ჰქონდეს.

შეკითხვა: რა კავშირი აქვთ ხეთებს საქართველოსთან?

ხეთასთან დაკავშირებული ტოპონიმები არის საქართველოში. ეს იმას არ ნიშნავს, მეგობრებო, რომ აქ, ვთქვათ, ხეთების სამშობლო იყო. იყო მიგრაციები ხალხების, იყო მათი გარკვეული მოძრაობა და ამასთან არის დაკავშირებული მრავალი ტოპონიმი. საერთოდ

ი რ ე ლ ი ს ტ უ ლ ი კ რ ი შ ე ბ ი ს

ხეთები ინდოევროპელებია, ისინი არ ეკუთვნიან ქართველურობის ხალხებს.

შეკითხვა: რას გვეტყვით ნიკო მარისა და „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ?

მეგობრებო, ნიკო მარის ძალებები შეხედულებები ახასიათებდა „ვეფხისტყაოსანზე და, საერთოდ, დიდ ადამიანებს ზოგჯერ დიდი შეცდომებიც მოსდით. მან შეცდომები დაუშვა „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებით, მაგრამ შემდეგ თავადვე გამოისწორა ეს შეცდომები და უაღრესად მნიშვნელოვანი აზრები გამოთქვა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. თავდაპირველად ის თვლიდა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ნათარგმნი ნაწარმოებია, აპირებდა მისი, დედის“ პოვნას ბრიტიშ მუზეუმში, მაგრამ ვერ შესძლო ეს და შემდეგ სხვაგვარი შეხედულება ჰქონდა უკვე ამაზე. რაც მთავარია, ნიკო მარრმა პირველმა გვაჩვენა ის ორგანული კავშირი, რომელიც არსებობს „ვეფხისტყაოსნის“ სამყაროსა და დასავლური რაინდული რომანის სამყაროს, საერთოდ, დასავლურ კურტუაზის შორის. მან მიგვითთა აგრეთვე პროვანსელი ტრუბადურების და საერთოდ რაინდული კულტურის სხვა ძეგლებთან „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსებაზე. ნიკო მარრმა ძალიან ღრმად მიანიშნა ამაზე და ძალზე ღირებული ნაშრომი დაგვიტოვა: „ქალის კულტი ვეფხისტყაოსანში“. რაც შეეხება რუსთველის მუსულმანობის იდეას, მან ეს უარყო შემდეგ ერთ ხანს ნიკო მარრს ჰქონდა აზრი, თითქოს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი მუსულმანი იყო. მაგრამ ეს აზრი მას იმიტომ დაებალა, რომ ის ამ ეკუმენიზმს ვერ სნიდა. რუსთველს ახასიათებს რაღაც ზერელიგიური ეკუმენიზმი. თითქოსდა ის კველა კულტების და კველა რელიგიების გამაერთიანებელი არის თავის პოემაში.

საერთოდ, „ვეფხისტყაოსანი“ ეს არის სინკრეტული ნაწარმოები, არა ეკლეგტური, სხვადასხვა ელემენტების უკავშიროდ შეტყუჩა, არამედ სინკრეტული. ეს არის ერთიანობაში მოცემა სხვადასხვაგვარი ელემენტებისა. „ვეფხისტყაოსანი“ არის ანტიური სიბრძნისა და ქრისტიანული სიბრძნის სინთეზი, ეზოტერიული სიბრძნის სინთეზი, ანტიური ინიციაციის გზისა და ქრისტიანული ინიციაციის გზის ახალი სინთეზი არის ახალი მხატვრული მითოსის ენაზე მოცემული. ასე, რომ აქ მრავალ მკლევარს ეჩვენებოდა ცალ-ცალკე მოძღვრებები, ცალ-ცალკე აღმსარებლობა, მაგრამ ეს შემდეგ არ დადასტურ-



და და დღეს უკვე გაბატონებული აჩხია, რომ ეს არის უცნობესობის წილი ნაწარმოები, რომ ავტონი ქრისტიანია, თანაც ფართო გაგების ქრისტიანი, არმელიც ეკუმენურად აერთიანებს სხვა რელიგიების მიღწევებსაც თავის მსოფლმხედველობაში. მაგალითად, იქ არის მოცემული ასტროლოგიური, ასტროსოფიული იდეები, არის ანტიური მისტერიათა იდეები, თუთ „მზიანი ღამის“ სტროფი და სხვა. ეს ყველაფერი გვაფიქრებინებს, რომ ის ღრმად იყო ნაზიარები ანტიურ მისტერიალურ კულტურას, გვაძლევდა ამის სინთეზს თავის ნაწარმოებში. ნიკო მარტი თავდაპირველად ამას ვერ ხედავდა. მან მუსულმანად ჩათვალა რესთაველი, ვინაიდან მუსაფიც არის იქ და მუსაფიც იფიციენტ გმირები, მაგრამ ეს იმიტომ მოხდა, რომ პირობით ად „ვეფხისტყაოსნის“ მოქმედება გადატანილი არის აღმოსავლურ სამყაროში, მუსულმანურ სამყაროში და იქ ცხადია მუსაფის გარდა სხვა საცვთო ჭიგნს ვერ ახსნენდნენ, მაგრამ ლოცვა ავთანდილისა ეს არის ქრისტიანული ლოცვა, მოუხედავად იმისა, რომ ის თით ქს მიზგითში ლოცულობს. ასევე გმირებიც თავიანთი მოქმედებით, თავიანთი ხასიათით ქრისტიანები, ქრისტიანული სამყაროს წარმომადგენლები არიან. არაბი, ინდოელი „ვეფხისტყაოსნის“ არ ნიშნავს ეროვნებას. ეს არის სიმბოლურად. „ვეფხისტყაოსნის“ ქვეყნები საერთოდ გეოგრაფიული სინამდგილე არ არის, ისტორიული სინამდვილე არ არის. ეს ალეგორიული გეოგრაფიაა, ალეგორიული ისტორიაა.

(დასასრული ლექციისა წაყით თლი „იდრიარდის“ ფესტივალზე.
თბილისი, 2 მაისი 1990 წელი.)

ჰვიად გამსახურდია

ჰვიად გამსახურდიას თეატრების მოქლე პიპლოგრაფია:

- ამერიკელი პოეტების ანთოლოგია, **1971.**
- XX საუკუნის ამერიკული პოეზია (მონოგრაფია), **1972.**
- ტ ი ვ 5 ი: „ლიტერატურული სტატიები“ (ლიტერატურათმცოდნეობისა და კრიტიკული სტატიები, ესეები), **1976.**
- გოგოლის „საშინელი შურისგება“, თარგმანი, „საუნჯე“ 1983 წ. №3
- შ. ბოდლერის „ლექსები პროზად“, თარგმანი, „საუნჯე“ 1984 წ. №2
- რესთველი და კათალიკოსი ანტონ I „მაცნე“ 1984 წ. №1 3, 4
- „ვეფხისტყაოსნი“ ინგლისურ ენაზე, „მეცნიერება“, 1984 წ.
- „ქალის კულტი „თამარიანსა“ და „ვეფხისტყაოსნის“, საქ. მეცნიერებელმისის „მოამბე“ 1985 წ. №2.



- თარგმანი ინგლისორიდან: უილიამ შექსპირის „მეფე ჯიზუანიშვილი I და II), „მნათობი“, 1969 წ., № 8 - 9.
- გოეტეს მსოფლმხედველობა ანთროპოსოფიული თვალსაზრისით, „ცისკარი“, 1985 წ., № 5.
- ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი “ითანა-ზოსიმესი. მეცნიერული გამოკვლევა”, „ცისკარი“, 1987 წ., № 3.
- „თამარიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“, „მაცნე“, 1987 წ., № 4.
- თარგმანი ინგლისურიდან: ლეონარდ კოტტელი „ანტიკურობის სამცრებანი“, „განათლება“, 1987.
- „ვეფხისტყაოსნის“ სიმბოლური ონომატოლოგია“, საქ. მეცნიერება-თა აკადემიის მოამბე, ტომი 127, 1987 წ., № 3.
- იგ ა ვ ე ბ ი დ ა ჲ ა პ ჩ ე ბ ი, „ნაკადული“, 1987 წ.
- „ვეფხისტყაოსნის“ სრულყოფილი გამოცემისათვის, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1989 წ., № 4.
- „მთვარის ნიშნობა“ (ლექსები), „მერანი, 1989 წ.

ც ნ ბ ი ს ა თ ვ ი ს. ქ. გამსახურდიას „საქართველოს სულიერი მისია“ უკვე მზად იყო გამოსაცემად, როცა ავტორისაგან მივიღეთ სამშობლოში სულ ახლახან გამოცემული ამ სახელწოდების წიგნი. წიგნში, გარდა ას ჩვენს მიერ გამოქვეყნებული ლექციისა, შესულია ორი ლექცია: „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ და „გელათის აკადემიის სულიერი იდეალები“ და ერთი წერილი: „კონსტანტინე გამსახურადია და ქრისტიანობა“. წიგნის სამივე ლექცია ერთ მთლიანობას წარმოადგენს, რომელშიც წარმოჩენილია ქართული ეთნოსის როლი და მნიშვნელობა საკალიბრის ცივილიზაციის განვითარებაში. „გუშაგის“ მიერ ამ ერთი მნიშვნელოვანი მონაცემთის გამოქვეყნება გამართლებულია იმ ღაეტით, რომ სამშობლოში გამოცემული წიგნი აღმართ ასე ჩეარა ყველა ჩვენს მკითხველს ვერ მი-წვდება, არადა დღევანდელ მომენტში, ჩვენ ვფიქრობთ, ყველა ქართველს აინტერესებს ბატონ ზვიად გამსახურდიას ფიქრთა დელვა.

რედაქცია.



ჩ ვ ე ნ ი წ ვ ლ ი ლ ი

გულხელდაკრეფილი არ გვიღოდინია არჩევნებისათვის. ჩვენც ვცდილობდით ჩვენი მოკრძალებული წვლილი შეგვეტანა, რომ პირველი დემოკრატიული გამოცდა ქართველ ხალხს წარმატებით დაეჭირა. უნდა ითქვას, საქართველოს პრესა (და იქნებ ჩვენმა ემისრებმაც?) ამ სურვილის განხორციელებაში ხელი არ შეგვიწყვეს. მაგალითად:

15 სექტემბერს გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელს“ გავუგზავნეთ მოზრდილი სტატია: „თავისი უფლების ზღურბლზე“, სამ ოქტომბერს ეურნალ „ლიტ. საქართველოს“ რედაქტორს, ბ-ნ ელიზბარ ჯაველიძეს ვაახელით „ლია წერილი ბ-ნ თენგიზ ბუაჩიძეს“, 15 ოქტომბერს ისევ „ახალგაზრდა ივერიელს“ და ყველა სხვა საინფორმაციო ორგანოს ჩვენი აქაური პერიოდული გამოცემების და პარტიული ჯგუფების კოლექტური „წინასაარჩევნო მიმართვა ქართველი ხალხისადმი“. არავითარი ცნობა არ გაგვაჩნია არცერთი მათგანის ბედის შესახებ.

საოცრებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ, მიუხედავად უამარავი სტუმრობისა სამშობლოდან, იზოლაციაში ვგრძნობდით თავს უხილავი ძალების მიერ. ყოველდღიური პრესა სამშობლოდან ან სულ არ მოდიოდა, ანდა დიდი დაგვიანებებით.

ჩვენ აქ თავს შევიკავებთ ყველას გამოქვეყნებიდან, ვბეჭდავთ მხოლოდ უკანასკნელს:

წინასაარჩევნო მიმართვა ქართველი ხალხისადმი

თავდაპირველად უნდა გითხროთ, რომ ჩვენს ქართულ ემიგრაციას, რომელიც სხვადასხვა პარტიელთა და უპარტიონთაგან შედგებოდა, მუდამ ერთი საერთო მიზანი ასულებულებდა და ის შემდეგში მდგომარეობდა: **1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილი ჩვენი სამშობლოს განთავისუფლება, საქართველოს დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს აღდგენა.**

69 გრძელი და მოუშუშებელი ტკივილებით სავსე წლის შემდეგ, ჩვენი, დღევანდელი ქართული ეროვნული ემიგრაციის, მიზან-სწრაფვიც იგივეა, რაც მუდამ იყო წარსულში.

ამჟამინდელი საბჭოთა ხელისუფლება, მიხეილ გორბაჩივის ხელმძღვანელობით, საჯაროდ გმობს მის წინამორბედ ხელისუფალთა მმართველობის არაადამიანურ მეთოდებს და აცხადებს მის დემოკრატი-

ულ ფერისცვალებას, როგორც საერთაშორისო ურთიერთობაში სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკაში.

როგორია მდგომარეობა სინამდვილეში? საერთაშორისო საპირისძე საბჭოთა დიპლომატიის დაღებითი ცვლილებები უდავოა. დასავლეთის დემოკრატიულ სამყაროსთან დაძაბულობისა და მტრული დაპირისპირების განწყობილებიდან, საბჭოთა მთავრობა თანდათან გადაღის განმუხტვის, ნორმალური ურთიერთობათანამშრომლობის პოლიტიკაზე. მსოფლიო საზოგადოებრიობის აზრზე დიდი დაღებითი შთაბეჭდილება მოახდინა აღმოსავლეთ ევროპის ერების: პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, ბულგარეთი აღმოსავლეთი გერმანია— განთავისუფლებამ კომუნისტური რევილებისაგან ისე, რომ არსად საბჭოთა ჯარების ინტერველის აღვილი არ ჰქონებია.

რაც შეეხება საშინაო ხაზით გარდაქმნისა და საჯაროობის პოლიტიკას, საჯაროობამ აშკარად გამოავლინა საბჭოთა დაპყრობილი ხალხების ლტოლვა ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ, რის აღსაკვთად ცენტრალურ ხელისუფლებას სხვა არა დარჩენია რა, თუარა საალყო მდგომარეობის გამოცხადება და ხალხთა შორის კონფლიქტების გაღვივება. საბჭოთა ხალხების უკმაყოფილებას კიდევ უფრო აძლიერებს ეკონომიკის სრული მოშლილობა, ხალხი სულ უფრო მეტად განიცდის ჯანრმთელობისთვის აუცილებლად საჭირო პროდუქტების ნაკლებობას, უზარმაზარი ქვეყანა იმყოფება შიმშილობის კატასტროფის წინაშე.

ასეთ ვითარებაში, **28** ოქტომბერს დანიშნულია საქართველოს რეასუბლიერის უზენაესი საბჭოს არჩევნები. საბჭოთა პრაქტიკაში პირველად, იგი ჩატარდება მრავალპარტიული კანდიდატების პირობებში. ხელისუფლება იჩტმუნება, რომ არჩევნები იქნება ჭეშმარიტად დემოკრატიული, ამომრჩევლები თავისუფალი იქნებიან ყოველგვარ ზე მოქმედებისაგან და მათ ექნებათ შესაძლებლობა თავისუფლად გამოავლინონ მათი ნება-სურვილი. იმისთვის რომ არჩევნები ნამდვილად დემოკრატიული იყოს, მრავალპარტიულობა არ კმარა. საჭიროა აგრძელეთვე, რომ არჩევნებში მონაწილე პარტიებს ყოველ მხრივ თანასწორი პირობები ჰქონდეთ, არჩევნების წინ და არჩევნების დღეს არსებობდეს სრული სამოქალაქო მშვიდობა და ამომრჩეველთა უშიშროება გარანტირებული იყოს. არსებობენ ეს წინაპირობები?

არჩევნებს აწყობს მოსკოვის მიერ დანიშნული მთავრობა და კო-

მპარტია, რომლის ხელმძღვანელობაც ასევე კუმლის მიერად შეიქმნა ული. ამის უარყოფა შეუძლებელია! და ეს პარტია, დამპყრობელის პარტია, მომავალ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს „საქართველოს კომუნისტური პარტიის“ აბრით. ამ პარტიის განკარგულებაშია განუსაზღვრელი უულადი სახსრები, მთელი სახელმწიფო და პარტიული აპარატი, სანდო, შემოწმებული თანამშრომლებით. არაფერი ამის მსგავსი არ გააჩნიათ ოპზიციურ პარტიებსა და პარტიათა გაერთიანებებს. მათი ხელმძღვანელები გუშინ გამოვიდენ საპატიმროებიდან და სამალავებიდან. მათ ჯერ კიდევ ვერ მოუსწორია, რომ შექმნან თანამიოზრეთა ძირეული უჯრედები მთელს ქვეყანაში, ირგვლივ შემოიკრიბონ ერთგული სანდო თანამშრახველები. ამ უწონასწორობას აძლიერებს მძლავრი საოცუპაციო ჯარების, თუნდაც ფსიქოლოგიური, ზემოქმედება და სიამპერიონ საიდუმლო სამსახურის ძირგამომთხრელი საქმიანობა, რომელიც შენილბულად, ოსტატურად აღვივებს საზოგადოებაში შულლს, მტრობას, ტერორს.

რაც უფრო ვუახლოვდებით არჩევნების დღეს, მით უფრო იზრდება და დაუცველობის განცდა, შიშიანობა. მდგომარეობის კიდევ უფრო დასაძაბავად ამ უხილავმა ძალებმა უკვე ფაქტიურად განახორციელეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოდან ჩამოშორება, რამაც არ შეიძლება არ აღაშფოთოს ყველა კეშმარიტი მამულიშვილი. ორში ერთი: ხელისუფლებას ან ხელს აძლევს ასეთი მდგომარეობა, ანდა უძლეურია იგი. ორივე შემთხვევაში იგი იმსახურებს თქვენს რისხევასა და უნდობლობას. მას დაუყოვნებლივ უნდა ჩამოერთვას ძალაუფლება და თუ ამას გააკვეთებს ოქტომბრის არჩევნებით არჩეული ოფიციალური უზენაესი საბჭო, ეს იქნება ყველაფერზე უკეთესი, ყველა შესაძლებლობაზე უმტკიცნეულო ოპერაცია.

თქვენ მასიურად, როგორც ერთმა კაცმა, უნდა მიიღოთ მონაწილეობა ამ არჩევნებში, რადგან უზენაესი საბჭო ერთადერთი გზაა, დღეს-დღეობით მაინც, ჩვენი ქვეყნის ბედის ლეგალურ გადაჭრისათვის. მაშასადამე, რამდენადაც მეტი ქართველი პატრიოტი გავა მის დგაუტარებად, იმდენად უკედ წავა ჩვენი ქვეყნის საქმე, და ეს თქვენ უნდა გააკვთოთ თქვენი ხმების მიუწიოთ.

თქვენ, თქვენი მაღალი პოლიტიკური შეგნებით, უნდა გადალახოთ ყველა ზემოაღნიშნული დაბრკოლება, მასიურად უნდობლობა უნდა გამოუტალოთ კომპარტიის მიერ წამოყენებულ დგუტატობის კანდიდატებს, იმ კომპარტიისა, რომელიც არჩევნებში თვალთმაქცურად საქართველოს კომპარტიად გამოდის, სინამდვილეში კი ჩვენი სამ-

შობლოს დამპყრობთა პარტიაა და რომლის 69 წლის გარემონტის შესრულებულის პირად მიიკვანა საქართველო და ქართველი ერს. მასიურად ხმა მიეცით თქვენთვის კარგად ცნობილ, პატიოსან, მტკიცე ხასიათის დემოკრატ მამულიშვილებს, ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის რომელ პარტიასაც არ უნდა ეკუთვნოდენ ისინი; მათ, რომელთაც ღრმად სწავლით ჩვენი სამშობლოს განთავისუფლება და მზად არიან თავიც დასდგან მისთვის, თუ კი საჭიროებამ მოითხოვა, რასაკვირველია.

მრავალუამიერი და დიდება ქართველ ერს!

გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებელ, დემოკრატიულ რესპუბლიკას!

ხელს აწერენ:

უურნალ „ივერია“-ს : რედაქტორი მიხეილ ქავთარაძე და დირექტორი ოთარ პატარიძე;

უურნალ „გუშაგი“-ს დირექტორი გიორგი წერეულელი;

უურნალ „მებრძოლი საქართველო“-ს რედკოლეგია კარლო ინასარიძე;

უურნალ „ჩვენი დროშა“-ს რედკოლეგია ჯაბა ხაბულიანი;

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელ ბიუროს პრეზიდიუმი მამია ბერიშვილი .

პარიზი, 14 ოქტომბერი 1990.

საქართველოს გამარჯვება

წლევანდელი 28 ოქტომბრის არჩევნები მრავალმხრივ საინტერესო და საყურადღებოა. 1 რაც არ უნდა მოხდეს აწი, იგი მაინც დარჩება გვერდაულელ ნიშანსვეტად საქართველოს, ქართველი ერის ისტორიაში. თითქმის შვიდი ათეული წლის სრული პოლიტიკური უუფლებობის შემდეგ ქართველ ხალხს პირველად მიეცა უფლება თავისუფლი პოლიტიკური არჩევანისა და, მიუხედავად მისთვის განგებ შექმნილი ჯოჯოხეთური პირობებისა, მან ძალაუფლება ჩამოართვა კომპარტიას, უცხო დამპყრობლის პარტიას და გადასცა იგი ეროვნული განთავისუფლების მოძრაობის ერთერთ პოლიტიკურ ფორმაციას „მრგვალი მაგიდა-თავისუფლალ საქართველოს“, რომელსაც ლიდერობს მსოფლიოში ცნობილი სამართალ-დამცველი ბატონი ზვიად გამსახურდია.



2. აქა და იქ გაისმის წუწუნი, გაიგონებ ან წაკითხაჲ ცაჲჭარები სწორობია ...

საქართველო დეპრესიაშია ...

ქართველები ერთმანეთს არ ინდობენ ...

დღევანდელი ქართველი ქართველს აღარ ჰვავს ...

ღმერთო, შეუნდე ამის მთქმელთ, თუ ეს მათ უცოდინარობით ან სიბრიყვით მოსდით, ხოლო თუ ეს წინასწარ განზრახული სისინია, ქართველთა შორის უიმედობის გასაღივებლად, მაშინ ისინი არა ვითარი შეწყნარების ლირსი არ არიან.

არა! საქართველო სწორობი არ არის და არც ქართული სისხლი არ გაწყალებულა. ჩვენმა ერმა უმკაცრესი სატანური ომი გამოიარა, ეს უთანასწორო ომი გრძელდება, მაგრამ ერთ-ერთ ბრძოლაში, პოლიტიკურ ბრძოლაში მან ბრწყინვალედ გაიმარჯვა. არჩევნების შემდეგ ეს ცხადია. სირცხვილი იმ ვაი ინტელიგენტს, რომელიც დროულად არ ჩაება ბრძოლაში და ახლა კი ვიშვებებს ...

- რა თქმა უნდა, რომ იყო შეცდომები დაშვებული, მაგრამ არ ცერთი ომი და მით უფრო არცერთი რევოლუცია (ზოგიერთ ჩვენს კალმოსანს ავიწყდება, რომ ყოველი განთავსუფლება ომიუა და რევოლუციაც) არც შეუცდომლადა და არც უმსხვერპლოდ ჯერ არ მომხდარა და ერთვარი ანარქიაც მისი უნებური, მაგრამ განუშორებელი თანამგზავრია. როცა შეცდომაზე ვლაპარაკობთ, განსაკუთრებით მხედველობაში გადაქვე ეროვნული კონგრესისა და უზენაესი საბჭოს თითქმის ერთდროული არჩევნები. იმ მომენტიდან, როცა ხელისუფლება მრავალპარტიულ თავისუფალ არჩევნებზე დათანხმდა, არაოთიციალური ეროვნული კონგრესის არჩევნები სექტემბერ-ოქტომბისთვის უნდა მოხსნილიყო და ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის მთელი ძალის მიზნები უზენაეს საბჭოში გასამარჯვებლად უნდა წარმართულიყო. ეს კეშმარიტება თავის დროზე მხოლოდ ზეიად გამსახურდიამა და მისმა ერგულმა თანამებრძოლებმა შეიგნეს და დროს დაუკარგავად ორ ფრონტზე გააჩაღეს ბრძოლა. მაგრამ ალბათ

ამ მოულოდნეულმა უეცარი შემობრუნებამ არეულობა და ზოგჯერ მტკიცნეული შეჯახ-შემოჯახებაც გამოიწვია ყოფილ თანამებრძოლთა შორის. ამით გამოწვეული კრილობები ჯერაც ყველა არ შეხორცებულა. იმედია, რომ დრო, ეს უებარი მალამო, მას მოაშუშებს.

საბედნიეროდ, საბოლოოდ პოლიტიკიური ბრძოლა მწყობრად წარიმართა, არჩევნები მშვიდ ნორმალურ ვითარებაში ჩატარდა და


რამდენადაც ეს ჩვენთვის ცნობილია, არავისაგან საჩივარის აქტორი-ლეგზე ხმების მიცემის დროს უწესო მოქმედებაზე, ადგილი არ ჰქონებია. ამას ერთ-კონკრეტუსის გონივრულ გადაწყვეტილებასაც უნდა ვუმაღლოდეთ, რომ მან უზენაეს საბჭოს არჩევნებს ბოიკო-ტი არ გამოუტავადა.

3 ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამომრჩევლებმა საერთოდ დიდი პოლიტიკური სიბრძნე გამოიჩინეს იმით, რომ ხმები არ დაფანტუს, არა-მედ ერთ მტკიცედ შეკრულ პოლიტიკურ ფორმაციაზე მოუყარეს თავი და მით შესაძლებელი გახადეს საქართველოს არაკომუნისტური ხელისუფლების სტაბილურობა, რასაც კარდინალური მნიშვნელობა აქვს ამეამაღ, როცა იწყება ნამდვილი ბრძოლა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისათვის. ქართველმა ხალხმა აირჩია ამ ბრძოლის ხელმძღვანელი, ის გახლავთ ბატონი ზეიად გამსახურდია. ხალხის სიბრძნე ამბობს: „ხმა ღვთისა, ხმა ერისაო“, რაც ყველა ქართველს გვავალდებულებს, განურჩევლად ჩვენი პირადი განწყობილებისა მისი პიროვნებისადმი, ვიყოთ მის განკარგულებაში, მას ხელი არ შევუშალოთ, განსაკუთრებით გარეშე მტერთან ბრძოლის საქმეში.

4. ქართველი კომპარტიულების ბედი ჯერჯერობით ბუნდოვანია.

14 ნოემბრიდან დაწყებული ქართული გაზეთ „კომუნისტიც“ კი აღარ არსებობს. მას „ახალი საქართველო“ ეწოდება, რაც თავის-თავად ბევრის მეტყველია. მალე გაიმართება არჩევნების წინ შეწყვეტილი ქართველი კომუნისტების ყრილობის გაგრძელება, რომელიც აღბათ სიცხადეს შეიტანს ამ პარტიის ყოფნა-არყოფნის საკითხში. ჩვენი სახალწლო სურვილი კი იქნება იგივე, რაც მწერალ თამაზ წიგწივებისა, რომ: „საქართველოს მთელი ტერიტორია უკომუნისტებო ზონად გამოცხადდეს“.

5. და ბოლოს, ეროვნულ კონგრესსა და მრგვალ მავიდას ერთი და იგივე ამომრჩევლები ჰყავთ და მათი ოპოზიციურობა, ურთიერთდაპირისპირება არაბუნებრივია და შეუძლებელია, სიცოცხლის უნარიანი დარჩეს. ყოველ შემთხვევაში დაცული უნდა იქნეს შემდეგი: დემოკრატიული წესი და რიგი მოითხოვს, რომ პარლამენტში არჩეულ უმრავლესობას, რომელსაც აკისრია ქვეყნის მართვა-გამგეობა, სულ ცოტა ეჭვის თვის და ხშირად ერთი წლის განმავლობაშიც, რომელსაც სამოქალაქო თანხმობის პერიოდს უწოდებენ, ოპოზიცია აქტიურ ბრძოლას არ უცხადებს.



არც მთავრობას არა აქვს უფლება, რაიმე ისეთ დათმობეჭდზე ასეთ ტექსტის
ოპოზიციასთან, რაც მან მის ამომჩევლებს დაპირდა და რისთ-
ვისაც ის ხალხმა აირჩია. ამ თვალსაზრისით, ბ-ნ ირაკლი წერეთლის
განცხადება, 18 ნოემბრის თარიღით, რომელშიც ის დაუყოვნებლივ
მოლაპარაკებას მოითხოვს ეროვნული კონგრესისა და უზენასი საბ-
ჭოს წარმომადგენლებს შორის და თან შეთანხმების პირობებსაც
აყენებს, ძალიან ნაადრევად მიგვაჩნია. მერედა არ უნდა შევქმნათ
ორხელისუფლიანობის ატმოსფერო. ეს იქნება ყველაზე უფრო დამ-
ღუპველი ჩვენი სამშობლოსათვის, რომელიც, დარწმუნებული ვარ,
ყველას უსაზმროო გიყვარო და მზად ხართ მას თავი შესწიროთ.

გ უ შ ა გ ი

*** *** ***

ჰ ლ ე ს ი ნ კ ი ს ს ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ი ს
კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა პ ა რ ი ზ შ ი

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენცია ჩა-
ტარდა პარიზში, 19 და 20 ნოემბერს, რომლის შემდეგაც საფ-
რანგეთის პრეზიდენტმა, ბ-ნმა ფრანსუა მიტერანმა განაცხადა:
„...ევროპაში მტერი აღარ არის“. მიუხედავად ამისა, საქმეში
ჩახედული კომენტატორები აღნიშნავენ, რომ ბირთვული და კლასი-
კური ომის მუქარა არცერთი ბანაკის მხრიდან არ შესუსტებულათ.

პარიზის კონფერენციაში ერთით ნაკლები სახელმწიფო მონაწი-
ლეობდა. ეს იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც
ახლახანს შეუერთდა მოძმე ფედერალურ გერმანიას. კონფერენცი-
აზე სპარსეთის ყურის კრიზისით უფრო იყვენ დაინტერესებულნი,
ვიდრე საბჭოთა კავშირის ხალხების თავისუფლებით. საფრანგეთის
მთავრობამ, რომელსაც არასოდეს უცცნია ბალტიის ქვეყნების ან-
ექსია სტალინის მთავრობის მიერ, შეეცადა უკანა კარგიდან, სა-
კუთარი სტუმრების სახით, შემოეპარებია ლიტვა, ლატვია, ესტო-
ნეთის წარმომადგენლები, მაგრამ, უკაცრავად, გორბაჩივმა მყის-
ვე შენიშნა და მასპინძელს მოსთხოვა, მისთვის არასასურველი სტ-
უმრები განერიდებია. ამ ინციდენტმა ზოგიერთი ფრანგის გულის-
წყრომა გამოიწვია. აქ გთავაზობთ ცნობილი პოლიტოლოგის ალენ
ბეზანსონის კრიტიკულ წერილს: „სისაძაგლე“



„საფრანგეთმა, ჩომელსაც არასოდეს უცვნია სტალინმა შეტყუები ბალტიის ქვეყნების ანექსია, მოიპატიუა ევროპის ეს უძველესი სახელმწიფოები კონფერენციაზე დასასწრებლად, მაგრამ, 19-ში ფრანსუა მიტერანს ესაუბრა გორბაჩივი და ლიტვა, ლატვია, ესტონეთის წარმომადგენლებს სოხოვეს დარბაზიდან გასვლა ... ერთი სიტყვით, ისინი უსირცხვოლოდ იყვენ გარეთ გაყრილი საფრანგეთის მიერ, რომლის სტუმრებიც ისინი იყვენ გორბაჩივმა:

1. აიძულა რა მიტერანი, ის თავიდანვე იქცევა როგორც „ევროპის საერთო სახლის“ პატრონი.
2. ჩაადგინა რა სისაძაგლე საფრანგეთის პრეზიდენტს, ის მას ასუსტებს და მით მას ამზადებს ახალი დათმობებისათვის. ესაა კომუნისტური პოლიციის ნაცალი მეთოდი: მოწინააღმდეგის, რომლის დამორჩილებაც სურო, წასახლებად.
3. ამზადებს მოსკოვ-პარიზის ღერძს. მან გერმანის წინააღმდეგ უკვე შექმნა მოსკოვ-ვარშავის ღერძი, და გერმანის გაერთიანების საფასურში მოსკოვ-ბერლინის ღერძი. პარიზ-ტოსკოვის ღერძი, რომელიც უკვე სრულად მოქმედებს ჰარესეთის ყურის საკითხში, წამგებიანია საფრანგეთისთვის ყოველმხრით. მას არავითარი სარგებლიანობის მოტანა არ შეუძლია, გარდა თავმოყვარეობის დაკმაყოფილებისა, მაგრამ ის მით უფრო დაფასებულია ჩვენი პოლიტიკური კლასის მიერ, რაც უფრო ფუყვა.
4. მას შემდეგ, რაც მილიარდობით სესხი მიიღო მიტერანისგან, ფრანგ ბეგარის გადამხდელთა ხარჯზე, ის მიტერანისგან პოლიტიკურ სამსახურისაც ღებულობს, თავდებისას საბჭოთა იმპერიის ერთობისა, ეს იმ მომენტში, როცა გორბაჩივი თავს ნებას აძლევს გაანადგუროს ტყვე ერთა გამანთავისუფლებელი მოძრაობები.

ი მ პ ე რ ი ა

გორბაჩივის, სხვათა შორის, ისევე როგორც ელცინის, მთავარი მიზანია იმპერიის შენარჩუნება. მას სურს, დასავლეთლები დააჯუროს, რომ ეს არის რეფორმების პირობა. სწორედ ამის წინააღმდეგი კი არის მართლი. მანამ სსრკ იარსებებს იმპერიის ფორმით, მას უნდა გააჩნდეს მისი იმპერიალიზმის საშუალებებიც. ეს საშუალებანი სადამსჯელოა და ისინი შეუთავსებელნი არიან რამე სერიოზულ რეფორმებთან და მუქარას წარმოადგენენ მთელი ევროპისათვის, რადგანაც იმპერიული ნაგებობა სულ უნდა ფართოვდებოდეს, იმისთვის რომ თავად განმტკიცდეს. ბალტიელთა მიმართ სა-

საბედნიეროდ ჩვენდა, აკაკი წერეთლის პოეზიაც უძინავთ და მოჭირნახულეა. რთოდ გასაგონი“ ხმათა გამაგრძელებელი და მოჭირნახულეა. აბა, რომელი ქართველი მამულიშვილის გული არ შეტოკებულა აკაკის „სულიკოს“, „განთიადის“, თორნიკე ერისთავის“, „პატარა კახის“, „ძირს მთავრობავ, უსამართლო“-ს კითხვისას? ვის არ უგრძენია დიდი მგოსნის „ხანჯლით“ მოფენილი ათინა-თები სასოებისა, რომელიც ასე დამატევევებლად გვათბობს და გველამუნება, როგორც ჩვენი საყვარელი დედა-მზეს დაუშრეტელი ენერგია? ანდა ვის არ წარმოუთქვამს ლოცვით, ბუტბუტით ეს რაღაც გიუური სიყვარულით სამშობლოზე დაწერილი საგალობელი:

„არც მყვარებია, არც მიყვარს,
არც მდომებია, არც მინდა,
არც მწამებია, არცა მწამს
შენს გარდა კიდევ სხვა წმინდა!“

ამგვარი პატრიოტიზმია აკაკი წერეთლისათვის ნამდვილი „Ars poetique.“

*

* *

ქართულ პოეზიაში ერთი, შეიძლება ითქვას, ერთადერთი და პირველთაგანია აკაკი წერეთელი, რომელმაც სათავე დაუდო და ხორცი შეასხა ორი საყვარელი სიტყვის: „სამშობლოსა“ და „სატრფოს“ პოეტიზირებულ იდენტიურობას; მან გააიგივა ეს ორი სახელი ერთმანეთთან და პოეზიის მაღალ რეგისტრში აიყვანა ისინი. ამიტომაცაა, რომ ასე მგზნებარებით მღეროდნენ და მღერიან „სულიკოს“, „ციცინათელას“, „აღმართ-აღმართს“. ოჰ, როგორ გაისმის დღესაც ეს სიმღერები, დები იშხნელების მიერ შესრულებულნი:

„მშვენიერო, შენ გეტრფი
შენი მონა, ერთგული!
შენთვის სულდგმულს, შენგანვე
შენთვის მიძგერს ეს გული!

მეგულები ციხეში,



ცხრაკლიტულში მჯდომარე ...

შეთვისებას გიპირებს

გაიძევერა მოყვარე!

აბა, ვინ არ განიცდის ამ დროს, ამ დამატებობელი ჰანგების მოსმენისას რაღაც ახლობელს, მაგრამ ტრაგიულს, რაღაც ხალასს, მაგრამ მჭმუნვარეს, რაღაც საოცნებოს, მაგრამ აშ უკვე შორს, მიუწვდომელ ალაგს მკვნესარეს, რომელიც ახლა საკანშია გამოკეტილი?

მაგრამ მარტო ვაება და წუწუნი რას არგებს სატრფოს დამყარებელს! – მღერიან დები იშხნელები, მღერიან რაღაცნაირი მათრობელა ხმითა და იმედით:

„გაუმაგრდი განსაცდელს,

აიტანე ტყვეობა!

გშვენის ნესტან - დარეჯნის

მაგალითი ... მზეობა“.

აი, ასეა გაიდეალებული აკაკი წერეთლის პოეზიაში სამშობლო და სატრფო ერთმანეთთან; ასეა გადაჯაჭვული ეს ორი საოცნებო სახელი ურთი-ერთ კავშირში, როგორც ჩვენი პოეტის მჩქეფარე ბედის მდინარება – მის „ობოლ - მწირ“ ჩანგთან.

შეიძლება ითქვას, ამ მხრივ, აკაკის პოეზია ერთგვარ ნათესაურ კავშირში იმყოფება ებრაელთა მეფის –სოლომონის ბრწყინვალე „ქებათა - ქებასთან“. როგორც აქ, ასევე აკაკი წერეთელთანაც ვერ ვიტყვით, სად იწყება ნამდვილი სატრფიალო ლირიკით გატაცება და სად უდევს სამანი და ასპარეზი პატრიოტული მოტივის ელვარებას. მხოლოდ ერთი განსხვავებით: მსოფლიო ლიტერატურის შედევრ პასტორალის „ქებათა-ქების“ ცალკეულ პასაკებში ცხადლივ სჩანს ხორციელი სიყვარულის, ვნებიანობისა და ეროტიზმის აშკარა სცენები. ყოველივე ამან საბაბი მისცა ებრაული ლიტერატურის ისტორიკოსებს, რომ ზემორე ნაწარმოები რომანად ეღიარებიათ, ხოლო თეოლოგები ქვეშეცნეულად თიგივებენ ერთმანეთთან ამ გიუურ ტრფიალს იერუსალიმის და სულამითის მიმართ. და ეს დიდი ხნის ლიტერატურული პაექრობა დღესაც გრძელდება.

*


* *

ძაგლუ მოქცევას მაღული მიზეზი, ესაა ის შიში, რომელსაც უკვე ეს ჩვენში ეს იმპერია, ერთსა და იმავე დროს თავხელიც და მათხოვარიც. თუმცა მისთვის რომ წინააღმდეგობა გაგვეწია, ჩვენ ამის გამო არავითარი საშიშროება არ მოვცელოდა. აღმოსავლეთში ეს ყველაზე შეიგნო. გვესიამოვნებოდა, რომ ჩვენს პოლიტიკურ კლასსაც გაეცემოდია ცოტაოდენი ძალისხმევა ამის გასაცემად.

(გაზეთი „ლე ფიგარო“ 1990 წ. 22 ნოემბერი)

ს ა მ გ ლ ო ვ ი ა რ ო კ უ თ ხ ე

ბატონ გიორგი ნაკაშიძესთან გამოთხვების სიტყვა



პატივცემულო ბატონო გიორგი, ჩვენო
მამა და მასწავლებელო! ამ დილით გა-
ვიგა თქვენი გარდაცვალების ამბავი,
რომელიც ძალზე სამწუხარო იყო როგ-
ორც ჩემთვის პირადად, ისე ჩემი ოჯ-
ახისთვის. ამ წუთში კი როგორც პი-
რადად მე, ისე მთელი ჩვენი ქართული
სათვისტომოს საზოგადოება და თქვენი
საყვარელი ნაცონბ-მეგობრები გეოხოვე-
ბით და ღმერთს ვაველრებთ თქვენს
სულს და განისვენებდეთ ამ დალოცვილ

ამერიკის მიწაში.

ჩვენო საყვარელო პატივცემულო გიორგი, თქვენ იყავით დიდი პა-
ტრიოტი, ყოველთვის საქ.-ის მებრძოლი და მასზე მზრუნველი. ჭა-
ბუკობიდან ღრმა მოხუცებამდე თქვენ იბრძოდით იმ უსამართლობის
წინააღმდეგ, რომლის მსხვერპლი იყო ჩვენი საყვარელი სამშობლო.
დღესაც დავიწყებული არ არის ის თქვენი მქუჩარე გამოსვლები, მო-
წოდებები თბილისის სტუდენტ-ახალგაზრდობისადმი, უხეშ, უცხო და-
მჰყრობელთა წინააღმდეგ. თქვენი მგზნებარე სიტყვები აღაგზნებდენ,
ბრძოლისა და გამარჯვებისაკენ მოუქმობდენ მამულიშვილებს. ამიტო-
მაც იყო, რომ ვერაგმა მტერმა თქვენ დაგატუსალათ და სამშობლო-
დან უცხოეთში გადმოგასახლათ.

უცხოეთიდანაც თქვენ სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლა
ერთი წუთითაც არ შეგიწყვეტიათ, თქვენი ხანგრძლივი ცხოვრების



მანძილზე, თქვენი ომახიანი სტყვით ამხნევებდით სამშობლოდნენია გადმოხვეწილ თანამემამულებს, პოლიტიკურად, იურიდიულად ასაბუთებდით საქართველოს უფლებებს, იცავდით და ზრუნავდით, რომ შთამომავლობისათვის უკლებლად შენახულიყო სახელმწიფო არქივი.

ძვირფასო ბატონო გიორგი, თქვენ ვერ მოესწარით თქვენი სამართლიანი ბრძოლის დაგვირგვინებას, მაგრამ თქვენი ბრძოლა გრძელდება, თქვენი მემკვიდრე ახალგაზრდობა იქ, სამშობლოში იბრძვის მუდგრად, რაც თქვენი იღების გამარჯვების საწინდარია. საქართველო იქნება თავისუფალი და მისთვის თავდადებულთა შორის თქვენი სახელიც იქნება დაუვიწყარი. ჩენ კი, შენი მეგობრები და თანამემამულენი. ძვირფასო გიორგი, უზომო მწუხარებით გემშვიდობებით. საუკუნო იყოს ხსენება შენი ამ ქვეყნად და სასუფეველი დაგიმკეოდრდეთ იმ სოფლად. მშვიდობით.

გიორგი მორალიშვილი

მ წ უ ხ ა რ ე ბ ი თ ვ ა უ წ ყ ე ბ თ ს ა ზ ო გ ა დ ი თ ე ბ ა ს:

წელს ოც აპრილს ქ. კარაკასში (ვენეცუელა) 75 წლის ასაკში გარდაიცვალა ვალოდია ლორია (დაბადებით კიკალიშვილი), გეგეჭკრის რაიონიდან. დაიკრძალა ადგილობრივად.

წელს სამ აგვისტოს, პარიზში, უეპრად, ხანდაზმული გარდაიცვალა ვალენტი (კიტა) რიჟამაძე. დაიკრძალა ლევილში.

წელს პირველ ნოემბერს ლრმად მოხუცებული, ლომას დე ჭამორაში (ბუენოს აირესის პროვინცია, არგენტინა), გარდაიცვალა ქიმიის მეცნიერებათა ლოქტორი ლეონიდე (ლეო) ჭერიშვილი. ადგილზე დაიკრძალა დროებით და ანდერძის მიხედვით გადასვენდება სამშობლოში.

წელს ოთხ ნოემბერს, ქ. კლამარში (პარიზის გარეუბანი) გარდაიცვალა ქ-ნი ნინა ჩერბაკოვი, დაბადებული მაჩაბელი. დაიკრძალა კლამარის კომუნალურ სასაფლაოზე.

წელს ექვს ნოემბერს, კალიფორნიიდან სულ ახლად დაბრუნებული, თბილისში გარდაიცვალა 94 წლის ასაკში, ქაქუცა ჩოლოუაშვილის შეფიცულთა რაზმის უკანასკნელი წევრი ალექსანდრე სულხანიშვილი.



და სამძიმარს ვუცხადებთ მათ ჭირისუფალთ.

*** *** ***

წლევანდელ ოქტომბრის უკანასკნელ მღელვარე დღეებში სამშობლო-ში გარდაიცვალა 95 წლის ასაცში, ცისფერყანწლითა ორდენის წევრი, პოეტი კოლაუ ნადირაძე.

წელს 26 ნოემბერს უეცრად, გულის სიგანიერით გარდაიცვალა ცნობილი ფილოსოფოსი მერაბ მამარდაშვილი.

*** ***

ი ა ს თ ნ ი თ რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს გადასაფლავება

როგორც ჩვენმა მკითხველმა იცის (იხ. „გუშაგი“ № 6 ივნისი 1985) იასონ იორდანიშვილი მკვდარი ნახა მის ბინაზე და როგორც უპატრიონ ქ. ბელორის კომუნამ დაასაფლავა ხუთი წლის ვადიან კონცესიით. განსვენებულის გუშაგმატკიცერებმა შევაგროვეთ მცირედი თანხა-3 694,55 ფრანკი (სია გამოცხადებულია „გუშაგი“ № 7 -ში). თანხა მაშინათვე გადაეცა ჩვენი პარიზის ქართ. სათვისტომოს გამგებას, რომელმაც პირობა მოვალე გადასაფლავების. წელს 26 ოქტომბერს ი. იორდანიშვილის ნეშტი გადასაფლავდა იმავე ბელვიუს სასაფლაოზე საფლავის კონცესია ამჟამად 30 წლითაა. იგი დაჯდა 6.522,99 ფრანკი. განსვავება დაფრა ჩვენმა სათვისტომოს გამგებამ. კონცესია ალბურია გამგეობის სახელზე და ცოდებისთვისაც უწლ მიმართ მას, კერძოდ მის მოლარეს, ბ-ნ ჩეიმონ ბენას.

გუშაგი

ბ-ნ გორგი წერეთელს,

დაპირების და წესის მიხედვით, გოხოვთ, რომ ჩემი ეს წერილი თქვენს უურნალ გუშაგში მოჰთავსოთ.

შინასწარი მაღლობით, ვიქტორ ხომერიკი

გუშაგის № 22 ში წავიკითხე თქვენი წერილი, სათაურით: „გრიგოლ რობაქიძეს ფონდი?“ სადაც თქვენ პირადად მახსენებთ ერთვარ და ცინგის ტონით და შემცდარ ინფორმაციით; რადგან თქვენ ჩემ საქართველოში მოგზაურობას ეხებით, უნდა იცოდეთ, რომ სამშობლოში გავემგზავრე საკუთარ ხარჯზე, ჩემი ნათესავის მიწვევით. ამას თვით თქვენ მიერ ნახსენები გაზეთებიც კი ამოწმებენ, მფრამ თქვენ



რატომღაც არჩიეთ ფონდის მიერ მიწვევის ვარიანტი „**შეგება**“ – თუმც შე შისი წევრი არ გახლავარ, დიდი სიმპატიით ვესალმები მას და მის მაგვარ ორგანიზაციებს და ვისურვებ რომ მუშაობას მოეტანოს სასარგებლო ნაყოფი ჩვენი ხალხის და სამშობლოს საკეთი ღდღეოდ.

საყურადღებოა, რომ თქვენ სავსებით უგულვებელყოფთ იმ საოცარ მიღებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩემს იქ ჩასვლისას; **69** წლის მანძილზე დაგუბებულ სიყვარულს, ქართველმა ხალხმა იგივე სიყვარულით უპასუხა, მიმიღო აღტაცებით, დიდებით, სიხარულით, მღელვარე გრძნობებით, ზოგჯერ აცრემლებული თვალებით, წარსულის მოგონებით, გაღებულ მსხვერპლის ხსენებით, მომავლის იმედით. ასეთმა დახვედრამ კიდევ უფრო მეტად, თუ კი ეს შესაძლოა, შემაყვარა ჩვენი ხალხი, რომელსაც დიდი სიყვარულით ვეამბორები და ულრმეს მაღლობას ვუვლი. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი პატივისცემა მარტო მე არ მექუთვნოდა, რომ ეს ეხებოდა ჩვენ დაღუბულ თანამემამულებს და მთელ ქართველ გადახვეწილებს, რომელთა შორის, ალბათ, თქვენც კი ითვლებოდით. სავალალოა, რომ ასეთმა ამბავმა თქვენს გონებაში უადგილო ირონიის მეტი ვერაფერი სხვა გამოიწვია!

კეთილშობილური ქართული სალამით,

ვიქტორ ხომერიკი. პარიზი, 17.XI.1990

*

პასუხის პასუხად,

იმ ჩემს მითითებულ წერილში ინფორმაციის არავითარ დამახინჯებას ჩემს მხრით ადგილი არ აქვს, თუ თვით ინფორმაცია მცდარია, მაშინ გაზეთ „კომუნისტს“ უნდა მიმართოთ, საიდანაც ის ინფორმაცია მოღის. არც „ვარიანტს“ ჰქონებია იქ ადგილი, რადგანაც იქ ნათქვამია, რომ თქვენ ნათესავებმა და ე. შ. გრ. რობაქიძის ფონდმა მიგიშვიათ. მე, რა თქმა უნდა, პირველის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს და არც კომეტარი გამიკეთებია, ხოლო „ფონდით“ მიწვევა ნიშნავდა ხელისუფლების, რომელსაც ჩვენ საკუპაციოს ვუწოდებთ, მიერ მიწვევების და მე ის ძალიან არ მომეწონა სწორედ იმიტომ, რომ,

როგორც თქვენ თვითონვე ამბობთ, თქვენ სამშობლოში მიზრი და არა, როგორც ეროვნული ემიგრაციის წარმომადგენელი და არა, როგორც დანიელ სიბაშვილისა და აამაზ პაპუაშვილის, რომლებსაც გრ. რობაქიძის ფონდი დაუარსებიათ პარიზში.

მე ერთგული ვარ ჩვენი სათვისტომოს იმ დადგენილების, რომ არ ვითანამშრომლოთ არავითარ საბჭოთა წარმომადგენლობასთან, კერძოდ „უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურულ კავშირთან“. მე მგონია, მისი წესდების მიხედვით, არც უნდა ვცდებოდე, რომ გრ. რობაქიძის ფონდი იმ კომიტეტის „პერესტროიკული“ სახეცვლილება იყო. ახლა, ჩემმ, სხვა მდგომარეობაა: არჩევნების შემდეგ საქართველოს ჰყავს მის მიერ არჩეული ხელისუფლება. ახლა თუ ჩვენ ეს მთავრობა ჩვენთან ურთიერთობას მოინდომებს, ჩვენ ორივე ხელით უნდა მივევებოთ, მაგრამ ნურც იმას წარმოვიდგენთ, თითქოს საქართველო უკვი განთავისუფლებული იყოს.

ამის თქმა მე თქვენთვის არც უნდა მჰირდებოდეს. მე თქვენ 1942 წლის ბოლოდან გიცნობთ, ვიცნობ თქვენს ძლიერ და სუსტ მხარეებს. თქვენზე დიდ გავლენას ახდენს სადღეგრძელები და პოლიტიკური სისპერაცე ნაკლებად ეხიბლავთ. ამაზე მეტს აღარას გეტყვით. მე კვლავაც ვრჩები, თქვენი

გიორგი წერეთელი

*** *** ***

ჩვენი ფონდი (ფრანგულ ფრანკებში)

გიორგი მორალიშვილი	238	გიორგი ყოფოჩაშვილი	200
ირაკლი ოთხეზური	324	სანდრო მესხი	447
ავთანდილ ფარჯანაძე	1000	ქეთონ ბარნოვი-შედო	400
ზოსიმე ჯიშუარანი	200	მილო ზურაბიშვილი	500
შვეიცარია ქართ. საზოგადოება	200	ლილა ფრენტი	200
მირიან მელუა	200	დიმიტრი გოგიშვილი	129
ელია ცომარა	467	დავით თორაძე	1000
ვოლო (ილო) ემუშვერი	150	კოტეა როსი	500
უორუ ფაშალიშვილი	100	შალვა ცინცაძე	70
ექვთიმე ენდელაძე	755		

ჯამი

7. 080

აგვისტოს აჯანყების 66 წლისთავი.

გაუფეალისტინებლობა, მოუმზადებლობა აი, რით ხასიათდებოდა ჩვენი წლევანდელი ტრადიციული შეკრება ლევილში აგვისტოს აჯანყების საპატივცემოდ, რომელიც ძალიან დაგვიანებით, 23 სექტემბერს შესდგა. ხანგრძლივი გვალვის შემდეგ, ამინდი ნოტიო და გრილი იყო. ბუნებაც თითქოს დასტიროდა აჯანყების მამაც მონაწილეთა საფლავებს, რომლებსაც, მამა მეთოდიოსის ლოცვა-კურთხევით და საქმეელის კრევის წინ გამდლგარებით, გალობრითა და ლიტანიობით ჩამოვუარეთ. განსაკუთრებით ხანგრძლივად შეჩერდა პროცესია ამ აჯანყების გმირის ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩილოვაშვილის საფლავთან. მომენტი განსაკუთრებულად ამაღლვებელი იყო იმიტომაც, რომ საფლავის წინ გაშეშებულივით იდგა ქაქუცას შვილის შვილიშვილი-გური ხუნ წარია, რომელიც, მეგობრებთან ერთად, ჩამოსული იყო სახელოვანი წინაპრის სამშობლოში წასასვენებლად. სასაფლაოზე ლოცვის შემდეგ, ქართულ მამულში გაიმართა სადილობა, რომლის განმავლობაში სიტყვები წარმოსთვეს გამგეობის თავმჯდომარე სერე მერიავამ და ჩვენი საზოგადოების სხვა წევრებმა. საქართველოდან მოსულოაგან ილაპარაკა ბატონშა გური ხუნწარიამ, რომელიც უკმაყოფლებას არ ფარავდა, რომ პაპის წასვენებაზე უარს ეუბნეოდენ. რასაკვირველია, აქვე იყვენ ბ-ნ გურის თანმხელები ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის აქტივისტები: ქეთევან წიქორიძე, ზვიად ლოლიძე, ლევან ურუშაძე, გია ნაცვლიშვილი და შალვა ვასაძეც ისინი შესანიშნავი ახალგაზრდები იყვენ და ჩვენ სინანულით დავემშვიდობეთ.

*

ქართველი დირიქტორის – ჯანსულ კახიძის აღიარება

4 და 5 ოქტომბერს, პარიზის მუსიკალური საზოგადოების სასიხარულო, სალ-პლეიელის თეატრში გაიმართა პარიზის ორკესტრის დიდი კონცერტი, რომლის პროგრამაში იყო შუმანის კონცერტი და შესტაკოვიჩის სიმფონია, შუმანის კონცერტოში პიანინოს პარტიას ასრულებდა მსოფლიოში ცნობილი ესპანელი პიანინისტი ქალბაზონი ალისია ლა როშა, ხოლო ორკესტრს დირიქტორობდა თბილისის ოპერის და მისი ორკესტრის დირექტორი ბატონი ჯანსულ კახიძე, რომელიც პირველად გამოდიოდა პარიზელთა წინაშე. ესპანელ პიანინისტი, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი მოწონება და ტრიუმფი ხვდა



წილად პირველ განცოლებაში, ქართველ ფრიეროს რინციფულ მიზანების გადაქცერამ და მიმოცეცები უკვე დადგითი შთაბეჭდილება მოახდინა დარბაზზე, მაგრამ ნამდვილი და უზიარო ტრიუმფი მას მეორე ნაწილში ხდდა, შესტაკოვიჩის მეხუთე სიმფონიის დირიჟორობაში, რომლის განმავლობაში არა მარტო დირიჟორის წკეპლი, არამედ მთელი სხეულიც ტოკავდა და უდერდა, რაც ორკესტრზე საკუთარი შესაძლებლობის გადამლახავ ძალად მოქმედებდა... და როცა დამთავრდა დარბაზმა მართლაც სპონტანური ზეიმი გაუმართა დირიჟორს. მეორე დღის გაზეთები ერთხმად აღნიშნავდენ „ქართველი“ დირიჟორის გამარჯვებას, რომელმაც პარიზელებს მათი ორკესტრი აპოვნია. ბატონი ჯანსულის გამარჯვება ქართული სადირიჟორო კლასის გამარჯვებაცაა, ასე გვვინაა ჩვენ.

*

საქართველოს რაგბის გუნდი პარიზში.

საქართველოს რაგბის გუნდი წელს პირველად მონაწილეობდა ქ. ბაიონში გამართულ ტურნეში, რომელშიც 16 ძლიერი გუნდი იბრძოდა პირველობისათვის. ქართველებმა აქ თავი საკმაოდ კარგად დაიცვეს, რადგანაც მეშვიდე აღგიღზე გამოვიდენ. გუნდმა პარიზ-შიაც გამოიარა, 23 და 26 იქტომბერს მეგობრული მატჩები ჩაატარა და ძალიან დიდი ანგარიშით მოუგო ორივეჯერ ფრანგ მასპინძლებს (26 X 6, 26 x 3) ფრანგული სპორტის გაზეთი ამის შესახებ წერდენ: ქართველებმა რაგბის გაცვეთილი ჩაუტარეს ფრანგ რაგბიმენებს. ქართველების კუნთების ტონუს შესამჩნევლად მაღლალი იყო. მართლაც, ქართველი ბიჭები ახოვანნი, წარმოსადევნი და დაკუნთული ჩანდენ. ისინი ლევილის სასაფლაოსა და ქართულ მამულსაც ესტუმრენ. ლხინშიაც იგივე ცხოველმყოფელობა გამოამულავნეს, როგორც ოვალურ ბურთის თამაშში. აი მათი სახელი და გვარებიც: დავით კილასონია (უფროსი მწვრთნელი), თემურ ბენდიაშვილი (მწვრთნელი), დუგლას კავთელაშვილი (მწვრთნელი), მურად თოფურიძე (გუნდის უფროსი), გოჩა აბაშიძე (საქ. მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე), რომა ღვინიაშვილი (სსრკ რაგბის პრეზიდიუმის წევრი), ნოდარ ჩახანიძე (საქ. რაგბის კავშირის წევრი), თამაზ ბერიკაშვილი (ქუთაისის რაგბის ფედერაციის თავ - რე), მოთამაშენი: ნუგზარ ძანიძე (გუნდის თავი), ალექს ხვედელიძე, ლაშა ჩიქვინიძე, მერაბ ბესელია, გიორგი ღვინიაშვილი, კახა მაჩიტიძე, ზურაბ კიცაჩევილი, დათო ვართანიანი, გია გიუნაშვილი, თემურ ნარიმა-



ნიდე, გია რაფავა, ბალრ მექვაბიშვილი, კახა გიუნაშვილი და მარჯანიშვილი კა გაგნიძე, ზურაბ ჩეხვიაშვილი, ნუგზარ მგელაძე, პაატა ტყაბლაძე, დათო ღუდუშაური, შავლეგ ჯანელიძე, თამაზ ფხაკაძე, ზვიად ლიპარიტელიანი, ნურბეკ ხუაზე, რეზო ჯაფარაშვილი, მერაბ მარჯანიშვილი, ლაშა ვაშაძე, დათო ჩავლეიშვილი.

*

საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი საქართველოში.

„აღმოსავლეთის ქრისტიანების რწმენა და ტრადიციები“-ს პოპულიარულ გადაცემებს არსებობის 25 წელი შეუსრულდა. ამასთან დაკავშირებით, გადაცემის პროდუქტორმა ბ-ნმა უერარ სტეფანესკომ პარიზში გამართა საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი 15 ნოემბრიდან 6 დეკემბრამდე, მიძღვნილი ბიზანტიისა და აღმოსავლეთის ქრისტიან ერებისადმი. ერთი დღე-28 ნოემბერი მთლიანად მიეძღვნა საქართველოს. მას თავმჯდომარეობდა ქალბატონი ელენ კარერ დ'ანკოსი, პროფესორი და მწერალი, მოხსენებები გააკვთა: პროფ. გომრგი შარაშიძე (აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი): „ქრისტიანული რელიგიის სათავეები“, პროფესორი გასტონ ბუაჩიძე (თბილისის უნივერსიტეტი): „შოთა რუსთაველი და კრეტიენ დე ტრუა“, პროფესორი კან-პიერ მაპე: ქართული აპოკრიფები კაცობრიობის წარმოშმბაზე“, პროფ. ალექსანდრე ალექსიძე (თბილისის უნივერსიტეტიდან): „ბიზანტია და საქართველო“, ქ-ნი ნიკოლ თიერი: „ქართული მონუმენტური ხელოვნება“.

მომხსენებლები შეზღუდული იყვნენ დროში და სჭირდებოდათ ვრცელი თემების შეკუმშვერა. სიმპოზიუმმა მაინც საინტერესოდ ჩიადას და მსმენელებმა არამცირედი ცნობა მიიღეს საქართველოს წარსულზე, მის სარწმუნოებაზე, კულტურაზე და ტრადიციებზე და ეს განსაკუთრებით სასარგებლო და საჭირო იყო საქართველოს დღევანდელ მდგომარეობასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით თბილისელ პროფესორებს არ დავიწყნიათ ეს დაკავშირება.

ახალი გამოცემული წიგნები ფრანგულ ენაზე:

წიგნების ავტორები გახლავთ აქ ნახსენებ სიმპოზიუმის მონაწილეები, ამიტომ აქვე ვაუწყებ ჩენებს მკითხველებს მათ შესახებ. პირველია ქალბატონი ელენ კარერ დ'ანკოსი. მან ცოტა ხნის წინად გამოსცა კიდევ ერთი წიგნი საბჭოთა კავშირზე: „ერთა დიდება“ ანუ „საბჭოთა იმპერიის დასასრული“. წიგნის ტექსტი ოთხას გვერდს შეიცავს და იქ დიდი აღგილი უკავია საქართველოს საერთოდ

და კერძოდ ცხრა პტილის ამბებსა და მის გავლენას საბურთა კუ-
შიჩის მასშტაბით. ამიტომაც ქართველი მყითხველისათვის ეს წიგნი
ორმაგად საინტერესოა. ჩვენს მიზანს არ შეაღენს კომენტარის გა-
კეთება, არამედ განცხადებას ვაჭვეყნებთ.

ფრანგულ ენაზე მეორე ახლად გამოცემული წიგნი გახლავთ ბ-ნ
გასტრონ ბუაჩიძის მიერ თარგმნილი ვაჟა ფშაველას პოემები, საუ-
რთო სათაურით „გველის მეური“ (*LE MANGEUR DE SERPENT*).

წიგნი შემოწმებულია ბ-ნ ბერნარ უტეს მიერ და გამოცემულია
საფუძველს არანტლოსტებისა და მოსკოვის „რალჯას“ თანამშრო-
მლობით ვაჟა ფშაველას გასაცნობად ეს წიგნი განსაკუთრებით
ძვირფასი იქნება საფრანგეთში აღზრდილ ჩვენს თანამემამულეთა-
ვის, რომლებიც საკმარისად კარგად ვერ ფლობენ ქართულს.

ეთერი

*** *** *** ***

პ ა ე ჭ ი ა ს ა კ ვ ე ბ ი ა ს უ ლ ი ს ა

თ ა მ ა რ ა პ ი რ ვ ე ლ ი

მე დავიბადე ვრცელ ბრძოლის ველზედ,
გარშემო მერტყა ცეცხლი და ყინვა,
ჩვილები შვილი გულში მეხურა,
საამო იყო იმათი ხილვა.

*

სახელათ მიძღვნეს თამარ პირველი,
ჩვენი დელფინის სასიყვარულოთ,
ვაიმედებდით ერთიერთმანეთს
ჩვენ საამაყოთ, სასიქალულოთ.

*

სპეტაკი იყო ჩვენი მიზანი,
სურვილი დიდი, სუფთა, ფაქიზი,
შიში და ზარი შორს იყო ჩვენგან,
თითოეულს პქნდა ბრძოლის ხალისი.

*

დღეს აღარა მყავს ერის ერთგული,
შეუპოვარი ჩემი გმირები,
მტერს არ დაუთმეს, მოლად შეასრულეს



თავიანთ წმინდა დანაშირები.

*

ამ მძიმე აძით გულდათუთქული,
ცხარე ცრემლებით იტყვის ქართველი:
„სულის სიმშვიდე მათი იმ ქვეწნად,
სამარადისო უფლის ნათელი“.

უორუიკა ფაშალიშვილი

დ ე დ ი ს ლ ო ც ვ ა

როცა ჩემთან ხარ, გიცქერი,
არ მახსენდება წარსული,
გული ძაფებით მკიდია,
ასე შორს რომ ხარ წარსული.

ოლონდ შენ კარგად მეყოლე,
სადაც შენ გსურდეს იქ იყავ,
ჭირს მე ჩემთავად ვიტოვებ,
შენ ჩემი ლხინი გაიყავ.

თუმც რა აზრი აქვს სიშორეს, აგსრულებოდეს ოცნება:
ფიქრით ერთ ველზე ვბალახობთ. მთელი ქვეყანა მოგევლოს,
გულს გზად და ხიდად გაგიდებ, ეს გული მაღამოდ გაეცეს,
სიძნელე რომ გადალახო.

აგსრულებოდეს ოცნება:
მთელი ქვეყანა მოგევლოს,
ეს გული მაღამოდ გაეცეს,
სიცოცხლე თავსშემოგევლოს.

1985

შ ე მ ო დ გ ო მ ა ს ო ფ ლ ა დ

ქარი მუქარით დაპქრის, სისინჯბს,
ყვითელ ფოთლების მიმოაქვს გროვა.
სტირის ბუნება, სულიც ქვითინებს
და გარეშემო გლოვაა, გლოვა.

ვერ მათბობს ცეცხლი, მე მაინც მცივა.
ხელებს არ მიმკობს პრიალა ლაქი.
ქარი ზუზუნით აწვება კარებს
და საცოდავად ანათებს ჭრაქი.

სევდამ შემიპყრო, ცრემლი მერევა,
ჭრაქიც ნელ-ნელა ბჟუტავს და ქრება...
ნუთუ ყველასოფოს ასე მძიმეა

ამ ქვეყანაზე მარტოდ ცხოვრება?

ი რ ი ვ ი დ ა
პ ი ჭ ლ ი რ ი ტ ი ვ ი ს

თ ი ნ ა ჩ ი ქ ი ვ ა ნ ი

ბედნიერი შობა-ახალი წელი ქართველონ!

გუშაგის ეს რვეული აღბათ შობა-ახალი წლის დღეებში მიაღწევს მკითხველებამდე. ჩვენი სურვილია, რომ ის ბედნიერ ფეხზე შემოვიდეს თქვენს შინ და მოგიტანოსთ ჩვენი მამული-შვილური სალამი.

როგორი იქნება მომავალი წელი? აი კითხვა, რომელსაც ყოველ წლის ბოლოს სვამს ყველა ჩვენგანი და რომელზედაც ამა-ომწურავი და გონიერი პასუხის გაცემა საზოგადოდ შეუძლებელია, მაგრამ ვინაიდან მომავალი აწმყოდან გამოდის, შეიძლება მაინც ერთგვარი მსჯელობა მასზე.

ყოფიერება წონასწორობაზეა დამოკიდებული. სამყაროს წონა-სწორობა განსაზღვრავს მზის სისტემის წონასწორობასა და ყოფას, მზის სისტემის წონასწორობა – ჩვენი პლანეტისას, დედამიწის წონასწორობა – კაცობრიობისას და ბოლოს კაცობრი-ობის წონასწორობაზე დიდათაა დამოკიდებული ერთა ბედი, მათი ყოფნა-არყოფნა.

დეტანტი საბჭოთა კავშირსა და დასავლეთის დამოკრატიის შორის, საბჭოთა კავშირის რღვევა-ძნელი მშობიარობა, კომუნი-ზმის ავადმყოფობისგან საბოლოო განკურნება იძლეოდენ შესა-ძლებლობას გვეწინასწარმეტყველებია ერთა საბოლოო განთავისუ-ფლება-ემანსიპაცია, მათი მშვიდობიანი თანაცხოვრება და სა-ყოველთაო კეთილდღეობა. მაგრამ ერაყის მიერ კუვეიტის დაპ-ყრობამ ეს ვარაუდი გააქარწყლა, ყოველ შემთხვევაში, კით-ხეის ნიშნის ქვეშ დააყენა, საერთაშორისო მდგომარეობა და-ძაბა ხელახლა და ეს წელი ისე მთავრდება კიდევ ერთხელ, რომ შეუძლებელია ითქვას, თუ რა მოხდება ახლო მომავალ-ში, კერძოდ 15 იანვრის შემდეგ, როცა ვადა გაუვა გაეროს ულტიმატუმს ერაყის მთავრობისადმი. ვიქონიოთ მაინც იმე-დი, რომ კაცობრიობა შეძლებს უომრად და უტირანოდ ცხოვ-რებას. ხოლო ჩვენი სამშობლოსათვის ვინატრით, რომ 1991

ერებული

წელს მან აღიდგინოს სახელმწიფო ებრივი დამოუკიდებელი პირების რიგში მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას რუსეთთან და შემდეგ ყველა ახლო თუ შორეულ მეზობელთან, სრულუფლებიან ერთა საკაცობრიო ოჯახში მხარგამართულ შესვლასა და დავინებას, ურთიერთობის კერძმარიტ ქრისტიანულ შემწყნარებლობასა და სიყვარულს:

გ უ შ ა გ ი

შინაარსი

აკაკი წერეთლის დაბალებიდან 150 წლისთავი

- | | | |
|-------|--|-------------------|
| 1 - 7 | აკაკის მარგალიტები | |
| 8 | „აკაკი წერეთლი“ – | დავით აგმონი |
| 17 | „აკაკი: ტბილი მგალობელი“ | ალ. მანველიშვილი |
| 22 | „აკაკი და მისი შემოქმედება“ – ბერნარ უტიე | |
| 28 | „აკაკი: მამულზე მლოცავი“ | გ. პერევისელი |
| 31 | „აკაკი წერეთლის ხსოვნას“ – სოსო უორუოლიანი | |
| 35 | თ ა ვ ი II – ეროვნული კონგრესი | |
| 36 | თ ა ვ ი III – გარდამავალი პერიოდი | |
| 37 | ზვიად გამსახურდიას გამოსვლა | |
| 49 | მასალები უზენაესი საბჭოს I სესიის შესახებ | |
| 54 | აკაკი ასათიანის სიტყვა სსრკ უზენაეს საბჭოში | |
| 58 | პრეზიდენტ გორბაჩივის რეაქცია | |
| 64 | ს. რ. მთავრობა და მისი თავმჯდომარე თ. სიგუა | |
| 67 | ეროვნული კონგრესის მიმართვა ქართველი ხალხისადმი | |
| 69 | „ერთიანი ძალისხმევით ...“ | ირაკლი წერეთელი |
| 74 | „საქართ. სულიერი მისია“ – | ზვიად გამსახურდია |
| 101 | „წინასაარჩევნო მიმართვა ... „ივერია“, „გუშაგი“, „ჩენი“ დროშა“, „მებრძოლი საქართველო“ | |
| 104 | „საქართველოს გამარჯვება“ – | გუშაგი |
| 107 | ევ. უ. თ. კონფერენცია პარიზში ალენ ბეზანსონის კრიტიკა: „სისაძაგლე“ | |
| 109 | სამგლოვიარო კუთხე | |
| 111 | გ. ხომერიკის და გ. წერეთლის პაექრობა | |
| 113 | ჩენი ფონდი, „ქრონიკა“ – | ეთერი |
| 117 | – ლექსები – შ. ფაშალიშვილი და თ. ჩიქოვანი | |



GOUCHAGUI

*PERIODIQUE EN LANGUE GEORGIENNE
(POLITIQUE - LITTERATURE - MÉMOIRES)*

Directeur : GEORGES TSERETELI

ADRESSE : 8, RUE DES MARCHAIS
75019 PARIS

EDITION HORS COMMERCE